

დასაწყისი გვ. 1

ლიდერობით წარმართულ 1990 წლის მარტის საბჭოურ საპარლამენტო არჩევნებში. ამ აპრობირებულმა ბერკეტმა წარმატებით იმუშავა 1992 წლის 11 ოქტომბრისა და 1995 წლის ნოემბრის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზეც. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა განუხრებლად ახორციელებდა რა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ოფიციალურ მიმართვა-განცხადებებს შევარდნაძის ხუნტის არალეგიტიმური არჩევნების ბოიკოტირების შესახებ, რის გამოც ე. შევარდნაძის პარლამენტი იძულებული გახდა კონსტიტუციაში შეეტანა ცვლილება საარჩევნო კვოტის განსაზღვრის შესახებ და მისი მაჩვენებელი (50%+1) 35%-მდე დასწია. სააკაშვილის პარლამენტმა კი ეს საკონსტიტუციო ნორმაც გააუქმა და არჩევნების ჩატარების ლეგიტიმაცია საარჩევნო უბნებზე მისული ამომრჩეველთა რეალური რაოდენობრივი მაჩვენებლით განსაზღვრა.

ასეთი ნორმატიული აქტის პირობებში მყისიერ უტოპიად იქცა ნებისმიერი არჩევნების ბოიკოტირების პროპაგანდა და თვითნებური ბოიკოტიც.

არჩევნებზე არანაცვლის (ბოიკოტის თვითნებურ) გადანაცვლებას იღებენ ისეთი მოქალაქეები, ვისთვისაც თანაბრად მიუღებელია, როგორც სამთავრობო, ასევე ოპოზიციური კანდიდატებიც. საჭიროა, ამგვარმა ელექტორატმა გააცნობიეროს, რომ მათი საარჩევნო უბნებზე არმისვლით სულაც არ ზარალდებიან ზემოხსენებული პოლიტიკური ძალები, რამეთუ ამომრჩევლის მიერ მათ წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობის ფიქსაცია არ ხდება, ან მინიმუმადე მცირდება, რაც პოზიტიურად აისახება ასეთი კანდიდატების საერთო პროცენტულ მაჩვენებელზე და ამასთანავე, მატულობს გამოუყენებელი ბიულეტენების მათივე სასარგებლოდ გამოყენების შესაძლებლობა.

ამადაც, არსებული საარჩევნო კანონის გათვალისწინებით, აუცილებელია სრული პასუხისმგებლობით მოვევიდეთ ყოველგვარ არჩევნებს და ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება, ამა თუ იმ კანდიდატის მიმართ, გამოვხატოთ მხოლოდ საარჩევნო უბნებში ბიულეტენებზე ფიქსაციით, რამეთუ მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღწევა, ხმის მიმცემთა აქტივობის მაჩვენებლის სურათის შეცვლა.

ამომრჩეველთა აქტივობა საარჩევნო უბნებზე მისვლით, ეს თანამედროვე - ლიბერალური დემოკრატიის დროის მოთხოვნაა, რომელიც არ გვიტოვებს შესაძლებლობასა და უფლებას ვიმოქმედოთ წარსულის ინერციით, რომელიც ბუმბერაზივით გვიბრუნებს თვითგანადგურებით შედეგს; ჩვენ ფუნქციონირებთ, მიგრაციის საქანელაზე შეუსწავლელად ვრჩებით რა საკუთარ სამშობლოში, მაშასადამე, თანაარსებობაც გვინევს არჩევნებით მოსულ ჩვენთვის მიუღებელ ხელისუფლებასთან. ამიტომ, უნდა შევეცადოთ ჩვენი აქტივობით შევეცვალოთ იგი, ან მინიმუმამდე დავნოთ-მიანვი მისი ლეგიტიმაციის ხარისხი და რეიტინგის პროცენტული მაჩვენებელი, რათა შევასუსტოთ მათი ბატონობის უფლებრივი მდგომარეობა ხალხზე.

თუკი თქვენ გულისხმასკოფთ წინასაარჩევნო პერიოდში უბნებიდან ამომრჩეველთა სივების დაზუსტების მოტივით წარმოგზავნილ ვიზიტორების კითხვაზე - „მიდინართ თუ არა არჩევნებზე“ - და დააკვირდებით კიდევ, თუ როგორი გაფაცვიცებით ინიშნავენ თქვენს „არა“ს სათანადო გრაფაში, ამ მარტივი ტესტითაც ადვილად მიხვდებით, რომ მისი, ანუ მმართველი ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად მოქმედებთ.

ვინაიდან ივანიშვილის კოალიციური მთავრობა დიდად არ განსხვავდება სააკაშვილის ხელისუფლების მმართველობის სტაბილურად და არჩევნების გაყვლებას, არც ესენი აკლებენ ხელს ცესკო-ში, ამიტომ კონტროლზე პასუხისმგებლობის სიმძიმე უნდა იკისრონ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა ცესკო-ში და გაასაჯაროოონ იქ გახორციელებული გაყვლების ფაქტები.

წინასაარჩევნო შეკრებებზე კი, ღარიბაშვილის მთავრობაც ისეთივე მეთოდებით ეწევა ხალხის მობილიზებას გუბერნიებში სხვადასხვა რაიონებიდან, როგორც მერაბიშვილის მთავრობა ეწეოდა - ავტობუსებითა და სამარშრუტო ტაქსების კოლონიით ჩაჰყავთ ხალხი გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმში... და ამგვარად ქმნიან მასობრივი მხარდამჭერების ილუზიას, ხოლო საკუთარი კანდიდატების შერჩევა, სააკაშვილის ხელისუფლების მსგავსად, ხდება ნეპოტიზმისა და პროტექციის ნიშნით და საარჩევნოდ, ფინანსური შემონირულობებიც, ოლიგარქი ბიზნესმენების მხრიდან იგივე მეთოდებით ხორციელდება.

ღარიბაშვილის მთავრობას, არც სააკაშვილ-მერაბიშვილის მთავრობაზე ნაკლები მადა აღმოაჩნდა, არამედ გაცილებით უფრო ხარბი აღმოჩნდნენ, რომლებმაც ისედაც გაზრდილი ხელფასები ათობით ათასი დანამატებით შეივსეს და არც ძვირადღირებულ მანქანებზე თქვეს უარი, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მაღიანად გამოჰკრეს ხელი. ასე, მაგალითად, 2013 წელს, ანუ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მინისტრების წლიურმა სახელფასო დანამატებმა, თითოეულზე 50 ათასამდე ლარი შეადგინა, ხოლო მათი მოადგილეებისა კი პრემიის სახით თითოეულზე 30 000 ლარზე მეტი. ირაკლი ალასანიას - 83 076 ლარი, პაატა ზაქარაიშვილის - 50 885 ლარი, გურამ ოდიშარიას 50 045 ლარი, ალექსი პეტრიანიშვილი - 49 267, ხათუნა გოგოლაძე - 47 935, დავით ნარმანია - 47 685, ასევე, სოზარ სუბარის, დავით დარაბეგიძის, თეა წულუკიანის, კახა კალაძის,

ლევან ყიფიანის, მია ფანჯვიძის, თამარ სანიკიძის... (წყარო <http://opendatablog.files.wordpress.com/2014/05/zaqareishvili.png>). მინისტრების ოფიციალური ხელფასი კი 3 550 ლარია. ამავე მინისტრების თქმით, სახელფასო დანამატები და პრემიები აუცილებელი სტიმულია მათი მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად. თუ როგორ აისახება ხალხის ცხოვრების დონეზე ამ ურცხვი და მადააღძრული მინისტრების მუშაობა, ეს ნაგვის ურნებში ჩაყვებული ადამიანების სიმრავლითა და თუნდაც, ლუბლიანას ქუჩაზე საბჭოთა ფანგიან ავტობუსებში მცხოვრები მრავალსულიანი (მათ შორის, მცირენლოვანი ბავშვების) ოჯახის იამზე ხასიასა და ბაირამ ყურაძის მაგალითზე ჩანს, რომელთა მსგავსიც, სრულიად საქართველოში, ათეულ ათასია.

არც ადამიანთა უფლებების დაცვისა და პენიტენციურ სისტემებში პატიმრების წამების კუთხითაც გაუმჯობესებულა ვითარება; დღესაც „თვითმკვლელობით“, წამებით, ტუპერკულოზითა თუ სხვა დაავადებებით იღუპებიან პატიმრები და პოლიტიკურ ოპოზიციასაც ანალოგიური მეთოდებით უსწორდებიან. ოდნავადაც არ გაკეთილმობილებულა პროკურატურა, რომელიც დღემდე უკანონო დაკავებებისა და ადამიანთა წამების საჭიროდ დაწესებულებად რჩება (ნავთლუხის სპეცოპერაციის მონმე შალვა თავთუხაშვილის მკვლელობა და სხვ.).

ღარიბაშვილის მთავრობამ, ვერც შეპირებული სამართლიანობა აღადგინა, არ გამოიძია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობა, მეუფე ამბროს ქათამაძის მკვლელობა, არ გამოავლინა ზურაბ ჟვანიას მკვლელები, არ გამოიძია პროფესორისა და პოლიტიკოსის გურამ შარაძის მკვლელობა, პოლოტოლოგ რამაზ კლიმაიშვილის მკვლელობა, 9 თვის ბარბარე რაფალიანცის მკვლელობა, ლაფანყურის სპეცოპერაცია, მუხროვანის ამბოხი, დაყარალებული ბიზნესმენების საქმე და არც ერთი განხილვით დასრულებული საქმე. შედეგად, იმედგადაწურული დაზარალებული ადამიანები თავად ცდილობენ გაუსწორდნენ მჩაგრველს (ნოშრევან ნამორაძის საქმე...), ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოუძიების გამო კი უკვე შურისძიების გადანაცვლებაც მიიღეს პანკისის ხეობის უხუცესებმა.

ღარიბაშვილის მთავრობაც ისეთივე ტოტალურ სატელეფონო მოსმენებს ახორციელებს, როგორსაც სააკაშვილის მთავრობა ახორციელებდა (დღესაც აქტიურად ისმინება ჩემი ტელეფონიც და პერსონალურ კომპიუტერშიც მაგნეტურად ძვრებიან მსს ვირთხები).

ღარიბაშვილის მთავრობაც ისევე ვანდალურად ეპყრობა კულტურის ძეგლებსა თუ კანონმდებლობით დაცულ ტყე-პარკებს, როგორც სააკაშვილის მთავრობა ეპყრობოდა; პრეზიდენტმა ღარიბაშვილმა წერილობითი განკარგულება გასცა აჭარაში მაჭახელას ეროვნული ტყე-პარკის ტერიტორიის ნაწილის „ენერგო-პრო ჯორჯიაზე“ 49 წლით გასხვისების შესახებ, რომელიც „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ მართვაში მყოფი უნიკალური პარკია, ადვილი წარმოსადგენია მაქვრჩევა ამ პარკიდან!

მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირება იყო ცინე-ქალაქ მუცოს უნიკალური არქიტექტურული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის პირადი სახსრებით უმოკლეს ვადაში აღდგენა, იგი დღემდე ინგრევა. დღეს კი ღარიბაშვილი იძლევა მუცოს რესტავრაციის პირობას და ისიც, საარჩევნოდ!

ღარიბაშვილმა აქტიუალური გახადა საბჭოთა პერიოდში ეროვნული მოძრაობის პერმანენტული პროტესტებით „დაკონსერვებული“ ზუდონშისის გიგანტური მშენებლობის საკითხი, რომელიც განადგურებით ემუქრება სვანეთსა და მთელ დასავლეთ საქართველოსაც. 17 მაისს, დარიალის ხეობაში, ჰესების გაუზარებელი მშენებლობების შედეგად მთის უზარმაზარი მასა მოწყდა და მიდინარე არავის მნიშვნელოვანი მონაკვეთი ამოავსო, რამაც წყლის სამიმ ზღვრამდე გადავსება გამოიწვია. თბილისში გადმოყვანილ ათობით დაზარალებულთაგან, საავადმყოფოში ერთი უკრანიელი მოქალაქე გარდაიცვალა, მენყერქვე მყოფი რამდენიმეტი ადამიანის დაზარალებული მშენებლობის შემთხვევა, რომელიც საგარეო დოკუმენტაციის მიხედვით დადასტურდა, ჩვენ არ გვაქვს იმედი, რომ არსებული მთავრობა, თუნდაც ამ უკანასკნელი დღეების ეკოლოგიური კასტასტროფისაგან გონივრულ დასკვნებს გამოიტანს და გადახედვას იგივესტური ჰესების გამოცხადებული მშენებლობის ბუმს. მითუმეტეს, როდესაც ღარიბაშვილის ნომენკლატურულმა გეოლოგებმა, იმ დღესვე გააკეთეს მყისიერი განცხადება, რომ მთის დაძვრა ბუნებრივი მოვლენა იყო და არა, ჰესების მშენებლობით გამოწვეული კატასტროფა. 2012 წლის 30 სექტემბერს, ოზურგეთის სოფელ მთისპირში ბახვი-ჰესის მშენებლობის ტერიტორიაზე გორაკის მონგრევის შედეგად მწყერი ჩამონვა და აშენებული საცხოვრებელი კორპუსი ჩაიყოლია. საბედნიეროდ არ იყო მსხვერპლი.

სასონარკვეთილებამდე განბილებული დარჩა მსხვილი ბანკების მეანბრებები, რომლებსაც ივანიშვილი, წინასაარჩევნოდ სესხების გადავადებას პირადად დაჰპირდა, მაგრამ მწარედ მოატყუა, რის გამოც რამდენიმე მათგანმა თავის დაწვა და თვითმკვლელობა სცადა. ადგილი აქვს ბანკის მეანბრებების უმუშევრად დატოვების (ბარბერებიდან გამოყრის, სამარშრუტო ხაზების წართმევის) ულმოებელ გადაწყვეტილებებსაც, რისი მიზეზითაც ქ. რუსთავის სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა თავი მოიკლა, ორთვიანი პერმანენტული აქციების შედეგად ვერაფერი შესძინა რა ადგილობრივი ხელისუფლებას. ისევე, როგორც სააკაშვილის მმართველობის დროს, მონოპოლისტური ხდება ბაზარიც! ივანიშვილის დაპირება, რომ „ჩვენი ხელისუფლება იქნება

ჭეშმარიტად სახალხო და ხალხზე მზრუნველი ხელისუფლება და თქვენ ამას 2014 წლიდან იგრძნობთ“, უტიფარი სიტყვები და ბლექი აღმოჩნდა!

მართოდენ ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ჰუმანური საშეღავათო პროგრამები და სოფლის-მეურნეობის ამოქმედებისათვის გლენებზე გაცემული ვაუჩერები, რომლის ხარჯვითი ნაწილი წელს უკვე განახევრებულია, ვერ გამოდგება კოალიციური მთავრობის „სავიზიტო ბარათად“ მთელი ამ წლინახევრის განმავლობაში და ისიც, საყოველთაო სამომხმარებლო ფასების ფორსირებული ზრდის ფონზე.

რესპუბლიკულ უსუფაშვილის პარლამენტმა, „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატების აბსოლუტური მხარდაჭერით, ქართველი ერის ნების წინააღმდეგ, რეფერენდუმის გარეშე მიიღო არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის (ლგბტ პირთა) განსაკუთრებული დაცვის გარანტიური ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რითაც პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენა ისინი. კანონის მიღებამ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისა და ეკლესიის დიდი უკმაყოფილება და პროტესტი გამოიწვია.

ივანიშვილის ხელდასმულმა პარლამენტმა და მთავრობამ, ვერც საქართველოს პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში დაბრუნების (ა/წ. თებერვალში უნდა დაბრუნებულიყო) წინასაარჩევნო დაპირების შესრულება უზრუნველყო და დღემდე მიჩუმდებულა ეს საკითხი. არც ღარიბაშვილის საკრებულოების პირობებში დაადაგა საშველი, საქართველოში გარეგანობის აკრძალვის კანონის ამოქმედებას ან ამ მხრივ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მაინც! კრიმინალური დანაშაულებების გავრდით კი სრულიად დაუცველი გახდა მოსახლეობა; მკვლელობა, დაყარალება, გაუპატიურება, ქურდობა, ნარკომანია... კვლავ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. კვლავ მორღვეულია სახელმწიფო საზღვრები და დაუბრკოლებლად გრძელდება ქვეყნის ტერიტორიების მცოცავი ანექსია, უწინდებურად გრძელდება „საზღვრისპირა“ მაცხოვრებლების გატაცების ფაქტები რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ. რუსეთისადმი ლიბალური და დათბობის პოლიტიკა, ივანიშვილის მთავრობისა, სრული კრახის მდგომარეობაშია. სამაგიეროდ, საქართველოში გააქტიურდნენ პრო-რუსული ორიენტაციის ქართველი კონდოტიერები, რომლებიც წლების განმავლობაში გაქცეულ იყვნენ რუსეთში, ხოლო ივანიშვილის მთავრობის მოსვლისთანავე დაბრუნება დაიწყეს (ვალერი ხაბურძანი, თემურ ხაჩიშვილი, მალხაზ გულაშვილი, თენგივ კიტოვანი, ემზარ კვიციანი და სხვ.). თავისუფლად მოგზაურობის მოსკოვიდან თბილისში პუტინის ემისარი ვლადიმერ ხომერიკი, რომელიც საქართველოში სატელიტ პრორუსულ პოლიტიკურ ძალებს სტუმრობს ახალ-ახალი დირექტივების მისაცემად. შეიქმნა ანტისახელმწიფოებრივი გაერთიანება „ევრაზიის ინსტიტუტი“, რომელიც ივანიშვილის მთავრობის ფარული ხელშეწყობით ძალებს იკრებს...

ბაქრაძე-უსუფაშვილის პარლამენტმა ჩუჩულად აქციეს პრეზიდენტის ინსტიტუტი და რეფერენდუმის ან, თუნდაც პლენისციტის გარეშე, და-ფაქტო საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი შექმნეს.

შეუწყნარებელია ღარიბაშვილ-ივანიშვილის ეკონომიკური ინტერესები საყდრისის ოქროს საბადოს ძვ. IV ათასწლეულის ძეგლისადმი, რომელსაც ღარიბაშვილის მალაპანაზლაურებადი კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარია მითხსნა უმრავი მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და მას მოძრაი ძეგლის სტატუსი მიანიჭა, რითაც კომპანია RMG Gold შესაძლებლობა მისცა მთელი რიგი ვანდალური საშუაობის განხორციელებისა, რასაც უკვე წელიწადზე მეტია აპროტესტებულ მენცერებში, პოლიტიკური ორგანიზაციები, საზოგადოების წარმომადგენლები, სტუდენტები. კულტურის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ მარინა მიზანდარმა პრივილეგირებული თანამდებობაც კი დატოვა და სათავეში ჩაუდგა საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივ კომიტეტს, რაც უპრეცედენტო გადაწყვეტილება და მსხვერპლი გახლავთ ქალბატონი მიზანდარის მხრიდან კულტურის ძეგლის დაცვა-გადარჩენისთვის გაღებული. ამ პრეცედენტით უდავოდ სახეზე გვაქვს პროფესიული სინდისისა და თანამდებობრივი მოვალეობის ჭეშმარიტი გამოხატულების ცოცხალი მაგალითი.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე ყველა საარჩევნო სუბიექტმა წარადგინა დეპუტატობის კანდიდატთა სიითი შემადგენლობა, რომლებშიც, ძირითადად, კვლავ ძველი გვარები ფიგურირებენ, ხალხს კი უკვე დანახავც აღარ შეუძლია მათი. ესენი არიან პერსონები ღირსებისა და პოლიტიკური კულტურის გარეშე, ცნობილი სახეები ისტორიის სანაგვიდან, რომლებიც ყარან თავიანთი ბნელი და კორუმპირებული წარსულით. მათი თავყრილობები და წინასაარჩევნო გამოსვლები ტრაგი-კომიკური შოუს გარდა, პოლიტიკური მათხოვრობის დემონსტრირებად იქცა - „მოგვეცით ხმები და ჩვენ გპირდებით...“

თქვენ კი, ამომრჩევლებო, ნულარ ინამებთ ამ „უმრავლესობა-უმცირესობის“ ბანაკის მაქინატორ, პოლიტ-ფონელიორთა მტკიც და შეეცადეთ შეასუსტოთ მათი ხმოვანება, გადახაზოთ და გადახანალიოთ ხმები, რათა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, თითქმის სრულად გამოვირცხოთ მათი არსებობა. ახალი პარლამენტი კი უზრუნველყოფთ მენტალურად ახალ სამთავრობო შემადგენლობასაც საქართველოს ხელისუფლების სათავეში, რითაც დავასრულებთ, საკუთარი ერისა და სამშობლოს წინააღმდეგ შეთქმულ, კოლაბორაციონისტ ხელისუფალთა ოცნლიან მაოხრებელ ხანას.

დაპირისპირების გამოცხადება

1918 წლის 24-25 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. სხდომაზე განხილულ იქნა თურქებთან მოლაპარაკებებზე ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანლის ა. ჩხენკელის წერილი, რომელშიც ის აღწერდა რა მოლაპარაკებებზე შექმნილ მძიმე სიტუაციას, ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სეიმის თვითღივივადის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღების თაობაზე. ამავე სხდომაზე დაამტკიცეს მომავალი მთავრობის შემადგენლობა. ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ეწოდებინათ საქართველოს პარლამენტი.

1918 წლის 26 მაისს, კვირას, დღის 5:10 საათზე თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მიღებულ იქნა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“^[1], რომელშიც კერძოდ, ნათქვამი იყო:

ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელია, ხოლო საქართველო - სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკა.

საერთაშორისო ომებში საქართველო მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს მიუხედავად მისი ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქმნის ყველა პირობას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების თავისუფალი განვითარებისათვის.

სახელმწიფო ხელისუფლება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო პარლამენტი (დამფუძნებელი კრება), ხოლო აღმასრულებელი ორგანო - მინისტრთა საბჭო (მთავრობა), რომელიც ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე. პარლამენტიც და მთავრობაც კოალიციური იყო, მაგრამ ჭარბობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, რომელსაც მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ მუშები, არამედ გლეხებიც. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის შემადგენლობა ასეთი იყო:

- მთავრობის თავმჯდომარე — ნოე რამიშვილი.
- საგარეო საქმეთა მინისტრი — აკაკი ჩხენკელი.
- შინაგან საქმეთა მინისტრი — ნოე რამიშვილი.
- სამხედრო საქმეთა მინისტრი — გრ. გიორგაძე.
- ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი — გ. ჟურული.

იუსტიციის მინისტრი — შ. ალექსი-მესხიშვილი.
 სახალხო განათლების მინისტრი — გ. ლასხიშვილი.
 მინათმშენებლისა და შრომის მინისტრი — ნ. სომერიკი.
 მიმოსვლის გზების მინისტრი — ი. ლორთქიფანიძე.
 1919 წლის მარტში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 60%-მა. დამფუძნებელმა კრებამ შეცვალა ეროვნული საბჭო და დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 1918 წლის 26 მაისის აქტის სამართლებრივი ძალმოსილება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-ფაქტო აღიარება [რედაქტირება]



ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც დე-ფაქტო დასტური მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას, თურქეთი იყო (1918 წლის 3 ივნისი). თურქეთმა თავისი პოლიტიკური განზრახვა საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარებითაც დაადასტურა. შემდეგი სახელმწიფო, რომელმაც საქართველო დე-ფაქტო აღიარა, გერმანია იყო (1918 წლის 10 ივნისი).

სულ საქართველოს დამოუკიდებლობა დე-ფაქტო სცნეს შემდეგმა სახელმწიფოებმა:

- თურქეთი — 1918 წლის 3 ივნისი
- გერმანია — 1918 წლის 10 ივნისი
- ავსტრია — 1918 წლის 18 ივნისი
- არგენტინა — 1919 წლის 15 სექტემბერი
- იტალია — 1920 წლის 12 იანვარი
- საფრანგეთი — 1920 წლის 12 იანვარი
- დიდი ბრიტანეთი — 1920 წლის 12 იანვარი
- იაპონია — 1920 წლის 7 თებერვალი
- ჩეხოსლოვაკია — 1920 წლის 8 აპრილი
- რუსეთი — 1920 წლის 7 მაისი
- ბელგია — 1920 წლის 26 აგვისტო
- პოლონეთი — 1921 წლის 28 იანვარი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-იურე აღიარება

მიუხედავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების სტაბილურობისა, საბჭოთა რუსეთიც და დასავლეთის ქვეყნებიც თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისაგან. ისინი ქართულ საკითხს რუსეთთან ურთიერთობების კონტექსტში განიხილავდნენ და თავს არიდებდნენ მასთან ურთიერთობების გაფუჭებას.

მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც თვით რუსეთმა ცნო დე-იურე საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს მოხდა ორ ქვეყანას შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რომელმაც ხელი შეუწყო ახალგაზრდა სახელმწიფოს სუვერენიტეტისადმი პატივისცემის ზრდას. ამის შედეგი გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება რიგი ქვეყნების მიერ.

სულ საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურე აღიარეს შემდეგმა სახელმწიფოებმა (დამოუკიდებლობის აღიარება საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც გრძელდებოდა):

- თურქეთი — 1918 წლის 3 ივნისი
 - რუსეთი — 1920 წლის 7 მაისი
 - გერმანია — 1920 წლის 24 სექტემბერი
 - შვეიცარია — 1920 წელი
 - ბელგია — 1921 წლის 27 იანვარი
 - საფრანგეთი — 1921 წლის 27 იანვარი
 - ინგლისი — 1921 წლის 27 იანვარი
 - იტალია — 1921 წლის 27 იანვარი
 - იაპონია — 1921 წლის 27 იანვარი
 - ავსტრია — 1921 წლის 17 თებერვალი
 - რუმინეთი — 1921 წლის 18 თებერვალი
 - ჰაიტი — 1921 წლის 9 მარტი
 - ლიბერია — 1921 წლის 28 მარტი
 - მექსიკა — 1921 წლის 14 აპრილი
 - პანამა — 1921 წლის 26 აგვისტო
 - სიამი — 1921 წლის 20 ნოემბერი
 - ლუქსემბურგი — 1922 წლის 23 თებერვალი
- წყარო-http://ka.wikipedia.org/wiki/saqarTvelos_demokratiuli_respublika.

ანცილის კრიშინაციული კანონის საფრთხეები და გამოწვევები

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდიამ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. ახალგაზრდა ქართული რესპუბლიკა, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიური ორიენტაციებით და ფასეულობათა სისტემით საზრდოობდა, ეროვნულ ფასეულებთან მიბრუნებას და მსოფლიოს ხალხთა და სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ქართული ეროვნული თვითმყოფადობით თავის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. აღნიშნული იდეოლოგიური ხაზი კი გულისხმობდა საქართველოში ქართული ენის უზენაესობის და ეროვნული ტრადიციების დაცვას, რელიგიურ-სარწმუნოებრივი იდეალების ხორცშესხმას და ზნეობრივი ფასეულობების რეალიზებას, სასოფლო-სამეურნეო მიწების, წყლის, ხე-ტყის და სხვა ეროვნული რესურსების გასხვისება-გაყიდვისგან დაცვას, ქვეყნის და ერის შემოზღუდვას ამა თუ იმ უცხო ქვეყნის თუ კორპორაციის იდეოლოგიურ-ღირებულებითი დივერსიებისაგან. მეტიც, ქართული ეროვნული იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილად იქცა ერთიანი და მონოლითური იბერიულ-კავკასიური ერთობის ჩამოყალიბება, რომელიც თავის ზნეობრივ-ღირებულებით სისტემას შესთავაზებდა გლობალიზაციის მორევიმ გადამჭერულ მსოფლიოს.

გავიდა რამდენიმე თვე და ნათელი გახდა, რომ მსოფლიოს არცერთ პოლიტიკურ ბლოკს თუ ცენტრს არ აწყობდა კავკასიაში ახალი რეალობის და ახალი თვითმყოფადი ცივილიზაციური ცენტრის

შექმნა. იმპერიალისტური და ტრანსნაციონალური კაპიტალისტური კლანები პრომეთე-ამირანის მბორკავი შეთხვევებით ჯაჭვის გამთელებას ახალი ძალით შეუდგნენ. აღმოჩნდა, რომ მათ ხელს აძლევდა არა დამოუკიდებელი, თვითკმარი და თანასწორუფლებიანი კავკასიური სახელმწიფო, არამედ კონტროლირებადი სატრანსპორტო-ენერგეტიკული კორიდორი აზიური და კავკასიური ენერგომატარებლების გადასაზიდად. საკუთარი გეოსტრატეგიული პრეტენზიები, არც რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიას დაგინყნია. შედეგად არ დააყვნა: მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს გეოსტრატეგიულ ტერიტორიაზე კონტროლის დასამყარებლად ურთიერთდაპირისპირებული ძალების ერთობლივი ძალისხმევით დაემხო ეროვნული პრეზიდენტი, ეროვნული მთავრობა და ეროვნული პარლამენტი. მას შემდეგ ქვეყანა დაემსგავსა ლობეზორვეულ სახლს, საიდანაც ქურდი და ავაზაკი იტაცებენ ყოველივე ფასეულს, ტერიტორიებს, რესურსებს, საიდანაც უწყვეტ ნაკადად გაედინება ქართული ეთნოსი მსოფლიოს სხვადასხვა ნერტილში, სადაც დაუღალავად მკვიდრდება ეროვნული თვითმყოფადობისა და ინტერესებისთვის ეროვნული ფასეულობები და ღირებულებები. დაიშალა ქართველთა ერთიანი ეროვნული ცნობიერება, დაიშალა ერთიანი ქართული სახლი, დაიშალა ქართული ეროვნული ერთობის განცდა.

გავიდა ორი ათეული წელი. დე-ფაქტოდ შეიცვალა რამდენიმე რეჟიმი, რამდენიმე პრეზიდენტი, სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციისა და გემოვნებისა, მაგრამ

ყოველი მათგანი ისევ იმ ძალთა და კლანთა მარიონეტი აღმოჩნდა, რომლებმაც ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება დაამხეს, რომელთაც არად უღირთ ეროვნული ტრადიციები, სარწმუნოებრივი ღირებულებები, მორალურ-ზნეობრივი და სულიერი ფასეულობები, ეროვნული სასიცოცხლო სივრცე თუ ეროვნულ-ეთნიკური ინტერესები.

ქართული რეალობის ტრაგიაში იმაშიც გამჟღავნდა, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის სამი უმთავრესი თარიღი, ქვეყნის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 75-ე იუბილზე, საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას 75-ე იუბილზე და 9 აპრილის ტრაგედიის 25-ე წლისთავი მარიონეტი და არაეროვნული რეჟიმის ყურადღების მიღმა აღმოჩნდა. გათითოვალე ქართველ ერს, თითქოს დაუშალეს ეს თარიღები.

სამაგიეროდ, დაინტერესებული ძალები და სპეცსამსახურები მეტად ოსტატურად და დიდის ხელოვნებით ახერხებენ საზოგადოებრივი აზროვნების მართვას და მანიპულირებას, რის მაგალითადაც ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონიც გამოდგება.

როგორც ცნობილია, ბოლო პერიოდში ქართული საზოგადოების შემოთრება და ვნებათაღელვა გამოიწვია კანონმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული კანონი შეიცავს მთელ რიგ ორაზროვან და ბუნდოვან დებულებებს

გაგრძელება გვ. 4

დასაწყისი გვ. 3

და მუხლებს, რომლებიც სხვადასხვა დაინტერესებულ ძალას და მხარეს თავისებური და სასურველი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. შესაბამისად, ქართველი ერის ინტერესებიდან გამომდინარე, კანონი საჭიროებს შესწორებებს და დამატებებს. შეიძლება ითქვას, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზის პირობებში, ეს კანონი შეიცავს როგორც ზნეობრივი დივერსიის ელემენტებს, ასევე, ქართველთა ეროვნულ-ეთნიკური და სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ საფრთხეებს.

როგორც ცნობილია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქებისა და მრევლის ყურადღების ცენტრში მოექცა ჰომოსექსუალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. პირდაპირ შეიძლება ითქვას, კანონპროექტის თავდაპირველი ვარიანტი შეიცავდა ლგბტ ფასეულობების პროპაგანდისა და ჰომოსექსუალური ქორწინების დაკანონების პერსპექტივებს, თუმცა, მას შემდეგ, რაც საქართველოს პატრიარქმა ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური დამოკიდებულება დააფიქსირა კანონპროექტის მიმართ, დოკუმენტში შევიდა რამდენიმე საგულისხმო ცვლილება, რომელიც ხელშეწყობს ბერკეტად შეიძლება იქცეს ჰომოსექსუალურ ფასეულობათა პროპაგანდის და ქორწინების ასაკრძალად. დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ ის გულისხმობდეს რელიგიური გაერთიანებისათვის რელიგიის თავისუფლებიდან გამომდინარე უფლებების შეზღუდვას; არცერთი დებულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის დადებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას; ამავე დროს, დისკრიმინაცია არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც მიმართულია კანონით დადგენილი ზნეობრივი ნორმების დასაცავად. შესაბამისად, ეკლესიის ქადაგება ჰომოსექსუალური ურთიერთობების წინააღმდეგ და ამ ურთიერთობების ცოდვად და ავადმყოფობად გამოცხადება ვერ ჩაითვლება დისკრიმინაციად ან დისკრიმინაციისკენ ნაქმედებად. მეორეს მხრივ, ბუნდოვანია თუ რა სამართლებრივ შედეგებს მოიტანს ეს კანონი რიგით მოქალაქეებთან მიმართებაში, თუკი ისინი გაიზარდებიან ეკლესიის პოზიციას და ჰომოსექსუალურ ურთიერთობებს აღიარებენ არა სექსუალური ორიენტაცია და განედერულ იდენტობად, არამედ ავადმყოფობად და სნეულებად.

ასევე, დასაზუსტებელია თუ რას გულისხმობს გამოსატვის თავისუფლება და გამოსატვის ხელშეუხებლობა, ნიშნავს თუ არა ეს პუნქტი ლგბტ პროპაგანდის დაკანონებას თუ ის მხოლოდ ე.წ. ქამაუტს (ჩომუტ - არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის გასაჯაროება) გულისხმობს. ამ მხრივ, კანონი მეტ სიცხადესს და დაზუსტებას საჭიროებს, რათა გამოირიცხოს მრავალმხრივი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.

ქართული სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქცია ქართული ნაციის, როგორც ამ სახელმწიფოს ფუძემდებელი ეთნოსის, ეროვნული იდენტობის, სიცოცხლისუნარიანობის და თვითმყოფადობის შენარჩუნება და განვითარება უნდა იყოს. ხსენებული კანონი კი ასეთ ფუნქციონალურ დატვირთვას მოკლებულია. შესაბამისად, ქართული სახალხო-ეროვნული და ქრისტიანული ზნეობრივი პრინციპების დასაცავად, მომავალი თაობების ჯანსაღ ზნეობრივ გარემოში აღსაზრდელად, აუცილებელია ხელისუფლებამ საკანონმდებლო დონეზე აკრძალოს ჰომოსექსუალური ურთიერთობათა პროპაგანდა და ჰომოსექსუალური ქორწინების ლეგალიზების პერსპექტივები. ეს არის ქართველი ერის, ქართული საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის ნება და დაკვეთა და ხელისუფლება ვალდებულია ადექვატურად შეასუსტოს ამ გამონეგვას. საზოგადოების დაუღალავი ძალისხმევაც სწორედ ამ საკანონმდებლო ცვლილებების ფორსირებისთვის უნდა იქნას მიმართული. მიზნის მისაღწევად კი რეკომენდებულია სარეფერენდუმო ხელმოწერების შეგროვება. საყოველთაო ეროვნული რეფერენდუმში უნდა გახდეს ის გზა და საშუალება, რომელიც აკრძალავს ჰომოსექსუალურ ურთიერთობათა პროპაგანდას და ჰომოსექსუალური ქორწინების ლეგალიზების პერსპექტივებს, ისე, როგორც ეს გააკეთა ევროკავშირის წევრმა ხორვატიაში.

ამავე დროს, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნებაზე მეოცნებე გარკვეული ჯგუფები და საზოგადოებრივი უჯრედები ცდილობენ ლგბტ თემატიკაზე მანიპულირებით საზოგადოებაში ანტიდასავლური და ანტიევროპული განწყობები გამოიწვიონ და დღის წესრიგში ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების საკითხიც დააყენონ. ისინი პირდაპირ თუ ირიბად ევროპის და დასავლეთის ერთადერთ ალტერნატივად ოკუპანტ მეზობელთან „ურთიერთობების დალაგებას“ გვთავაზობენ, მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერაცია არ აპირებს გააუქმოს 2008 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. მეტიც, „ერთმონაშენ“ დამპყრობელი განაგრძობს

ოკუპირებული ზონის გაფართოებას და ქართული მოსახლეობის ტერორს, საქართველოს მოქალაქეების გატაცებას. ამავე დროს, უკრაინაში განვითარებული მოვლენების და „ცივი ომის“ განახლების ფონზე საუბარია ცხინვალის რეგიონიდან სომხეთში დისლოცირებულ გიუმრის სამხედრო ბაზამდე სტრატეგიული კორიდორის გაჭრის პერსპექტივებზეც. აქედან გამომდინარე, უახლოესი 4 თვე იქნება ყველაზე კრიტიკული პერიოდი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით, რადგან ივანის ბოლოს ქვეყანაში ხელი უნდა მოწაროს ევროპასთან ასოცირებული ურთიერთობების ხელშეკრულებას, სექტემბრის დასაწყისში კი ნატო-ს სამიტი საქართველოსთვის აღიანსში განვერიანების სამოქმედო გეგმის მიწიჭების საკითხსაც განიხილავს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთის იმპერია ძალღონეს არ დაიშურებს ამ პროექტების



ჩასაგდებად. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები კი, ამ ეტაპზე, ობიექტურად და რეალურად, უშუალოდ უკავშირდება დასავლეთის, ევროპის კავშირის, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო დახმარებასა და მხარდაჭერას. თუმცა, ქართული ეროვნული ზნეობრივი ღირებულებების და სასიცოცხლო ინტერესების სადაზარალო სტრატეგიულ პარტნიორებთანაც პრინციპულობის გამოჩენა გვმართებს, რასაც ვერ ვიტყვით მმართველი კოალიციის სუბიექტებზე, რომლებიც ნებისთუ უნებლიედ ხელს უწყობენ ქვეყანაში ანტიდასავლური განწყობების ზრდას.

ხსენებულ კანონში არსებული საფრთხეები მხოლოდ ლგბტ თემატიკით არ შემოიფარგლება. პირიქით, იგი გაცილებით დიდ და ეგზისტენციურ მნიშვნელობის საფრთხეებს შეიცავს, რაც ქვეყნის სრული სინგაპურიზაციის და ეროვნულ-ეთნიკური კატასტროფის წინაპირობად შეიძლება იქცეს. კერძოდ, ყველას კარგად მოგვესახება, რომ ე.წ. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ აზიის და აფრიკის 80-ზე მეტ ქვეყანასთან ე.წ. ლია კარის პოლიტიკა შემოიღო. შედეგად, ქვეყანაში უწყვეტ ნაკადად შემოედინებიან და მკვიდრებიან აფრიკელი და აზიელი მიგრანტები და ლტოლვილები. უმოწყალოდ იყიდება ქართული სასოფლო-სამეურნეო მიწები და ეროვნული რესურსები, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ირღვევა სახელმწიფო ენის უფლებები, ქვეყანა უკვე დატოვა და ტოვებს ათიათასობით ეთნიკურად ქართველი, მათ ადგილს კი აზიელი და აფრიკელი მიგრანტები იკავებენ. დაბალი საინვესტიციო ზღვრის პირობებში კი არსებობს იმის საფრთხე, რომ ქვეყანაში საშუალო ფენას სწორედ უცხოელი მიგრანტები შექმნიან, რომლებიც გამარტივებული წესებით იღებენ საქართველოში მუდმივად ბინადრობის უფლებას და საქართველოს მოქალაქეობას. ეთნიკურ ქართველებს კი თავისივე სამშობლოში უცხოელ მიგრანტთა მომსახურე ფენად გადაქცევის პერსპექტივა ელოდებათ.

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიხედვით, ასეთი საკითხების წინა პლანზე წამოწევა და ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილება დისკრიმინაციის ხელშეწყობად და ნაქმედებად შეიძლება შეფასდეს, რაც, პრაქტიკულად, სიტყვის თავისუფლების და გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვას ნიშნავს.

კანონის მე-2-ე მუხლის მე-5-ე პუნქტში ვკითხულობთ: „აკრძალულია ნებისმიერი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, ნაქმედებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის განსახორციელებლად“. ეს პუნქტი ნათლად გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი საუბარი, განხილვა და სიტყვიერი უკმაყოფილების გამოხატვა უკონტროლო საიმპერატიო რეჟიმის, შრომითი მიგრანტების მომრავლების, ეროვნული რესურსების გასხვისების, უცხოელი ლტოლვილების მიღების წინააღმდეგ შეფასდება დისკრიმინაციის ნაქმედებად და ხელშეწყობად, რაც უკვე არის ქართული სახელმწიფოს შემქმნელი ავტორიტონი ეთნოსისთვის საკუთარი სასიცოცხლო სივრცის დამცავი მექანიზმების მოსპობის და ქვეყნის სრული სინგაპურიზაციის მცდელობა აბოპოქრიბული

გლობალისტური პროცესების და უკონტროლო საიმპერატიო, საპასპორტო თუ არაგონივრული საინვესტიციო პოლიტიკის პირობებში.

დაახ, ლიად და დაუფარავად ვაცხადებ, რომ თუ უახლოეს ხანებში არ შეიზღუდა საიმპერატიო პროცესები, არ შეწყდა ქართული მიწა-წყლის და რესურსების გასხვისება, შრომითი მიგრანტების და ლტოლვილების მიღება, საქართველოში კატასტროფულად შეიცვლება დემოგრაფიული ვითარება და ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობა. შედეგად, ქართველი ეთნიკური იქცევა ეთნიკურ უმცირესობად თავისივე სამშობლოში.

უფრო მეტიც, ეს კანონი, შესაძლოა, რეგიონული ენების შემოღების წინაპირობადაც იქცეს, რადგან, კანონი განსაზღვრავს ენობრივი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობას. იმ ფონზე, როდესაც ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა ევროპულ კონვენციას რეგიონალური ენების შესახებ, 2013 წლის მარტში კი საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა ახალქალაქის საკრებულოში სომხური ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მიწიჭება მოითხოვა, ისმის კითხვა, აღნიშნული კანონი ხომ არ შექმნის სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონებში სომხური და აზერბაიჯანული ენების რეგიონალური ენებად გამოცხადების წინაპირობას? ეს კითხვა და ვარაუდი საგნებით ლეგიტიმურია, რადგან ყველასთვის კარგადაა ცნობილი თუ რა ულტრალიბერალური შეხედულებებით გამოიჩინა მმართველ კოალიციამ მოქმედი რესპუბლიკური პარტია. ამასთან, ყველანი მოწმენი ვართ, რომ ქართული ენის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა. ხშირად რეგიონებში თანამდებობებზე ინიშნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას, სხვადასხვა დაწესებულებებზე გამოკრულია მხოლოდ ინგლისური და არაბული აბრები, საქართველოს მოქალაქეობის მიწიჭებისას და ქართულ უნივერსიტეტებში უცხოელ იმიგრანტთა ჩარიცხვისას უგულვებელყოფილია ქართული ენის სათანადო დონეზე ცოდნის აუცილებლობა.

მტკიცედ მწამს, რომ საქართველოში ქართველი ეთნოსი, ქართული ენა, ქართული კულტურა და ტრადიციები თუ მორალურ-ზნეობრივი კატეგორიები უნდა იყოს დომინანტი. ეს მოსაზრება, ან ამ მწამის რეალიზებისთვის ბრძოლა არ შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციად რასის, ენის, ეთნიკური კუთვნილების ან რაიმე სხვა ნიშნით!

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ წარმოადგენს ბუნდოვანი და ორაზროვანი მუხლების და პუნქტების შემცველ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს საქართველოში ლგბტ პროპაგანდის და ლგბტ ქორწინებების დაკანონების საფრთხეებს. ამავე დროს, აღნიშნული კანონი ქართველ ეთნოსს უსპობს სასიცოცხლო სივრცის დაცვის საშუალებას და ქვეყნის სრული სინგაპურიზაციის წინაპირობებს ქმნის. შესაბამისად, კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საჭიროებს მთელი რიგი მუხლების და პუნქტების დაზუსტებას და მკაფიოდ ჩამოყალიბებას.

ამას გარდა, ქართველი ერის ინტერესებისა და ზნეობრივ-მორალური ფასეულობების დასაცავად აუცილებელია:

1. ევროპასთან ასოცირებული ურთიერთობის შეთანხმების გაფორმების შემდეგ ხელისუფლებამ საკანონმდებლო დონეზე აკრძალოს ლგბტ პროპაგანდა და ჰომოსექსუალური ქორწინებების ლეგალიზების პერსპექტივა.

2. შეიზღუდოს იმიგრაციული პროცესები, გამკაცრდეს იმიგრანტებისთვის მუდმივი ბინადრობის უფლების გაცემისა და საქართველოს მოქალაქეობის მიწიჭების პროცედურები, აიკრძალოს შრომითი მიგრანტების და უცხოელი ლტოლვილების მიღება, მინიმალური საინვესტიციო ზღვარი ავიდეს 1 მილიონ ლარამდე, აიკრძალოს სასოფლო-სამეურნეო მიწების, ხე-ტყის, წყლის და სხვა ეროვნული რესურსების გასხვისება. დაუშვებელია რეგიონალური ენების შემოღება. უნდა გაუქმდეს ქვეყნის რეგიონული მონყობა.

ეს საკითხები ეროვნული უსაფრთხოების კატეგორიას განეკუთვნება და მათი უგულვებელყოფა ქართველი ეთნოსის გაქრობის და ქვეყნის სრული სინგაპურიზაციის წინაპირობებს შექმნის.

და ბოლოს, ქვეყნის და ერის მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ დღემდე ვერ ხერხდება დასავლური თუ ჩრდილოური გავლენებისა და მისწრაფებებისაგან თავისუფალი, ქართულ ფესვებზე, ტრადიციებზე და ფასეულობებზე ორიენტირებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ფორმირება, რომელიც ღირსეულად უპასუხებს ყველა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გამოწვევას და კვლავაც ამაყად აფრიალებს 1991-93 წლებში დამხობილი ეროვნული ხელისუფლების დროშას.

ივანე მიქელაძე


გაზეთ „ბანგალის უფლებების“ რედაქცია დიდ ქართულ მწერალს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს ბატონ გურამ კატრიავილს ულოცავს დაბადებიდან 72-ე წელს და უსურვებს მას კიდევ დიდხანს სიცოცხლეს ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ!

26 მაისი — მერაბის დაბადების დღე!

გურამ კატრიავილი

ახლა უკვე მთლად საქართველოსათვისაა ცხადი, რომ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა არიან ის ისტორიული პიროვნებები, რომელთა ცხოვრებისა და ნააზრვეის შესწავლის გარეშე ვერ შევძლებთ ქართველები გავიწყვით, თუ რა არის კარგი და რა — ცუდი. და რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ სამომავლოდ. რა თქმა უნდა, ჩვენს შემდეგ მოვლენ თაობები, რომელთა ისტორიკოსები, პროზაიკოსები და კინემატოგრაფისტები ყურადღებით და დაფიქრებით შეისწავლიან ზვიადისა და მერაბის საქმეებს და შექმნიან ღირსეულ ნაწარმოებებს თავიანთ სფეროში. ჩვენი ვალი კი, იმ თაობისა, რომელიც მათ ცოცხლებს შეესწრო, ისაა, რომ რაც შეიძლება სრულად აღვსუსთოთ ყველაფერი, რაც ამის ღირსია...

26 მაისი მერაბის დაბადების დღეა და ამ თარიღის



ალსანიშნავად გავიხსენოთ მისი ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი....
 მინდა ვიამბოთ, რაც ერთხელ მითხრა თემურ ჯანელიძემ.
 თემურ ჯანელიძე მერაბისა და ზვიადის დიდი ხნის მეგობარი იყო: ნამდვილად სუფთა, ერთგული და პირდაპირი. ამიტომაც მნიშვნელოვანია მისი ნათქვამი მერაბზე.
თემურ ჯანელიძე:
 „მერაბი როიალზე უკრავდა საოცრად.“

განსაკუთრებით უყვარდა შოპენი. არა ბეთჰოვენი ან ბერლიოზი. შოპენი უყვარდა.
 მთელი არსებით გრძნობდა. უნაზესად უკრავდა. სახეზე ეტყობოდა, თუ როგორ განიცდიდა ბგერებს.“
თემო ჯანელიძე:
 „ერთხელ ვილაც კაცი გადაეკიდა მერაბს. ეკამათებოდა და ეკამათებოდა. უდიერად ეუბნებოდა, შენ ეს არ გესმისო.
 მე გაგზავნი, ვაპირებდი, წავიკებოდი იმ კაცს. მერაბმა დამამშვიდა.
 გაიყვანა ის კაცი გვერდზე და მხარეზე ხელი მოჰხვია, შენ მართალი ხარო.“
თემო ჯანელიძე:
 „ერთხელ მოვიდა და მითხრა: ბათუმში ვარ წასასვლელი. სკოლაში გაკვეთილი მაქვს ჩასატარებელი. თუ ძმა ხარ, შენ ჩაატარე ჩემს მაგიერო. ვუთხარი, რას აბმოზ, მე ვინ შემიშვებს—მეთქი.
 მერაბმა ბავშვით ტყუილი მოიგონა:
 — უთხარი, რომ მე რუსთაველი ვატარებ მეცადინეობას შენს მაგიერო.
 ასეც გადაკეთე.
 დირექტორი კეთილი ქალი ყოფილა. თუმცა არ დაიჯერა ჩვენი ტყუილი, ბავშვებთან შემიშვა.
 მერე ამბობდა: ვერ წარმოიდგენთ, თუ როგორ მიყვარს მერაბი და პატივსაც ვცემ, მაგრამ გამანამეს კაგებეში და ემვედეში სიარულითო.“
თემო ჯანელიძე:
 „ერთხელ თბილისში სუფრაზე ვისხედით და იქ წამომცადა, რომ რაღაც წამალი მქონდა საყიდელი.
 დილით რუსთაველი ჩამოვიდა მერაბი, მაგიდაზე დამიდო წამალი და ნავიდა, მეჩქარებო.“
თემო ჯანელიძე:
 „რუსთაველი ქარხნის დირექტორთან ვიყავით და ვლაპარაკობდით აჭარიდან ჩამოსახლებულთა სახლებზე.
 მერაბმა თქვა, ყველამ ვიმუშაოთ, როგორც შეგვიძლია. ვინც გვილაპარაკებს, ჩემთან ექნება საქმეო. პატარა ინცინდენტი მოხდა. გურამ გოგბაიძე რაღაცაზე გაჯიუტდა.
 მას მერაბმა დაადო მხარზე ხელი და უთხრა:
 — აი, ეგ სიჯიუტე უნდა გამოიყენო ამ საქმეშიო.“
თემო ჯანელიძე:
 „მერაბთან ციმბირში ჩავედი გივი მალულარია,

მე და ერთი ქალი (იმ ქალბატონის გვარი მე ვერ დავიმახსოვრე, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი. — გ. პ.).
 სუფრაზე სადღეგრძელოში გივი მალულარია დაინწყო მერაბის ქება.
 მერაბი მასზე ლაპარაკს არ გვაცდიდა.
 მერე ვეტყვოდით, შენ ხომ გვეუბნები სადღეგრძელოს, ჩვენც გეტყვიოთ.
 მაშინ გვისმენდა...
 ახლაც ასე მოხდა.
 — რა ძლიერი ხარ, ყველაფერს უძლებო — უთხრა გივიმ.
 — რატომ, აქ ყველაფერი მაქვს, რომ ვიცოცხლო — თქვა მერაბმა.
 მართლაც არაფერი უნდოდა თავისთვის“. ახლა მეც მინდა გავიხსენო ერთი ამბავი.
 ოპერის თეატრის ირგვლივ ვიდექით ეროვნული მოძრაობის წევრები. ხოლო ოპერაში რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა ტარდებოდა. ირაკლი წერეთელი, როგორც ეტყობა, შეანუხა უმოქმედოდ ყოფნამ და უცებ ხმამაღლა გამოაცხადა: „ვისაც გინდათ, წამოდით გაგებულთან მივიდეთ და ვუთხრათ, რასაც ვფიქრობთ მათზეო“.
 ბევრი გავეყვირეთ ირაკლის...
 კაგებე ოპერიდან დიდი-დიდი ორი კვარტლის დაშორებით იყო...
 კავშირგაბმულობის სახლთან მარჯვნივ მოვუხვიეთ და ერთი ორასი მეტრი რომ გავიარეთ, შევდექით. გვექონდა მეგაფონი და სახელდახელო მიტინგი გამართეთ.
 გამომსვლელები საკადრისად მიმართავდნენ კაგებეს და ლანძღავდნენ კიდეც.
 უცებ ვხედავ, რამდენიმე ადამიანთან ერთად მოდის მერაბი.
 ვიდრე მერაბი მოგვიახლოვდებოდა, ვილაც გამომელაპარაკა და ვერ დავინახე, თუ როგორ აიღო მერაბმა მეგაფონი და როგორ მოემზადა სიტყვის სათქმელად.
 და უცებ მესმის მისი ხმა:
 — „მეგობრებო, ძმებო...“
 მივიხედე.
 მერაბი იდგა პირით კაგებესაკენ და ისე ლაპარაკობდა:
 — „ძმებო, თქვენგან მრავალი მახსოვს ტანჯვა და დამცირება, მაგრამ ყველაფერი მიპატივბია. ახლა კი რომ ქართველმა ხალხმაც შეგინდოთ შეცოდებანი, გთხოვთ გადმოსხვიდეთ ჩვენსკენ. ქართველები ძალიან ცოტანი ვართ და თუ გვინდა გავიმარჯვოთ, ერთად უნდა დავდგეთ. ძმებო, დადექით ჩვენს გვერდით!“
 აღარ მახსოვს ვინ რა თქვა იმ სახელდახელო მიტინგზე. აღარცაა საჭირო, რადგან მთავარი მერაბმა თქვა...

„ფელდმარშალ“ კიტოვანის პნეზები

„მე, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, შევდივარ რა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგებში, ღვთისა და ერის წინაშე საჯაროდ ვფიცავ პირნათლად ვემსახურო ჩემს სამშობლოს — საქართველოს“.
 ეს სიტყვები ამონარიდია საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ფიციდან, რომელიც თენგიზ კიტოვანმა საზეიმოდ დადო, მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკის კანონით ფორმირებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარები — ეროვნული გვარდია. თენგიზ კიტოვანმა გატეხა ეს ფიცი და მის მიერ ჩადენილი დეზერტირობის შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 23 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად გათავისუფლდა შინაგანი ჯარები — ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობიდან. დაარღვია რა საქართველოს კონსტიტუცია, თენგიზ კიტოვანმა, რესპუბლიკის წინააღმდეგ ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული ამბოხი წამოიწყო. ამ მოლაღატური ქმედებით მან დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შეფერხება და ტერიტორიული ერთიანობის რღვევა, რესპუბლიკაში განქვეითდა უკანონო შეიარაღებული ფორმირება, რომელსაც შეუერთდნენ სხვადასხვა ჯურის ბანდები, დაიწყეს თარეში, ხალხის დანოკება და საზოგადოებრივი ქონების ძარცვა.

1991 წლის 22 სექტემბერს თენგიზ კიტოვანის უკანონო შეიარაღებული ფორმირების მიერ დაკავებულ იქნა საქართველოს ტელე—რადიო დეპარტამენტის შენობა და ცირკი, იმ დღესვე გაიძარცვა ამიერკავკასიის სამხედრო მუზეუმი, საიდანაც სხვადასხვა ძვირფას ნივთებთან ერთად, გატაცებულ იქნა 100-ზე მეტი ორდენი (ოქრო—ბრილიანტით განყოფილი). 24 სექტემბერს გახორციელდა თავდასხმა „თელასის“ შენობაზე, მიზანი იყო თბილისის ჩაბნელება, მათ ეს არ გამოუვიდათ, მაგრამ მსხვერპლი მოჰყვა — ერთი თავდამსხმელი და ორი მილიციელი დაიღუპა. თენგიზ კიტოვანის, თბილისის ზღვაზე მდებარე პროფკავშირების შენობაში გადაბარგებამაც მოჰყვა მსხვერპლი, როგორც ანტიკონსტიტუციური მეამბოხეებში, ასევე კონსტიტუციური კანონიერების დამცველ ეროვნულ გვარდიასა და მილიციელთა მხირიდან. თენგიზ კიტოვანის უკანონო შეიარაღებული ფორმირება არ ეშვებოდა თარეშს, იგი არა მარტო კანონიერი ხელისუფლების დამხობას ლაპობდა, არამედ ყოველნაირად ასუსტებდა ცხინვალის რეგიონში სეპარატიზმთან მეზობლ ქართველებს; მისმა ფორმირებამ განახორციელა თავდასხმა ავჭალაში არსებულ ტექსტილურ-საქსელოს სამხედრო კათედრის ობიექტზე, სადაც სამაჩაბლოს დამცველთათვის გარემონტდა ტანკი T-54 (მართალია ეს საბრძოლო

საშუალება ახალი არ იყო, მაგრამ მისი გამოყენება სეპარატისტთა თარეშს შეზღუდავდა), თენგიზ კიტოვანის ანტიკონსტიტუციურმა მეამბოხეებმა ეს ტანკი ააფეთქეს, რითაც დიდად დაეხმარნენ სეპარატისტებს.
 შემდეგ იყო 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება უდიდესი მსხვერპლითა და დედაქალაქის ცენტრის ნგრევით. სახელმწიფო—პოლიტიკური ძალაუფლების უზურპაცია მოახდინა ე. წ. სამხედრო საბჭომ „ფელდმარშალ“ თენგიზ კიტოვანისა და „გროს—ადმირალ“ ჯაბა იოსელიანის შემადგენლობით, ხოლო „დროებით მთავრობას“ საბჭოთა „ინტელიგენტი“ თენგიზ სიგუა ჩაუდგა სათავეში. ქვეყანაში დამყარდა ტერორისტული დიქტატურა. თბილისში 3,7 და 26 ანვარს, 2 თებერვალს უმონყალოდ დაიხვრიტა კონსტიტუციური კანონიერების აღდგენის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი მოქალაქეების მანიფესტაციები. დარბევებმა მოიცვა სხვა ქალაქებიც: რუსთავი, ქუთაისი, სამტრედია, ფოთი, სენაკი და ზუგდიდი.
 რესპუბლიკა წაღვეა ყაჩაღობამ, კორუმპირებული რომენკლატურისა და პრივილეგიებული ინტელიგენციის რევანშმა ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა. მათ საქართველოში მოიხმეს ედუარდ შევარდნაძე სათანადო „აქტებით“. საქართველოში ტირანად მობრუნებულ ედუარდ შევარდნაძის სამსახურში 1992-1993 წლებში თენგიზ კიტოვანი „პრემიერ—მინისტრის პირველ მოადგილედ და თავდაცვის მინისტრად“ ი მ ყ ო ე ბ ო დ ა .

გაგრძელება გვ. 6

1991 წლის 26 მაისს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტად სრულიად საქართველოს მოსახლეობის 87% აირჩია ბვიად გამსახურდია!

დღეს შევიკრიბეთ ამ მიწაზე, სადაც დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში იმართებოდა მიტინგები და შეკრებები. დღეს ჩვენთან არიან საქართველოს თავისუფლებისათვის წამებულთა სულები, საქართველოს დამოუკიდებლობის სულის ჩამდგმელები და ამ დღეს გვმართებს დიდი დაფიქრება და დიდი ანალიზი ჩვენი ბრძოლისა, ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორი კურსის განსაზღვრისათვის.

მეგობრებო! გილოცავთ ყველა ქართველისათვის ამ ღირსსახსოვარ დღეს. და დღეს, მეგობრებო, უნდა ითქვას სიმართლე, რამეთუ სიმართლისათვის მოგვავლინა უფალმა ჩვენ, სიმართლისათვის მოავლინა ქართველი ერი, რათა მან სწამოს ჭეშმარიტი, რათა მან სწამოს ქრისტესთვის, რათა იგი გაბრწყინდეს მსოფლიო ხალხთა წინაშე, ვითარცა ქომაგი ჭეშმარიტებისა. მეგობრებო, ნუ იყოფინ ორპირობა და გულაღრძილობა ამ დღეს, ამ წმინდა მიწაზე, სადაც წინაპართა აჩრდილები თავს დაგვტრიალებენ, სადაც სულმნათი მერაბ კოსტავა გადმოგვცქერის ზეციური საქართველოდან, სადაც წმინდა ილია მართალი დაგვცქერის ჩვენ, ჩვენს მიერვე წამებული ილია მართალი.

ძმანო და დანო! ქართველი ერი ქრისტეს მცნებით ვიდოდა ისტორიის ეკლიან გზაზე და მე მინდა შეგახსენოთ იგავი იოანეს სახარებისა, რამეთუ ეს იგავი მიესადაგება ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას, ჩვენს გუშინდელ დღეს, ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს დამოუკიდებლობას - იმჟამად წართმეულს, იმჟამად დამარცხებულს და ჩვენ დღეს უნდა გავაცნობიეროთ, თუ რა არჩევანის წინაშე ვდგავართ. ეს იგავი სახარებისა არის შემდეგი: როდესაც მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე გამოიყვანეს ებრაელი ხალხის წინაშე რომაელებმა და მისმა მტანჯველებმა, ისრაელს ჰქონდა წეს-ჩვეულება: სიკვდილით დასჯილი ერთ-ერთი ადამიანი ამ დღეს უნდა მიეტყვიანათ ხალხისათვის. მაშინ რომაელთა ხელისუფლებამ მიმართა ისრაელის ერს: ვინ მოგიტყვით? და წარუდგინა ქრისტე - ღმერთკაცი და ბარაბა - ავაზაკი. მაშინ იხუვლა ისრაელის ერმა: ჯვარს აცუ ეგე და მოგიტყვე ჩვენ ბარაბა, მოგიტყვე ავაზაკი. ხოლო ჯვარცმად გაუშვა ქვეყნად მოვლენილი მესია-ღმერთკაცი!

ძმანო! უსაშინელესი ტრაგედია დაატყდა ისრაელს ამის შემდეგ, რომელიც გრძელდებოდა ოცი საუკუნის

ზვიად გამსახურდიას მიერ 1990 წლის 26 მაისს ქარიშხლას სტადიონზე წარმოთქმული ისტორიული სიტყვა

მანძილზე, მათ დაკარგეს სახელმწიფოებრიობა, დაკარგეს ენა, დაკარგეს ტერიტორია, გაიფანტნენ მთელს მსოფლიოში, არნახული ტანჯვით ვიდოდნენ და მხოლოდ ორი ათასი წლის შემდეგ შეუნდო უფალმა ის, რომ მათ აირჩიეს ავაზაკი, ავაზაკის გზა და უარყვეს ქრისტე. და, აი, ქართველი ერი, ღვთის ერი, ასევე ღვთის რჩეული, ვით ისრაელი, ვიდოდა ქრისტეს ეკლიანი

არნახული სასჯელი, რომელიც სამოცდაათი წელი გვანადგურებს.

აი, ამის გამო მივიღეთ ძმანო ეს სასჯელი, რამეთუ უარყვავით ქრისტე, ქრისტეს მოვლენილი კაცი, მესიად მოვლენილი კაცი და ავირჩიეთ ბარაბა ავაზაკის, სოციალ-დემოკრატიის და მსგავსთა მისთა გზა.

აი მიზეზი ჩვენი კატასტროფისა, აი მიზეზი 26 მაისის დამარცხებისა, აი მიზეზი იმისა, რომ ვიქმენით ჩვენ, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი, მტერთაგან ძლეულნი. მაშული ჩვენი მტერთა ჩვენთა ფეხქვეშ გაითულა და ჩვენ დღეს უფსკრულის პირას ვართ. და, აი მოდის ახალი არჩევანი ძმანო და დანო, წარმოვიდგათ უფალი და გუებნებათ: ქართველო ერო, შენ წინაშე არის ორი გზა; შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზაგასაყართან. აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სინმინდისა, ზნეობისა, აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკობისა და აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკერობისა, აი, გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველო ერო! აირჩიეთ, ქართველებო! აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა! აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაზღვრედელთან მიგვიყვანს! და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებული იყოს უკუნისამდე!

ჩვენ, ძმანო, ვდგავართ პირისპირ სატანასთან, გველემუშთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქმავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალს და გაგვტოლავს ჩვენ ეს კოსმიური გველემუშაი, ეს პლანეტარული მხეცი - ანტიქრისტე, რომელიც წარმოვიდგება და გვეუბნება: აი, ეროვნული მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის ნიღბით და საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება.

გაუმარჯოს ილია მართლის გზას, მერაბ კოსტავას გზას!

კურთხეულ იყოს ილია მართლის გზა!
1990 წლის 26 მაისი, თბილისი,
ქარიშხლას სტადიონი



გზით. მოვიდა მეოცე საუკუნემდე და მის წინაშე წარდგა არჩევანი. აი ეროვნული მოძრაობა დიდი ილიასი, დიდი ჰუმანისტებისა, დიდი დემოკრატებისა და აპა მოძრაობა ყაჩაღებისა, ავაზაკებისა და უღმერთო ერისა, ბარაბასი. და როდესაც ისტორიამ სამსჯავროზე ჩვენს წინაშე გამოიყვანა დიდი ილია და გამოიყვანა ავაზაკი, ჩვენ ავირჩიეთ ავაზაკი, ჩვენ უარყვავით დიდი ილია და ჩვენ ტყვეთა ვესროლეთ მას.

და აი, დადგა ჟამი ჩვენი განთავისუფლებისა, ჩვენ მივიღეთ თავისუფლება, მაგრამ ბარაბას გზით. ბარაბას გზა ავირჩიეთ და ეს თავისუფლებაც უფალმა ისე წაგვართვა, ვით მოგვივლინა და დაგვატყდა თავს

დასაწყისი გვ. 5

ცხინვალის რეგიონში სამშობლოს დამცველი ქართველების ძალისხმევით დაჯანსაღებული სეპარატისტები 1992 წლის 24 ივნისის დავალობით და ტირან ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით თენგიზ კიტოვანი 1992 წლის 14 აგვისტოს მდინარე ენგურზე გადავიდა. ეს მისი პირველი გადაბრუნება არ იყო; 1992 წლის თებერვალში მისი ფორმირება უკვე იმყოფებოდა სოხუმში, სადაც რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების №901 სადესტანტო-მოიერიშე ბატალიონიდან მიიღო 2 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა BMP-2 და 200 ერთეული კალაშნიკოვის ავტომატი. იმავე წლის აგვისტოში რუსეთის №10 კადრიებული დივიზიიდან (ქ. ახალციხე) თენგიზ კიტოვანმა მიიღო მოძველებული T-55 ტიპის ტანკები, რათა აფხაზეთში განეხორციელებინა რუსეთის იმპერიული სტრატეგია, რაც 1993 წელს „დაგვირგვინდა“ ქ. სოხუმისა და აფხაზეთის უდიდესი ნაწილის რუსეთის იმპერიული მმართველობისათვის გადაცემით.

ფრონტზე რომ ვერ ივარგა, „ფელდმარშალმა“ თენგიზ კიტოვანმა, ეგებ ზურგში გამოიჩინა მარიფათი და ქვეყნის საზღვაო და საჰაერო თავდაცვა უზრუნველყო? არა! რუსეთმა შეუფერხებლად გაიყვანა ქ. ფოთიდან საზღვაო ბრიგადა თავისი ხომალდებით, კატარალებით, საბრძოლო არსენალითა და რადიოელექტრონული თუ აკუსტიკური სადაზვერვო მონაცემებით. სამაგიეროდ, „ფელდმარშალს“ ბლომად დარჩა ლეიბები, ბალიშები, თერთეული, ტელეფონის აპარატები, ავეჯი და ჭურჭელი, საზღვაო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. თუმცა ეს მატერიალური ფასეულობა ვერ იხილა ქართველმა მებრძოლმა, „ფლოტი“ კი ქალაქზე დარჩა.

კიდევ უარესი მოხდა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში; საქართველომ დაკარგა მის ტერიტორიაზე არსებული 1 საზენიტო-საარტილერიო დივიზიის, 3 საზენიტო-სარაკეტო ბრიგადის, 2 საზენიტო-საარტილერიო ბრიგადის, 2 საზენიტო-საარტილერიო პოლკის, 2 საავიაციო-გამანადგურებელი პოლკის, 3 რადიო-ტექნიკური ბრიგადის, 1 რადიო-ტექნიკური ბატალიონის სრული შეიარაღება, საბრძოლო ტექნიკა, აღჭურვილობა და მასალები, განადგურდა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის არმიის შტაბი. შედეგად საქართველოს საჰაერო სივრცე გახდა სრულიად დაუცველი.

„ფელდმარშალი“ თენგიზ კიტოვანი კი ამ დროს იმჟამის „პარლამენტის“ შტურმით იყო დაკავებული; 1992 წლის 11 ოქტომბრის ანტიკონსტიტუციური ფსევდო-საპარლამენტო „არჩევნების“ შემდეგ, 4 ნოემბერს შეკრებილა „პარლამენტარებმა“, კენია-კენიას შეძახილით, ტრბუნდინ ჩამოაგდეს თენგიზ სიგუა. ეს ძალზედ ემცხეთა „ფელდმარშალს“ და თავისი „გულადებით“ „პარლამენტის“ დარბაზში შევარდა. ეს ვაი-პარლამენტარები და ვაი-პოლიტიკოსები, რომელთაც 1991 წლის სექტემბერ-დეკემბერში ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამინა ქალამნად, შემინებულნი და დარცხვენილები ხმასაც ვერ იღებდნენ თენგიზ კიტოვანის „გულადთა“ არანორმატიული „ლექსიკის“ წინაშე და თავჩაქინდრულეობა ხმა კვლავ „მისცეს“ თენგიზ სიგუას გაპრემიერ-მინისტრებას.

„ფელდმარშალი“ მარტო პოლიტიკით არ იყო დაკავებული. აი, რას ნერდა ჟურნალი „Армия“ 1993 წლის №11-ში ამ „ფელდმარშალის“ მინისტრობის ეპოქაში დატრიალებულ ამბებზე. „რუსეთის ფედერაციის პარაკურატორის რუსეთის შეიარაღებულ ძალებში კანონთა შესრულებაზე ზედამხედველი მთავარი სამმართველოს ოფიცერი, იუსტიციის პოლკოვნიკი ვიქტორ კრუკი: 1993 წლის 21 იანვარს ჯარების ჯგუფის №336 სამედიცინო საწყობზე თავდასხმისას ქ. თბილისში

ქართველმა მომრეგმა ხელში ჩაიგდეს 280 ათასზე მეტი ნარკოტიკული ნივთიერების ამპულა, დაუდგენელი რაოდენობის სხვა პრეპარატები, სამედიცინო აღჭურვილობა, 2 კილოგრამი საპროთეზირო ოქრო“. ეს ოფიცერი თავის მოხსენებაში ასევე აღნიშნავს, რომ: „მიტაცებულია 25 ათასზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი, 300 ათასზე მეტი ხელყუმბარა, ათეულობით მილიონი ვაზნა, ასეულობით ავტომობილი, ჯავშანტექნიკა და მძიმე შეიარაღება“.

დანიტერესდა კი დღემდე სხვადასხვა მთავრობების სამართალდამცავი ორგანოები, სად წავიდა ამდენი ნარკოტიკი, იარაღი და საბრძოლო ტექნიკა? მარტო 300 ათასი ხელყუმბარა რომ მოხვედროდათ სეპარატისტებსა და მათ დამქაშ რუს იმპერიალისტ ინტერვენტებს, დღეს ცხინვალის რეგიონიცა და აფხაზეთიც გათავისუფლებული იქნებოდა. 2050 ვაგონი საბრძოლო მასალა ინახებოდა საქართველოში სსრ კავშირის დაშლის წინ და ისე გაქრა ყოველივე, რომ ქვეყნის თავდაცვას ეს არ დატყობია.

აი, როგორ „იმოღვანევა“ „ფელდმარშალმა“ თენგიზ კიტოვანმა.

დღეს ეს ინდივიდუალური „ანტიტერორისტული სამოქალაქო კომიტეტის“ სახელით ჰომოსექსუალიზმთან მებრძოლის მანტიამი გავხვეული გვევლინება. საკითხავია, 1992 წელსაც ჰომოსექსუალიზმს ებრძოდა, როცა ე. წ. სახელმწიფო საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის სისხლისსამართლის კოდექსიდან ამოიღო სამართლებრივ პასუხისმგებლობის მუხლები? ე. წ. სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი თენგიზ კიტოვანი, ხომ ასეთი უკომპრომისოა ჰომოსექსუალიზმთან მიმართებაში. არ ახალია და ძველია გამოთქმა „უძაღლო ქვეყანაში კატები ჰყეფენო“. ის რომ თენგიზ კიტოვანის პერსონის სამართალდამცველები არ ინტერესდებიან, ეს არის იმის საფუძველი, რომ „ფელდმარშალმა“ იფიქროს, რომ კვლავ შეუძლია აბობლდეს ძალაუფლებაზე.

დავით არაბიძე

გამოხაზურება სტივენ ჯონსის წიგნზე ზვიად გამსახურდიას კრიტიკაზე

ამერიკელმა პროფესორმა, რუსეთისა და ევრაზიის საკითხების მკვლევარმა, სტივენ ჯონსმა (Stephen Jones) 2012 წელს გამოსცა წიგნი: „საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ (Georgia: A Political History since Independence). 2013 წელს წიგნი ქართულად გამოიცა ფონდ „ლია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით (თარგმანი ხათუნა ჩხეიძის).

სტივენ ჯონსი ამბობს, რომ ის ამ წიგნზე ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა და 30 წელზე მეტხანს კრებდა მასალებს მისთვის. ნაშრომი ყურადღებით წავიკითხე და მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრებანი. მთელი რიგი პრინციპული მიზეზების გამო მომიხდებოდა უმკაცრესად გავაკრიტიკო სტივენ ჯონსის მის მიერ ზვიად გამსახურდიასზე გამოთქმული, მეტად მცდარი, ზერელე და აღმასფთვებული მსჯელობისათვის. ნაწერში ჩანს, რომ შევარდნაძის ძველი მომხრენი ხდებოდნენ ამერიკელ ისტორიკოსს და მათთვის მისაღებ, მათი დანაშაულის გამამართლებელ მოსაზრებებს აწვდიდნენ. წიგნში აშკარად ჩანს გამსახურდიას დამხობის გამართლებისადმი დიდი მისწრაფება. ამერიკელ ავტორს საამისოდ მოუშველიებია მთელი არსენალი დღეისათვის უღვთოდ გაცვეთილი, ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებული ლიბერალური შაბლონებისა.

სტივენ ჯონსის წიგნის ბოლოს მითითებულ ლიტერატურაში (გვ. 402) ნახსენებია გურამ პეტრიაშვილის თავის დროზე ცნობილი პოლიტიკური წერილი ლევან ლვინჯილიას წინააღმდეგ, გამოქვეყნებული 1991 წლის მარტის დამდეგს. ცხადია, რომ ეს წერილი აქაურებმა მიაწოდეს სტივენ ჯონსს იმის დასტურად, რომ აი, ზვიადი დემოკრატიის მწველად მოსურნე ინტელიგენტებს დევნიდა და მათ არ უსმენდა. სტივენ ჯონსი ამ საპოლემიკო წერილს თვითონ ძნელად იპოვიდა. იგი კი მიუთითებს ამ წერილზე, მაგრამ საქმის არსს არ ეხება. გ. პეტრიაშვილის ამ წერილს ეწოდება „რას მერჩოდა, რას მეგრძოდა, რას მერქაგრებოდა?“ ეს ვრცელი წერილი გაზეთის სამ ნომერშია („საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ., 2, 5, 6 მარტი). სტივენ ჯონსის წიგნში კი მხოლოდ წერილის პირველი ნაწილი (1991 წლის 2 მარტი) არის მითითებული. ლევან ლვინჯილიასთან კამათში გურამ პეტრიაშვილია სწორი. ის აქ წერს, რომ ინტელიგენცია ცრუ ოპოზიციონერია. წერილი ენათმეცნიერულადაც არის ღირებული, რაც მაშინ მოქილიკე ინტელიგენტებში არ დაინახა. ლევან ლვინჯილიას პირადად ვიცნობ. ის არც ქართული ენის დამცველად ვარგა და არც არაფერი დასავლური ლიბერალიზმისა გაეგება. ლვინჯილია ტელეეთერში ჯდომით მოიყარა. გურამ პეტრიაშვილმა ვერაფერი შეასმინა ზვიადის მომტყრე ინტელიგენციას. ამ წერილის პირველ ნაწილში ის წერს: „ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა პოლიტიკაზე მაღლა დგას და იმდენად საკუთრივ პოლიტიკა არაა, რამდენადაც ქართველი პატრიოტის ქმედება“. ეს კი ასე იყო, მაგრამ ოპოზიციონერი ინტელიგენცია არ ხედავდა, რომ ზვიადისადმი ნასროლი საქართველოს ხედვებოდა. თუ სტივენ ჯონსს ეს წერილი მიაწოდეს ინტელიგენტებმა, მაშინ მიეწოდებინათ მისთვის გაზეთი „თუთარჩელა“ და კლარა აბრამიას აქ ნაჯღაბნი დემოკრატიისათვის ბრძოლის ნიმუშად წარმოეჩინათ. 1992 წელს ამ გაზეთის რედაქტორი აბრამია წერდა, რომ „შევარდნაძე მისაბაძია და ის აგვამალუბს!“ (კ. აბრამია, ამ ზამთარს, 83 წლის ასაკში თბილისის მიუსაფართა თავშესაფარში გარდაიცვალა — რედ.).

ქართველი ინტელიგენცია არ ყოფილა მოქართვე და მოჭირისუფლე. ის ყოველთვის კონფორმისტი და კომპრადორული სულის მქონე იყო. მან დიდი წილი დაიდო ქვეყნის დაქვევებაში, აფხაზებისა და ოსების ქართველთაგან სამუდამო განდგომაში. პეტრიაშვილი ალაღად აფრთხილებდა ინტელიგენციას და ის ჯასაცილოდ აიგდეს. სტივენ ჯონსი თავის წიგნში ინტელიგენციის მხარეს იჭერს და ლიბერალური შაბლონებით ფარავს იმას, რაც უფრო ღრმა ჩახედვას და მკაცრ მსჯავრს მოითხოვს.

ჯონსის ნაშრომის მესამე თავის ქვესათაურია „ბუნკერი“ (გვ. 73). ქვემოთ, ტექსტში კი წერს ავტორი, რომ ბუნკერი ოპოზიციის მოგონილი ტერმინი იყო პიტლურთან პარალელის გასავლელად. თუ ეს იცის სტივენ ჯონსმა, მაშინ მას ქვესათაურად სიტყვა „ბუნკერი“ აღარ უნდა გამოეყენებინა, ან ის ბრჭყალებში უნდა ჩაესვა.


ამერიკელი პროფესორი წერს: „გამსახურდიას სწამდა ნახევრად მითოლოგიური და რასობრივად წმინდა ქართული წარსულის; ის საქართველოს ადარებდა მკვდრეთით აღმდგარ ლაზარეს, მაგრამ გამსახურდიას დიდი პოპულარობა მხოლოდ ამ ფანტაზიებით არ იყო განპირობებული“ (გვ. 74-5).

ეს ფანტაზიები არ იყო. ეს იყო მრწამსი ზვიადისა. განა ანგლოსაქსური მესიანიზმი, რომლის გავლენა თავად ჯონსის ამ წიგნშიც ჩანს, ბიბლიას არ ეყრდნობა? მესიანიზმი არაა ფანტაზია. არა, თუ ავტორს გამსახურდიას განქიქება დაუსახავს მიზნად, ეს სხვა საქმეა.

არ ვეთანხმები ავტორის ნათქვამს, რომ „გამსახურდია ისე იქცეოდა, როგორც საბჭოთა პარტიული ბოსი; გულში ქართულ ეროვნულ ინტერესებს ატარებდა, მაგრამ

ავტორიტარული ჩვევები საბჭოთა სისტემისაგან ჰქონდა შესისხლბორცებული, რამაც ის, საბოლოოდ დაამარცხა კიდევ“ (გვ. 75).

ეს მთლიანად არის ტრაფარეტული მსჯელობა, რომლის მსგავსაც მრავლად წაგანყვებით დასავლელი პოლიტოლოგებისა და ისტორიკოსების ნაშრომებში. გამსახურდიას ვერ ექნებოდა საბჭოთა სისტემისაგან შესისხლბორცებული ავტორიტარული ჩვევები, რადგან ის ჭაბუკობიდანვე ამ სისტემის მიერ იყო დევნილი. ის არასოდეს ყოფილა ამ სისტემის რეპრეზენტაციული ფიგურა და როგორ შეისისხლბორცებდა ავტორიტარულ ჩვევებს? სტივენ ჯონსს ეს შევარდნაძეზე უნდა დაეწერა და არა გამსახურდიასზე. 1992 წლის მარტიდან პარტიული ბოსები ისევ მოვიდნენ ქვეყნის სათავეში. მათ მოსვლას მოწონებით მიეგება რენეგატი ქართველი დისიდენტობა, რომელიც მანამდე ქვეყანას ანტისაბჭოური ყვირილით აყრუებდა და ატყუებდა. გამსახურდიას სისხლში გასვრილი ეს დისიდენტობა მტკიცედ შეეკრა ხელახლა მოსულ პარტიულ ელიტას და პოლიტიკაში გადმოსულ რეციდივისტებს. დიდმა ცოდვამ და განკითხვის შიშმა შეამტკიცა კვლავ მოსულ კომპარტიულ მუშაკებს გაყიდული ანტისაბჭოელი



დისიდენტები. ეს იყო დიდი იდეური ღალატი, რაც არსად მომხდარა საბჭოთა ბანაკის ქვეყნებში. 1992-2003 წლები იყო საერთო ცოდვის უამი. განა ეს ვერ დაინახა სტივენ ჯონსმა? ხელახლა მოსულ პარტიულ ბოსებს არ ჰქონდათ ავტორიტარული ჩვევები? თუ რახან ისინი ამერიკელების მხარეს დადგნენ, მათ ავტორიტარულ ჩვევებს, მათ სრულ არაკომპეტენტურობას პოსტსაბჭოთა დროში დასავლელი მეცნიერი აღარ ხედავდნენ?

ვინ ჩააგონა სტივენ ჯონსს, რომ ზვიადი საბჭოთა პარტიული ბოსის დარად იქცეოდა? საიდან მოიგონა? არა, ვთქვათ, ზვიადს მშვიდობისმოყვარეობა არ გამოეჩინა და სახელმწიფო ინტერესების დაცვის სახელით ამოუწყვიტა თავისი მტრები და არა უბრალოდ ოპონენტები, რომელნიც თავიდანვე მის მოკვლას იზრახავდნენ. ზვიადს შეეძლო ეს გაეკეთებინა. მერე რაღას დაწერდა სტივენ ჯონსი? ინტელიგენციამ გაამართლა კრიმინალის პოლიტიზება და ყაჩაღების ამფსონად იქცა. ოპოზიციამ ციხიდან გამოყვანილი ხალხი შეაიარაღა და დაამხო სიმართლე. წლების შემდეგ მან თავისი ცოდვა რუსეთს დააბრალა და დღემდე ყველაფერს მას აბრალებს. ბევრმა ოპოზიციონერმა კი მოგვიანოდ ზვიადის ქება დაიწყო.

სტივენ ჯონსი არ უფიქრდება საკითხის თავისებურებას და ტრაფარეტულად წერს ქართველთა დიდ უბედურებაზე. ის ისე წარმოაჩენს, რომ აი რეფორმები, აი დემოკრატია და ყველაფერი პოლივუდურად იქნება საქართველოში. თუ ავტორიტარიზმი ბრალის დადება ასე დამკვიდრებული ანგლოსაქსურ მეცნიერებაში, მიუხედავად დასავლური იდეის დისკრედიტაციისა, განა ჯორჯ ბუში ვრავსი მერე იმის დაწყებისას (2003 წლის მარტი) და მის შემდეგ ავტორიტარისტი არ იყო? მაშ რაღა იყო? განა ავტორიტარული არაა ნებისმიერი იერარქიული მმართველობა? ტერმინის კონუნქტურულმამნიშვნელობამ

არ უნდა გვაცდუნოს, ისევე როგორც დღემდე გვაცდუნებს ტერმინი „ტოტალიტარიზმი“. ეს მაშინ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს, დასავლური ჰუმანიტარისტიკის გავლენით სწამდა ბევრს, რომ მმართველობა შეიძლება იყოს არაავტორიტარული. სტივენ ჯონსს არ ჰყოფინს კომპეტენცია, რომ გაერკვეს მოვლენათა რიგში და ბანალური მსჯელობით ცდილობს ფონს გასვლას. მე არ ველოდი ასეთ რამეს ამერიკელი ისტორიკოსისაგან, რომელიც წლობით წერდა წიგნს საქართველოზე. სტივენ ჯონსს რისი თქმა სურს, რომ პოლიტიკაში მოსული კრიმინალები, რომელთაც ეყრდნობოდა შევარდნაძე, იყვნენ არაავტორიტარული და მათ დაამხეს ავტორიტარი გამსახურდია? უმეტესობა შევარდნაძის მთავრობის წევრებისა გახდნენ მულტიმილიონერები ქვეყნის გაძარცვის გზით. ცხადია, სტივენ ჯონსი ამას არ იტყვის და იგი მკითხველის გაოცებას ცდილობს იმით, რომ გამსახურდიას გაკოლვას შესდგომია. ის არ აყენებს საკითხს, რომ 1992 წლიდან ქვეყანაში გამეფდა გაუგონარი უსამართლობა და ძარცვა-გლეჯვა. მისთვის მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად იყო ამ დროს გარეგნული დემოკრატია. სტივენ ჯონსს ისიც არ დაუნახავს, რომ შევარდნაძის დროს, იოლი გამარჯვებით გალაღებულმა ხუნტამ აფხაზების ამონყვეტის პროპაგანდა დაიწყო, რაც გამოუსწორებელი შეცდომა იყო. შემდეგ, როცა ხუნტას საქმე შეავდ ნაუყვიდა, მან ყველაფერი რუსეთს დააბრალა და წლობით ატყუა ქართველები ამ ფანდით. შევარდნაძე იყო აფხაზების გენოციდის პროპაგანდის ინიციატორი. აფხაზთა გარდა ხუნტა იქადიდა სამეგრელოს ამონყვეტას გამსახურდიას მხარდაჭერისათვის და მან რამდენჯერმე დაარბია სამეგრელო, რაზეც ამერიკელი ისტორიკოსი განზრახ ღუმს.

სტივენ ჯონსი არ იტყვის, რომ ზვიადმა გააკრიტიკა დასავლეთი, რადგან ის არ აფუნუნებდა ზნეობრივ პოლიტიკას. არადა, დასავლეთი სულ ამაში არწმუნებდა დისიდენტებს, იმხრობდა ყველა ანტისაბჭოელ პოლიტიკურ მოღვაწეს. ამაზე კარგად უწერია უმცროს კონსტანტინე გამსახურდიას თავის წიგნში „დინების სანინალმდეგოდ“ (1997). დასავლეთის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დარჩა მტაცებლური და ამორალური, რამაც საბოლოოდ დასავლური ლიბერალიზმის დისკრედიტაცია მოახდინა მრავალი ხალხის თვალში. პრეზიდენტ გამსახურდიას დასავლელ ლიდერთაგან გაუცხოებაზე მოლაპარაკე სტივენ ჯონსი (გვ. 331) არ ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის დროიდანვე (1991 წლის შემოდგომ) დასავლეთმა დაივიწყა თავისი დანაპირები ეთიკური პოლიტიკის შესახებ და ის ისევ მაკავიელიზმის გზას დაადგა. ის ცრუობდა, როდესაც საბჭოთა იმპერიის დაშლას ბიბლიური მოსაზრებით ამართლებდა და პოლიტიკის ქრისტიანიზებას ისწავლებდა. ამით მიიმხრო მან მრავალი უცოდინარი ანტისაბჭოთა დისიდენტი. ის სპეკულირებდა საბჭოთა იმპერიის თემით და მან მოიტანა თავისი იმპერიალიზმი, ლამაზი ფრაზებით შენიღბული ნეოკოლონიალიზმი.

ზვიადი ავტორიტარიზმის გამო კი არ დამარცხდა, არამედ ის დაამარცხა ქართველთა ენითაუნერულმა გამცემლობამ, მესისხლეობამ და სიშლეგემ. გამსახურდიას პოლიტიკას საბოტირებას უწევდა ინტელიგენცია და ის იყოლიებდა უმეცარ, კარგი ცხოვრებით გათამამებულ ქალაქელ ახალგაზრდობას. ინტელიგენცია განზრახ ნამლაგდა მაშინდელ პოლიტიკურ სიტუაციას და მზად იყო საქართველო გაექრო, ოღონდ ზვიადი მოეკლა. წიგნის დასაწყისში მოიარებით წერს სტივენ ჯონსი „ქართული ელიტის გროტესკულ ქვევავზე“ (გვ. XX). მეტს ის არას ამბობს მასზე.

სტივენ ჯონსმა ეს წიგნი გამოსცა 2012 წელს, მაგრამ ის 1995-7 წლებში დაწერილს ჰგავს. რამდენი მაშინდელი სტერეოტიპი და ანაქრონიზმი არის ამ წიგნში! რამდენი მიკერძოება და ცრუ განსჯა! შეუმცდარმა მსაჯულმა - ისტორიამ გამსახურდიას სისწორე დადასტურა ძალზე ბევრ საკითხში. შეუძლებელია, მას არ ჰქონოდა შეცდომები. მისი უშეცდომობის მტკიცება უაზრობა იქნებოდა. როდესაც კაცი ამხელა საქმეს ეჭიდებოდა 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც იგი პანკავაკაზიმის დაფუნუნებას ცდილობდა, ცხადია, შეცდომებიც ექნებოდა. მაგრამ მისი შეცდომები კენჭია იმ დანაშაულებებთან შედარებით, რაც შევარდნაძემ თავისი 12-წლიანი აბსოლუტიზმის დროს ჩაიდინა. ზვიადის უპირველესი შეცდომა იყო ის, რომ მან შეიარაღებულ ოპოზიციას თავით არ აგებინა პასუხი 1991 წლის შემოდგომაზე. მან ვერ გაიმეტა ქართველები დასახოცად, თავად იგი კი გაიმეტეს ქართველებმა და შემდეგ ლხინი გადაიხადეს. მისი შეცდომა ის იყო, რომ მან მართალ საქმეს ხმალი არ მიაშველა. ოპოზიციის ამ უაზრო მაქსიმალიზმმა

გავრძელება გვ. 12

ქართული კუზინი

2013 წლის 9 ოქტომბერს თბილისში, სასტუმრო „BETSY'S HOTEL“-ის საკონფერენციო დარბაზში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“ მის მიერ გამოცემული მორიგი ნიგნის პრეზენტაცია გამართა, რომელსაც „უცნობი პუტინი“ ჰქვია (წყარო/Source: <http://saqinform.ge>).

„საქინფორმ“ თავის შთაბეჭდილებას უზიარებენ ძველი, ბებური რუსეთუბნები:

ტარიელ გავნიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე, ქართველებისათვის კარგად ნაცნობი გოშია ვალერი კვარაცხელია, პოლიტიკური პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე, შვეარდნაძის კამერპერი პეტრე მამრადე, სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი უფროსი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, პუტინის ერთ-ერთი იდეოლოგი, შვეარდნაძის ომბუდსმენი ნანა დევედარიანი, გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე.

ამავე გვერდზე განთავსებულია ნიგნის პრეზენტაციის ფოტო გალერეა, რომელიც წარმოგვიდგენს რუსეთის მსტოვართა თავყრილობას. საავალალო და თავში საცემი კი ისაა, რომ ამ ბებერ კოლაბორაციონისტებსა და კვისლინგებს ბევრი ახალგაზრდისთვის მოუნამლავთ გონება და თავიანთ ამქარში აუყოლიებიათ.

საქინფორმი ვგაუწყებთ შემდეგს:

„ნიგნი უცნობი პუტინი“ უნიკალურია იმით, რომ ეს – საქართველოში გამოსული პირველი გამოცემა ვლადიმერ პუტინზე ქართულ ენაზე. კრებული სათაური - „უცნობი პუტინი“ – ნათლად მეტყველებს მისი გამოცემის მიზანზე: რაც შეიძლება სრულად და მართლად გააცნოს ფართო ქართულ საზოგადოებრიობას დიდი რუსეთის – მეზობელი სახელმწიფოს, საქართველოს ისტორიული მფარველის ხელმძღვანელის პიროვნება, რადგან ბოლო ათწლეულში, განსაკუთრებით 2008.08.08 ომის შემდეგ რუსეთის ტელეარხების დაბლოკვის შედეგად, ქართველი საზოგადოება მხოლოდ ცრუ, საქართველოს წინა ხელისუფლების მიერ დამახინჯებულ და ცენზურაგავლილ ინფორმაციას იღებდა თანამედროვეობის საყოველთაოდ აღიარებული ლიდერის და უდიდესი პოლიტიკოსის შესახებ, როგორაც გვევლინება ვლადიმერ პუტინი“.

ქრისტიანულ მართლმადიდებლობას ამოფარებული ქართველი რუსოფილები, კრემლის საიდუმლო სამსახურების გასაიდუმლოებული აგენტები ანათემას უგზავნიან მასობრივად და მასობრივად. მათთან ბრძოლის ავანგარდში წარმოაჩენენ რუსეთსა და მის დღევანდელ ხელისუფალს პუტინს, მაგრამ არას ამობენ იმის შესახებ, რომ რუსეთის იმპერია მასობრივი სახელმწიფოა პეტრე პირველის დროიდან, რუსეთის იმპერიად გამოცხადების ხანიდან დღემდე.

პრესა, საინფორმაციო საშუალებები გვერდს უვლიან პუტინის მასობრივად, გინდ მემარცხენე, გინდ მემარჯვენე და ულტრაპატრიოტულ ცი. განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ახლოს დგანან კრემლთან და მამა-მარჩენალ ბიუჯეტთან, ცდილობენ მისდონ გენერალურ ხაზს, მის ზიგ-ზაგებს.

არიან უფრო გულადებიც, რომლებიც წერენ პუტინისა და ებრაული ლობის კავშირების შესახებაც. საზოგადოდ კი ამ საკითხებზე საუბარს ტაბუ ადევს.

არცაა გასაკვირი, მასობრივ ხელწინებებთან საკუთარი საიდუმლოებების შენახვა. სპეცსამსახურებს კი თავიანთ პროფესიის საიდუმლოებებია. რუსეთის КГБ-ФСБ-ს კავშირებზე მსოფლიო მასობრივად პრესაში არ საუბრობენ და განა მარტო რუსეთის, ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურებთან, მაგ: იტალიის კონტრდაზვერვასთან და „ნითელ ბრიგადებთან“, ამერიკულ ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურთან. ახლახანს ვატიკანმაც მწუხარებით აღიარა, რომ ბოლო 125 წლის მანძილზე მისი მალაღიერებელი მასობრივი ყოფილანო, მიუხედავად იმისა რომ რომის პაპი და მთლიანად კათოლიციზმი ებრძვის მასობრივ მთავრობას, უფრო გასაიდუმლოებულია კგბ-ისა და საიდუმლო მასობრივი ორდენების კავშირები.

მივუბრუნდეთ ისევ პუტინს. რუსეთის პოლიტიკურ არენაზე მისი გამოსვლა ყველას გვახსოვს. ყველასათვის უცნობი კგბ პოდპოლკოვნიკი, თადარიგშიც გაშვებულიც კი (მიზეზი უცნობია), სამსახურს ღებულობს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში.

შემდეგ, 90-იანი წლების დასაწყისში, დემოკრატიული პროცესების მოულოდნელი განვითარებისას, ის აღმოჩნდება ლენინგრადის მერის ანატოლი სობჩაკის გარემოცვაში, სწრაფადვე ხდება სობჩაკის თანამემწე, დიდ როლს ასრულებს მერიაში,

ქალაქის ეკონომიკას უკავშირებს გერმანიას, რაშიც უდიდეს როლს თამაშობს „დოიჩე ბანკი“.

1996 წლის არჩევნებზე სობჩაკის მარცხის შემდეგ პუტინი აჩუბაისისა და პ. ბოროდინის დახმარებით გადადის მოსკოვს, სადაც ეტაპობრივად იკავებს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმეთამმართველის მოადგილის, რე პრეზიდენტის კონტროლის სამმართველოს უფროსის, რე პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილის თანამდებობებს. და შემდეგ 1998 წელს ჯადოსნური წვეპლის მოქმედების სისწრაფით ხდება КГБ-ФСБ თავკაცი. მალე ამ სავარძლიდან გადაინაცვლებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის სავარძელში. ბოლოს ელცინი, კონსტიტუციის გვერდის ავლით ნიშნავს მას თავის მემკვიდრედ და გადასცემს ხელისუფლებას.

ა. სობჩაკი, ბორის ელცინი, ჩერნომირდინი, ე. პრიმაკოვი, ა. იაკოვლევი, რ. აბრამოვიჩი, პ. ბოროდინი, ნ. პატრუშევი, პ. ავენი, გ. გრეფი. ვ. სმოლენსკი, ვ. პოლტანინი, მ. ფრიდმანი, ბ. იორდანი და უამრავი სხვა, ვის გვერდითაც უხდებოდა ვ. პუტინს პოლიტიკური მოღვაწეობა თუ ცხოვრება, არიან სხვადასხვა მასობრივი ლოჟების წევრები.

ბორის ელცინი 1991 წლის 16 ნოემბრიდან არის მალტის ორდენის წევრი. 1992 წლის აგვისტოში ელცინი



ხელს აწერს ბრძანებას N827, რომლის ძალითაც აღსდგება ოფიციალური ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასა და მალტის ორდენს შორის. და ამ პერიოდიდან რუსეთში სხვადასხვა მასობრივი ლოჟები და ორდენები ხსნიან თავიანთ ფილიალებს, რომელთა წევრები ხდებიან ნამყევანი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეები, მრეწველები და ოლიგარქები. ამათგან ყველაზე ბობოლები არიან აბრამოვიჩი, დეპრიასკა და ჩუბაისი, რომლებიც ფაქტიურად განაგებენ მილიარდობით კაპიტალს და აქედან გამომდინარე ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებასაც უხილავი ძალით კარნახობს და ნება-სურვილით.

ახლა გადავხედოთ პუტინის საზოგადოებრივ მემკვიდრეებს, შევხებით რამდენიმე მათგანს.

საჩოთირო საქმეებით საქვეყნოდ ცნობილი იტალიელი სილვიო ბერლუსკონი და გერმანიის ყოფილი კანცლერი გერჰარდ შროედერი მიწვეულები იყვნენ პუტინის საპრეზიდენტო ინაუგურაციაზე 2012 წლის 7 მაისს.

სილვიო ბერლუსკონი მასონია, ის ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-ან წლებში მონაწილეობდა იტალიური მასონური ლოჟის «I-2»- საქმიანობაში, მისი წევრობის ნომერია 1816, ბერლუსკონი მონაწილეობდა, აგრეთვე მასობრივ სკანდალში 2011 წელს, გამოიკვია რომ ის ახლო ურთიერთობაში იყო ასევე სკანდალური მასონ ლოჟი ბიზინანთან, რომელიც ხელმძღვანელობს მეორე მასონურ ლოჟას «II-4».

იტალიის კონსტიტუციის 18-ე სტატიის თანახმად აკრძალულია საიდუმლო საზოგადოებების ორგანიზაცია, რომელთაც გააჩნიათ პოლიტიკური მიზნები და ინტერესები. ეს სტატია გაჩნდა 1980-იანი წლების დასაწყისში ცნობილი სკანდალის შემდეგ, რომელმაც ამხილა მასობრივი ლოჟა „პროპაგანდა 2“ და რომელიც დაკავშირებული იყო არა მარტო ხელისუფლებასთან, არამედ მაფიასთანაც. ლოჟა დაარსდა 1877 წელს და იყო ბუდე ჟურნალისტების, პოლიტიკოსებისა და მაფიოზებისა, რომლებიც გავლენას ახდენდნენ მთავრობაზე.

სილვიო ბერლუსკონის კავშირი ამ ლოჟასთან კიდევ ერთხელ დამტკიცდა 1990 წელს მიმდინარე სასამართლო პროცესზე.

2013 წლის 24 ივლისს სასამართლო ბერლუსკონის

მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის აკრძალვა. მას ბრალად დაედო არასრულწლოვანებთან სექსუალური კავშირები.

ინაუგურაციის მეორე სტუმარი გერჰარდ შროედერი 2006 წლიდან მუშაობს კონსულტანტად როტმილდებს დაქვემდებარებულ ინგლისის ბანკში.

პუტინმა, როგორც უშიშროების ოფიცერმა, შეუძლებელია არ იცოდეს მასონებისა და როტმილდების როლი მსოფლიოს დამანგრეველ მოვლენებში, მაგრამ მან მაინც პირადად დაპატრონა თავის ინაუგურაციაზე ბერლუსკონი და შროედერი.

ცნობილ ევროპელთა შორის პუტინს ყველაზე მჭიდრო მეგობრობა აკავშირებს, აგრეთვე მონაკოს პრინც ალბერ II-თან.

2014 წლის ზამთრის ოლომპიადის რუსეთის ქალაქ სოჭში ჩატარებას პუტინი, სწორედ პრინც ალბერ II უნდა უმადლოდეს, რომელმაც გამოიყენა თავისი გავლენა, მხარი დაუჭირა რუსეთს და მსოფლიოს ოლიმპიურ კომიტეტს მიადებინა ეს გადაწყვეტილება.

ამის შესახებ საუბრობს პრინც ალბერ II-ის მრჩეველი დაზვერვის დარგში რობერტ ერინგერი. როგორც ის იუწყება, პრინცს ხმა რუსეთისათვის უანგაროდ არ მიუცია, მოლაპარაკების თანახმად პრინცმა პირადად პუტინისაგან და კრემლის ბანკირ პუგაჩოვისაგან უნდა მიიღოს ძვირფასი საჩუქრები.

მსოფლიოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგესადმი მიწერილ წერილში ერინგერი საჩუქრებს შორის ასახელებს პოლარულ ექსპედიციას, ენისეზე თევზაობას, კრემლის სადილს და პრინცის ფერმაში რუსული ფულეებით აგებულ ვილას. ამ ვილის ასაშენებლად რუსეთიდან მშენებლები კი ჩაიყვანეს.

2006 წლის სექტემბერში პუტინმა და პრინცმა ალბერტ II დაისვენეს ენისეის ნაპირებზე, ესტუმრენ რესპუბლიკა ტუვას და კიზილის ახლოს VIII ციხესიმაგრის არქეოლოგიური გათხრების შორიასხლოს კარავშიც გამოიძინეს.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გახდა წმინდა კარლის ორდენის დიდი ჯვრის კავალერი. ორდენის გადაცემა მოხდა კრემლში კონფიდენციალური შეხვედრისას. ეს ორდენი დაარსებულია 1858 წელს და არის მონაკოს სამთავროს უდიდესი ჯილდო, ორდენით ჯილდოვდებიან მონაკოს სამთავროს ან მთავრის წინაშე განსაკუთრებული სამსახურისათვის.

სამთავროს სასახლეში უარი განაცხადეს აეხსნათ თუ რა დამსახურებისათვის დაჯილდოვდა პუტინი, ამის შესახებ არც ოფიციალურ ბრძანებაშია ნათქვამი.

როგორც უკვე ვიცით, პუტინი და პრინცი ახლო მეგობრები არიან, სოჭის ოლიმპიადაც პრინცის კისერზეა, ამის გარდა მონაკოში ფართოდაა წარმოდგენილი რუსული ბიზნესი და იქ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ამის მიმართ და მონაკოს სპეცსამსახურების ყურადღებას იქცევს, რომლებიც ებრძვიან არალეგალური შემოსავლების გათვორებას.

როგორც მოგახსენეთ, პრინცის მრჩეველმა საჩივრის წერილით მიმართა მოკ-ს, პრინცმა კი ბრალდებები უარყო და მოკ-ს საჩივარზე რეაგირება არ გაუკეთებია.

ერინგერის წერილიდან ვგებულობთ, მან პრინცი რუსეთში გამგზავრებადმის გააფრთხილა იმის შესახებ, რომ რუსეთის დაზვერვას ის ზედამხედველობის ქვეშ ეყოლება და თუ ის იქ ინტიმურ კავშირებს დამყარებს კაცებთან ან ქალებთან, ეს რათქმაუნდა ჩაინერგებოდა ვიდეოზე და გამოიყენებოდა მასზედ ზეწოლის მიზნით. შესაძლებლობა მსგავსი ჩანაწერებისა რუსეთის დაზვერვას ნამდვილად ექნებოდა, როგორც ეს ადრეც ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებს, რომლებმაც ჩაინერგეს მსგავსი ვიდეოები.

2010-2011 წ.წ. ერინგერიამ ამხილა რუსეთის საქმიანი და პლიტიკური ელიტა, ბრალი დასდო რა მთელ რიგ ბიზნესმენებს და მალაჩინოსან ჩინოვნიკებს დამნაშავეთა სამყაროსთან კავშირსა და მონაკოში არალეგალური ბიზნესის შეტანაში. პირადად პუტინისადმი ბრალდებები უარყო მისმა პრეს-მდივანმა დიმიტრი პესკოვმა. ხოლო ბრალდებები რუსეთის ბიზნესმენებზე უპასუხოდ დარჩა.

მონაკოს მკვიდრი ქალბატონი ლორ ფ. რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ამბობს: „ხელისუფლების კრიტიკა დაუშვებელია, რაც არ უნდა გადაწყვიტოს პრინცმა, ამას ტაში უნდა დაუკრა. რაც შეეხება „ახალ რუსებს“, მათ აქ ყოველთვის ნითელ ხალიჩებს უგებენ, **გავრძელება გვ. 13**

ჭეშმარიტად მებრძოლ პოეტს ბატონ ნოდარ ჯალალონიას გულმოდგინედ დახმარებდნენ 80 წლის იუბილეს და გუსუსრებთ, კიდევ დიდხანს ეცოცხლოს ჯანმრთელად და მხნედ!

გაზეთ „განმათავისუფლების“ რედაქცია

ბ ა ტ ო ნ ი მ ლ ო ტ ვ ე ლ ი

ჩემთვის დიდი პატივია ბატონ ნოდარ ჯალალონიას შემოქმედებასთან დაკავშირებით რამდენიმე სიტყვის თქმა, უპირველეს ყოვლისა, იმის აღნიშვნა, რომ იგი ჩემი საყვარელი პოეტია, შინაგანად ახლობელი, მოსანატრებელი, რომლის ნიგნებსაც ხშირად ვფურცლავ, ხშირად ვუბრუნდები მის ერთსა და იმავე ნაწარმოებს... განსაკუთრებით იმ ლექსებს, რომლებიც სამშობლოს ეძღვნება; ალბათ იმიტომ, რომ სამშობლოს გამო ვერც პოეტია მშვიდად და ვერც მე დავმშვიდებულვარ.

„როცა სამშობლო გმინავს და ოხრავს, როცა ქვეყანა დგას ბუნვის ხიდზე, დუმილი სულაც არ არის ოქრო, დუმილი სულაც არ ნიშნავს სიბრძნეს.“


როცა გჭირდება ჭკუა და ძალა, დროა ბრძოლის და სიმართლის თქმისა, დუმილით ბევრი სიბრძნევს მალავს, ბევრის დუმილიც სილაჩრეს ნიშნავს“;

პოეტობა არც ხელობაა და არც თანამედრობობა, ესაა სულია და ინტელექტის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელსაც პოეტის ტიტულს ხალხი ანიჭებს, ხალხი, რომელიც საკუთარ გულის მესაიდუმლესა და მთქმელს განსაკუთრებული მადლიერების ნიშნად უბოძებს ხოლმე ამ სახელს.

ჩვენი თვალი ათას ფერს ხედავს გარშემო, სმენა ათასგვარ მოტივს იჭერს, გულს ათასგვარი გრძნობა მსჭვალავს... ხშირად ამოდ ვეძებთ სიტყვებს ამ შთაბეჭდილებათა გამოსათქმელად და უეცრად აღმოვაჩენთ, რომ თურმე ჩვენს გულში ღრმად ჩაუხედავს რომელიმე ხელოვანს და ჩვენი ემოციებისათვის სახელი დაურქმევია, საკუთარ შეგრძნებათადაფიქრთალობარინიტიდანმშვიდობიანად გამოფუყვანვართ და შემდგომი „სავალი გზისა“ გაუადვილებია. ამ დროს ისეთი უცნაური სიხარული გვეუფლება ერთობისა, თანაშემოქმედებისა, ვითომ მართლაც რაიმე წვლილი შეგვეტანოს ამ ნაწარმოებში

– ჩვენთვის, ჩვენს საშველად, ჩვენს დასატკბობად დაწერილ ნაწარმოებში.

რა არის პოეტური ნიჭის საიდუმლო – ცხოვრებისეული გამოცდილება? ალლო? მჭვრეტელობითი უნარი? ლვთის მიერ ნაბოძები



ნათელმხილველობა?

ნოდარ ჯალალონიას შემოქმედება მრავალი წელია მოჰყვება ჩვენს ცხოვრებას. სტუდენტობიდან, როდესაც ყველა ქართველი პოეტის (ნამდვილი პოეტის) შემოქმედება ლამის ზეპირად ვიცოდით, ეროვნული მოძრაობის აზვირთებიდან, როდესაც ბატონი ნოდარი უმალ ჩასწვდა მიმდინარე მოვლენების არსს, თავისუფლების მშვენიერი იდეა თავისი პოეზიის ქვაკუთხედად აქცია და რამდენადაც ჩვენ, მე პირადად, უსამშობლოდ არც ერთი თემა და საკითხი არ გვეახლობებოდა, მისი ლექსების მუდმივ მკითხველად გადავიქცით.

„გაუძლებ ყველა ჭირსა და ვარამს, სიავეს: მტრობას და დუხჭირ ყოფას,“

მაგრამ სიკვდილზე უფრო მაშინებს უსამშობლოდ და ულექსოდ ყოფნა“.

ნოდარ ჯალალონიას რანგის პოეტები არ ბერდებიან; იგი მუდამ დროს მიჰყვება, ყველაზე აქტუალურს, მწვევსა და მნიშვნელოვანს ამჩნევს და თუ მუდმივი თემების ერთგულია, ეს არა იმიტომ, რომ რომელიმე ლამის კლუბში გამართული საეჭვო ღირებულების როკ-კონცერტის ამბავი არ გაუგია ან თანამედროვე ვაი-ლიტერატორთა ფიზიოლოგიური თვითანალიზის მეთოდს ვერ ჩასწვდა, არამედ იმიტომ, რომ მისი სმენისა და ჭვრეტის საგანი მამულია, ერია, ხალხია.

როგორცყოველთვის, დღესაც თანამედროვეობა და პროგრესულობა დიდ გამოწვევას მოითხოვს, რათა ფსევდოპროგრესიზმმა ჭეშმარიტი აზრი და ჭეშმარიტი ესთეტიკა არ ამოძირკვოს. სულიერი ფასეულობები არც ისე ცვალებადია, როგორც თანამედროვე პოპ-არტის ზერელე მიმომხილველებს ჰგონიათ. ჭეშმარიტი აზრსა და განცდას დრო, შრომა და კომპეტენცია იძლევა, თანამედროვე ზარმაცებს კი ურჩევნიათ ისე მოიხევენ სახელი, რომ ჯაფა არ დაადგეთ... ამიტომაცაა მათი ნაღვანიცა და სახელიც ესოდენ ფუქსავატური და უდღეური.

დღეს საქართველოში ნამდვილი პოეტები ბერ-მონაზვნებს დაემსგავსნენ (მაპატიეთ ეს თამამი შედარება): გარიყულთ და შენირულთ, მლოცველთ იმათთვის, ვინც ხშირ შემთხვევაში ვერც კი წვდება ლვთიური მადლის მნიშვნელობას...

ბატონი ნოდარი ამგვარი მლოცველია...

მე ვფიქრობ, ჩვენ ყველანი ვგრძნობთ, როგორ უხდება მის პოეტურ სიტყვას ჭარმაგი ადამიანის თმის სითეთრე და ჭაბუკურად მკვირცხლი მზერა...

მანანა ტაბიკა,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

კონსტანტინე გამსახურდიას მემარჯობის მედიაპორტალზე ყოფნასთან დაკავშირებით

ინტერნეტ- სივრცეში აპრილის ბოლოს გავრცელდა ფოტო კონსტანტინე გამსახურდიას ევრაზიის მედია-ფორუმზე ყოფნისა, რასთან დაკავშირებითაც ჩვენ ბატონ კონსტანტინეს მცირე ინტერვიუ ვსთხოვეთ;



გამარჯობათ ბატონო კონსტანტინე, ინტერნეტში გავრცელებულმა ფოტომ - ასტანაში ევრაზიის მედია-ფორუმზე თქვენი მყოფობის შესახებ, ეროვნულ

ძალებს შორის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. თუ შეიძლება გვითხარით, რა ფორუმი ჩატარდა იქ?...

— ეს არის ასტანაში გამართული ევრაზიული ფორუმის ფოტო. მე და ზაზა მეზერისძე ვიყავით მანდ მიწვეულნი.

და ამ ფორუმს არავითარი საერთო არა აქვს რუსეთის „ევრაზიული კავშირის“ პოლიტიკურ იდეასთან?

— პირდაპირ, არაფერი. გარდა იმისა, რომ მისი მასპინძელი ქვეყანა, ყაზახეთი, ხსენებული კავშირის წევრია. ფორუმზე იყვნენ მოწვეულნი ნიუტ გინგრიჩი, აშშ-ს კონგრესის ყოფილი სპიკერი, ეპუდ ბარაკი, ისრაელის ყოფილი პრემიერი, ჯერემი კინსმანი, კანადის ყოფილი ელჩი სსრკ-ში, ინდოეთის საგარეო მინისტრის მოადგილე რაჯივ სიკრი. ვერ ჩამოვიდა ხრუშჩოვის შეილისშვილი, პოლიტოლოგი აშშ-ში, კიდევ დაესწრნენ მოჰამედ ჯაფად ზარიფი, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი, ასევე ტრიტა პარსი, ირანულ-ამერიკული საბჭოს პრეზიდენტი. რუსეთიდან იყვნენ ცნობილი სახეები: ყურნალისტი მაქსიმ შევჩენკო, ასევე ცნობილი მანქურთი კ. ზატულინი.

ასევე რადიო „ეხო მოსკვის“ რედაქტორი ვარფლომევი, პუტინის ოპოზიცია.

თქვენ როგორ უყურებთ რუსეთის სურვილს

საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაერთიანებისა, მიგაჩნიათ ევრაზიული კავშირი ნატოს ალტერნატივად საქართველოსთვის?

და თქვენ რა სტატუსით იყავით მიწვეული ფორუმზე?

— ჩვენ ვიყავით მიწვეულნი როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები ყურნალისტები. მე, დამატებით, როგორც ნიგნების ავტორი.

თქვენ როგორ უყურებთ რუსეთის სურვილს საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაერთიანებისა, მიგაჩნიათ „ევრაზიული კავშირი“ ნატოს ალტერნატივად საქართველოსთვის?

— არანაირად არ მიმაჩნია!

ანუ, თქვენი კურსიც არის ნატოსკენ?

— თავისთავად! ამ ეტაპზე უკეთესს ვერ ვხედავ, თუმცა დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რომ ეს კურსი მაინცადამაინც 100%-ით გვიხსნის; ეს დამოკიდებულია თავად დასავლეთის მზადყოფნაზე, იმოქმედოს სერიოზულად და გადამჭრელად. შესაძლოა ნატოს წევრიც იყო და რუსეთი მაინც შემოიჭრას. და შესაძლოა სულ არ იყო წევრი, და დასავლეთმა მაინც დაგვიცვას.

— ანუ, თქვენი პოზიცია ცალსახაა - არა, უკან რუსეთისაკენ, არამედ წინ პროგრესისკენ!

— ცხადია. და მეტსაც გეტყვით - თავად რუსეთისთვისაც ერთადერთი გზა ევროპაშია. სხვანაირად, მსოფლიო, კატასტროფას ვერ აცდება!

— დიას და გმადლობთ!

ესაუბრა
ქეთევან ჭანტურია

ლიტერატურული ბმერდი

ლექსები



ნინო ტოჭაძე-შტოკერი

გათენება

ახლა დაიკვივლებს ქარი,
ბრაზით შეასკდება ურდულს,
შიშის დაეცემა კვალი
სხვათა გამოხედვას
ქურდულს...

ჩვენ რომ გვიყვარდა
მოკლეს ბოკეი

(გვიტყეშელაშვილის
ხსოვნას)

მე სად გეძებო, გამოზრდილო
ბონკოს უბეში?
სად ვნახავ
სიტყვებს,საკადრებელს
შენი მკვლევლების?!
შენ, ვისი ძმობაც სანთელივით
მქონდა ნუგეშად,
დაგიკრეფია
გულზე ხელები?!
რად მოგიკვეთეს?

-მაპატიე სიმწრის სიცილი,
შენ, ბონკოს შვილი
ურჩხულს როგორ
დაუშავებდი,
ანდა პატარა ურჩხულების
ინილ- ბინილოს
ვინ დაანათლა
მადა სვავეების?
ჯანდაბა იმათ,
სიძულვილის ქონდეთ
ბოდვები,
ჯანდაბას მათი წრიალი და
მიეთ- მოეთი,
გასკდება გული მერამდენედ
და დავობლდები.
ჩვენ რომ გვიყვარდა,
მოკლეს პოეტი...
და მირაკრაკებს ბონკოს წყალი
სოფლის ბოლოში,
რომელს შენს გარდა
ყავდა არავინ.
შეჭირხლულია სამუდამოდ
ცრემლით გოროზით
ციცნათელების
შენის კარავი.

ეს იყო ერთხელ

შენ მარმარილოს
გერგო კედლები,
ანათებს მზე და
ათბობს ვერაფრით.
არ მეშინია,
რომ მეც ვბერდები,
არ ვემდურები
ბედისწერასაც.
ეს იყო ერთხელ,
იყავი ერთხელ,
ფეხარეული
გაყვეი ზამთარს
და მერე დიდხანს
თოვდა და თოვდა,
რომ აღარ დათბა,
ან როცა დათბა,
მივხვდი, რომ ჩემთვის
არასდროს გასურდა,
არც მზის სხივი და
არც უკუნეთი
და ლექსებს,როგორც
დარჩენილ ხურდას,
ვაგროვებდი და
სულს ვიბრუნებდი
და მერე კვამლი
დაძრწოდა ქარში
და აღარც ღირდა
თვალის გახელა...
ნიშნად, ჩვენ თითქოს
ვერავინ ნაგვშლის,
შენს ასულს შერჩა
ჩემი სახელი...
ეს იყო ერთხელ,
იყავი ერთხელ,
ფეხარეული
გაყვეი ზამთარს
და მერე დიდხანს
თოვდა და თოვდა,
რომ აღარ დათბა,
სულ აღარ დათბა.

შეხვედრა ძველ ნაცნობებთან
ოუი წლის განძობების შეძლე

...აღრჩოლდაო ბუხარი,
ალმა ველარ კოცნოს,
ჩანაცრული უსხედით
ბედისწერის კოცონს.
ერთი ჩუმად ითვლიდით
ჩამომარცვლულ ზამთრებს,
გულში, როგორც ივდითი
დაუნთებელ სანთლებს...
განა რამე ახალი,
განა რამე მრთელი?
ყველაფერი ჩამქრალი,
ყველაფერი ძველი...
დარდი გკლავდათ მეორეს
ანყვეტილი ქარის,
ისევ იმეორებდით,
რომ არ გიყვართ ქმარი,
რომ იმედი გაჭრელდა
აჩა- ბაჩა გზებზე.
სიყვარულს კი? დაგჩემდათ,
ეძებთ, ეძებთ, ეძებთ...
მესამეს კი არ შეგჩრათ
თურმე სულის სარჩო,
მოგონება იმდენი
განამებთ და გაღრჩობთ,
გარდასულა თამაში,
კოშკებს ველარ აგებთ,
ვერ ივინყებთ თარაშის
მოგიზგიზე ბაგეს...
განა რამე ახალი?
განა რამე მრთელი?
ყველაფერი ჩამქრალი,
ყველაფერი ძველი...
აღრჩოლდაო ბუხარი,
ალმა ველარ კოცნოს?
გლოვის მაინც უთხარით
ბედისწერის კოცონს.

ღკღ

დამშვიდდე იქნებ,
მე საცრემლებო
არც რამე დამჩა,
ამოვიგლიჯე გული და ბედად
მგლოვობდა მთვარე,
შენგნით რომ არ ჩანს...
დედა!
ნუ განყვეტ ფიქრებს,
ალარაფერი მეშლება ახლა,
ზუსტად ვიყოფი
ყველა ნვრილმანში
და ზურგში ჩუმად
ტყვიების დახლას
აქურჩებს ღამე
შავ-ბნელ წვიმაში...
ო, შენ სიცილად
არ გყოფნის ახლაც
ის სიყვარული, რომლისთვისაც
ვერ გამიმეტე...
ამოახველებს მერამდენედ
აპნისი საფლავს
და ვარიეტეს
ისევ ჩამოჰგავს
ბეცი მედროში,

გულრძო გვყავს ისევ
ქალაქის მერი,
კუდმოქიციანე მეღიების
წინ მიდის ხროვა
და რაც ბერია,
ისაა მრევლიც...
თოვლამდე დროა,
ზამთარი კი
თვალწინ დამიდის,
ვიდრე დაბერტყავს
ღრუბლის ტყაპუჭებს.
ნაძვს აღარ მოვრთავ.
-გაფუჭდაო, იტყვის-
ამინდი
და მიტკლისფერი ბაზიერი
გადააპურტყებს.
ნუ განყვეტ ფიქრებს!
ალარაფერი მეშლება ახლა,
ძილ-ფხიზლობს მთვარე,
თითქოს ერთხელ
არ გავეთოშე.
შენ რას გაიგებ
ზურგში ჩუმად
ტყვიების დახლას,
ისე ხმამაღლა, ბუკს ამღერებს
ჩვენი მედროში.

ვასტანა გოგიჩაიშვილი



რა პასუხს გავცემთ!

ფილმ „დიდებული საუკუნის“
ჩვენების გამო

ველურ ყიფინში ირყევა მინა,
მას ათასობით დატორავს ჰუნე,
თქვენთვის, ვის ხმალიც შორს
ქვეყნებს მისწვდა,
არის დიდი ის საუკუნე.
ამ ფილმმა ბევრგან გაიკაშკაშა,
ფხას მსახიობებს ნამდვილად ვუქებთ,
შა, სულეიმან, იბრაჰიმ ფაშა
ჩვენს ეკრანზედაც გამოჩნდნენ უკვე.
კადრები ზოგი არს უწყინარი,
ამბები ხდება დიდი ხნით ადრე,
მაგრამ რა ვუყოთ თქვენს
„უძლევე“ ჯარით
აჩეხილ ბალებს, დაქცეულ საყდრებს?!
ველებს, გაუღენთილს სისხლით
და ოფლით...
(რას გვარგებს უქმად ჩვენც
ცემა ბოლოთის)
რა ვუყოთ ქართლის
ცარიელ სოფლებს,
ოშკა და ბანას, ტაოს და ოლთისს?!
იავარყოფა კვლავ ტანში გაგვცრის,
ნაღველმა როგორ არ დაგვამძიმოს!
რა პასუხს გავცემთ ნახიდურს,
ფარცხისს,
უდრეკ მეფეებს – ბაგრატს
და სვიმონს?!
ალამს უწმინდესს,
დაფლეთილ-დაჭრილს
არ ვანებებდით დუშმანთ
და გამცემთ...
ხალხს, საკუთარი ფუძიდან აყრილს
რა პასუხს გავცემთ?!..
რა პასუხს გავცემთ?!..

2013 წლის დეკემბერი

ლიტერატურული ბმედი

ნოდარ კობერიძე ნოველა ოცნება ჩენილუბის უჩენისა

მთვრალი ვიყავი, ალბათ, ამიტომაც უყოყმანოდ დავთანხმდი.

შემორჩენილი თმა სულ გათეთრებია, თვალები ჩანთილვითა (ოდესღაც ლურჯი მქონდაო, ხუმრობს ხოლმე), მოგრძო სახე აქვს, ჩხუბში მონგრეული ცხვირით და დახვეწილი ნაკვთებით. ავთო პროფესიით მოქანდაკეა.

დღეს მისი დედისერთა ქალიშვილი საქორწინო მოგზაურობაში გავისტუმრეთ. სადგურში ამიტყდა, სახელოსნოში ავიდეთო. სასმელიც რომ არ იყოს, ავთოსთან მაინც სახალისოა ყოფნა: შესაშური ბაასი იცის. დამაჯერებელი, ოდნავ აჩქარებული, ლოთობისგან გაბზარული ხმით ლაპარაკობს. როცა რამეს გიყვება, მთლიანად გიპყრობს, გაფიქრებს, მოქმედებისკენ გიბიძგებს. ისე გამოქარგავს აზრს, რომ ყველა, ვინც ვუსმენთ, მისი ნაქარგის სადღეგრძელოს ვსვამთ.

ავთოს სტუდენტობის წლებში, ალმა-დალმა სიარულისას დაფუხვავდა. საერთოდ, თავის ტოლებთან თითქმის არ მეგობრობს, მეგობრებად უფროსები, ან საკმაოდ უმცროსები ჰყავს. ერთხელ ვკითხე კიდეც ამის შესახებ. გამიღიმა, ვიცოდი, მკითხავდიო, მითხრა. წყნარად ალაპარაკდა:

- რა გითხრა, იცი ოთარ! - სიგარეტს მოუკიდა, თავი ოდნავ დახარა, ნაწნვებით სავსე საფერფლეს ჩააშტერდა, - აი, ასე ლაპარაკი მხოლოდ თქვენთან შემძლია, ტოლებთან რაღაც არ გამოდის. შემეკითხები, რატომ? გეტყვი, მაგასაც გეტყვი, ნუ ჩქარობ, - შემატყო, შეკითხვას ვაპირებდი და თავად აჩქარდა, - ჩემი ტოლები ძალიან საქმიანები არიან, ამ დროს კი დაავიწყდათ... რომ ჰკითხო, რა დაავიწყდათ, ვერ გიპასუხებენ. თქვენ, ახალგაზრდებს არ გავიწყდებათ, - ოდნავ შეყოვნდა, მერე ხაზგასმით დაუმატა, - ოცნება მისა, რომ ქმნილება შესაქმნელი. მეც თქვენსავით მახსოვს, ამიტომ ვარ თქვენთან. დანარჩენს სხვა დროს გეტყვი.

მისმა ნათქვამმა სული ამიფორიაქა და ამ კაცისადმი პატივისცემით განმსჭვალა.

სახელოსნოში უფრო ხშირად სძინავს, ვიდრე სახლში. ოჯახზე ლაპარაკი არ უყვარს. პირველ ხანებში ვფიქრობდი, ალბათ, ცოლი არ უვარგა-მეთქი, მაგრამ ერთხელ, როგორღაც მასთან სახლში მოვხვდი. ჩემს გაცემას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მეუღლე გამაცნო: თავადის ქებული ძალიან ხომ წარმოგიდგენიათ, ზუსტად ისეთი იყო; რომ იტყვიან, პოეტის ოცნება. შემოვიდა თუ არა ოთახში, მყის გამოფხიზლდით. მისმა უბრალო საღამომო მონივნებით განგვანყო. ქმარი აუყვირდა - სუფრას მიხედეთ. უხერხულობა ვიგრძენით, წამოსვლა დავაპირეთ, მაგრამ დასახლისის ერთმა შემოხედვამ ადგილს მიგვაჯაჭვა.

დიდხანს მაინც არ შევრჩენილვართ. ერთი კი კარგად დამამახსოვრდა: სადღეგრძელოს ვამბობდით, ამ დროს შემთხვევით დასახლისის თვალებს წავანყდი: შემაცია, ამბურძღა, უძიროდ ნალვლიანი, მაგრამ ყინულივით მშრალი, ცივი თვალები ჰქონდა.

იფიქრებდით, სხვა ქალი თუ უყვარსო, მეც ასე მეგონა, მაგრამ შემდგომში ერთი-ორი ძალად შეჩხერილი ქალის მეტი რომ ვერაფერ ვნახე მის სახალხოვს, თავგზა ამებნა. მერე ყველაფერი მის უცნაურობას მივანერე. სიმართლე გითხრათ, დიდად არც მიმტრევეია თავი. შემდეგ, როცა დაავიტრეუსდი, უკვე ვიცოდი, უნებართვოდ ავთოს სულს არ უნდა შევებოდი, ამიტომ დღემდე იდუმალებით მოცული დარჩა ჩემთვის ეს ამბავი.

ოჯახის ბოლო საცობი მოხსნა, ჩამოასხა. ახლად დაქორწინებულებს გზა დაულოცე. ავთომ უხმოდ დალია.

ჭიქები უცებ შეავსო, შემომხედა, სიგარეტი გააბოლა, ჭიქა მომიჭახუნა.

- მოდი, დღევანდელ საღამოს გაუმარჯოს! დამაცადე! - ხმის ამოღება არ მაცალა. - შენ რა გგონია, დღეს ისე, უბრალოდ ამოვედი აქ? - ანთებული, მთვრალის თვალებით მომჩერდა, - არა, ჩემო ძმაო, დღეს სხვა დღეა. დღეს ჩემი ოცნების ქმნილების ძერწვას ვინყვებ. კარგად მომისმინე, რაღაც უნდა გიამბო.

წამოდგა, გაიარა-გამოიარა, ჭიქები გამოვცალეთ, უხმოდ შევავსე. ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა, კიდეც მოსვა.

არ დამეფდარა.

- მაშინ ომი იყო. სამხატვრო აკადემიის მეხუთე კურსზე ვსწავლობდი. მიყვარდა, ელენე მიყვარდა. ხომ იცი, ყველას თავისებურად უყვარს, მეც ჩემებურად მიყვარდა, - დარდიანად გამიღიმა, ჩამოჯდა, - მასაც ვუყვარდი. ერთი ხნისანი ვიყავით. მამარჩემი ომში არ წაუყვანიათ - სამსახურმა დაჯავშნა. ელენეს მამა გაინვიეს. შიმშილობა იყო - ავთო ნაწყვეტ-ნაწყვეტ, პაუზებით ჰყვებოდა, ტკივილს ანიჭებდა მოგონება, -

ჩვენ შედარებით არა გვჭირდა, მამის შინ ყოფნამ დიდი გაჭირვება აგვაცილა, ელენეს ოჯახს კი უჭირდა. თვითონ უნივერსიტეტში სწავლობდა. აკადემიიდან ყოველთვის იქ გავბოდი, - თბრობის რიტმს აუჩქარა, - გზად შინ შევირბენდი (მაშინ ფიქრის გორაზე ვცხოვრობდით), ძხვის ნაჭერს, პურს, რაიმე ტკბილეულობას ქალაქში გავახვევდი, ლექციებიდან გამოსულს ბალის ბოლოში წავიყვანდი და ჩემი ხელით ვაჭმევდი, - ავთო დღეადა. - მერე პიჯაკის ჯიბიდან ფანქარს და ქალაქს ამოვიღებდი და ვხატავდი. ახლა ყველაფერი ეს ბანალურად მოგეჩვენება, მაგრამ, რა ვქნა, ასე იყო. ის სურათები ახლაც შენახული მაქვს, გარჩენებ.

წამოდგა, ორიოდ ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ისევ უკან მობრუნდა.

- არ გინდა. ახლა ის დედაა, მალე შეილიშვილი ეყოლება, შეიძლება იცნობ კიდეც. კარგი კაცის ცოლია; არ ღირს, - გაჩუმდა. ოთახი სიგარეტის კვამლს გაეფსო. ერთხანს მიყურა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, განეგრძო თუ არა თბრობა, ბოლოს, ეტყობა, გადაწყვიტა.

- აკადემია ორმოცდაათისს გაზაფხულზე დავამთავრე და ომში წამიყვანეს. აკი გითხარი, ყველას თავისებურად უყვარს-მეთქი, განშორების სევედაც თავისებურია, რადგან პიროვნული არ შეიძლება ზოგადი იყოს. წასვლისას ელენეს დავპირდი, რომ დავბრუნდები, ჩვენი განშორების სევედის ქანდაკებას გავაკეთებ-მეთქი. ნავედი და... დავიკარგე. ფრონტზე სულ ორიოდ კვირა დავყავი, მერე ტყვეობა... ტყვეობიდან მოკავშირეებმა მიხსნეს. ორმოცდაექვსის ზაფხულში დავბრუნდი ჩვენს ზონაში... - ჩაახველა, - მოკლედ, შინ მხოლოდ ორმოცდაცხრის გაზაფხულზე ჩამოვადნიე. როგორც კი მატარებელი საქართველოს მიწაზე გაჩერდა, ჩავიშულე, თითქოს მიწის სურნელი მიწოდდა აღმექვა. უსასრულოდ გრძელი მეჩვენა გზა თბილისამდე. რა შეედრება იმ სიხარულს, შორიდან ჯვრის მიწასტრის დანახვამ რომ მომგვარა. აი, თბილისის ბაქანიც. მეგონა, მარტო მე გადმოვხტებოდი ბაქანზე გიჟვით, მაგრამ ჩემისთანა დემობილიზებული ორას კაცამდე აღმოჩნდა. დესანტივით ფაციფუცით, გიჟური თორთოვით შევესიეთ სადგურს. ჩვენივე მცოდნენ - დეპეშით ვაცნობე ადრევე. ხომ წარმოგიდგენია, რა ამბავი ატყდებოდა. დედას კინაღამ გული შეუღონდა, უფროსმა ძმამ დამახრჩო კოცნით. მამა ერთი წლის წინ გარდაცვლილიყო. ახლა შენ ფიქრობ, მეტყვი, სახლში ვარ გაჩერდები და პირდაპირ ელენესთან გავვარდი გიჟვითო. არა... - შეჩერდა, ჭიქები შეავსო, გაიცინა, თუმცა ვატყობდი - სულაც არ იყო სიცილის გუნებაზე, - ელენე ორმოცდაექვსში გათხოვდა, ორმოცდაექვსმა წაიღო პირობაც, შემექმნა ჩვენი განშორების სევედის ქანდაკება. მაშინ გადავწყვიტე, უბრალოდ, სევედის ქანდაკება გამომეძინა.

პირველმა თვემ ქეიფა და დროსტარებაში განვლო. ვცდილობდი, ღვინოში ჩამეხრჩო დარდი. მერე სამღებროში მხატვრად დავინყე მუშაობა. ფულიც გამიჩნდა. ორმოცდაათის ოქტომბრის ბოლო იყო, - ავთო ჭიქას ჩააშტერდა. - საღამოს სამსახურიდან წამოსული რუსთაველს ავიყვი. მაგდა ერთი წლის მიყვანილი ვიყავი. ლადისის წყლებთან ნაცნობი სახე დავხვანდი. ელენე! - გამიღვია. არ შეგმცდარავარ, ის იყო. ქმართან ერთად მოდიოდა. ხელკავამოდებულნი ნელ-ნელა მოუყვებოდნენ ქუჩას, უხმოდ ავედევნე. ვუყურებდი ერთ დროს ჩემს და ახლა სხვის საკუთრებას და ვიტანჯებოდი. ჭადრებს ვეფარებოდი. არ მიზღოდა, შევენიშნე. რუსთაველის ბოლოს სამხატვრო აკადემიის დიდ კიბეს აუყვინე. შუა ასასვლელს რომ გაცდნენ, მაშინ შევდგი პირველ საფეხურზე ფეხი, ათიოდე საფეხური ავირბინე და შევჩერდი. ისე იყვნენ გართლნი, ატორლიალებული ლანდი არც შეუმჩნევიათ. იქ ვიდექი, სანამ თვალს არ მიეფარნენ, მერე კიბეზე ჩამოვჯექი, ვუყურებდი სიცილილეს, სადაც ის-ის იყო, ელენემ გაიარა. ცრემლები წამსკდა, - ისედაც გაბზარული ხმა სულ გაებზარა, - ვტიროდი, ჩემს სიყვარულს ვტიროდი, თან ვგრძნობდი, როგორც დედა ვერ მოინელვებს ერთადერთ დაღუპულ შვილს, ასევე ვერ გამოვიტირებდი ჩემს დაკარგულ სიყვარულს. შინ გვიან დავბრუნდი. მაგდა აღელვებული დამხვდა. რომ მკითხა, სად იყავიო, ვუპასუხე: ჩემს სიყვარულს მივყვებოდი უკან და მივტიროდი-მეთქი. ამ სიტყვებმა დაანგრია ჩემი ოჯახი. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგდამ დღემდე ვერ მაპატია, ვერ მაპატია ქალური ღირსების გათელვა, სწორედ იყო. არადა, თავს მანაცვლებდა, საკუთარი ყველაფერი უარჰყო, ჩემით ცხოვრობდა, ჩემს ოცნებებს, გეგმებს, სიხარულს, წუხილს თავისად თვლიდა. ყოველ ჩემს ნამუშევარში რაღაც განსაკუთრებულის დანახვას ცდილობდა. მოკლედ, საკუთარი სული უარჰყო და თანაც ვინ? ჯერ კიდევ გუშინ ამამა, უკარება გოგომ. იმ



დღიდან ჩაუდგა თვალებში ის საზარელი სიცივე, არადა, რომ იცოდე, რა ამბით მოვიყვანე. ვერაზე მაგისთანა გოგო არ დადიოდა. მეც (ბოლიან გულზე), მოსვენება წავართვი, თავი შევაყვარე. ბავშვი რომ არ გვეყოლოდა, მიმატოვებდა, თიკას გამო თავი შეიკავა; ბავშვი რომ გაიზრდებოდა, ვერ ეტყოდა, მამაშენს იმიტომ გავშორდი, რომ არ ვუყვარდიო. შინგანი, ქალური სიამაყე არ მისცემდა ამის უფლებას. ის დღე იყო და ის დღე, სახლში შესვლა შემზარდა, - ავთო ერთთავად კანკალებდა, - ჩვენს ურთიერთობას ყველაფერი შეიძლება უწოდოს კაცმა ცოლ-ქმრობის გარდა. არ ვიცი, მაგდას რა ძალამ გააძლებინა, დღეს კი, როცა თიკა აწვიდა სახლიდან, ორივენი თავისუფლები ვართ. ჰოდა ამაღამ ვიწყებ ჩემი ოცნების ქმნილების გამოძერწვას. მას „სევედა“ ერქმევა. ახლა ხომ მიხვდი, რატომ მოგიყვანე აქ. ახლა კი წადი, გთხოვ, უსიტყვოდ წადი. მერე როცა გავაკეთებ, თავად მოგტეხნი. მე უკვე ვიცი, როგორი იქნება ის, არავინ არ იცის, მე კი ვიცი.

უსიტყვოდ მივედი კართან, მოვხედე. თავჩაქინდრული იჯდა.

რომ გამოვედი, მომაძახა:

- ხალხი მეუბნება, მაგდა ყველა შენს ნამუშევარს ჩუმად ნახულობსო...

მთელი ღამე ვერ მოვიხვენიე. უთენია წამოვდექი, მანქანა გავაჩერე, რუსთაველზე, სამხატვრო აკადემიის კიბესთან ჩამოვედი. ნელა ავეყვი საფეხურებს. უცებ ნისლით კაცი დავლანდე: თავი ხელებში ჩაერგო და ისე იჯდა. მივუახლოვდი. ფეხის ხმაზე თავი ასწია. მთელი ღამის უძინარ სახეზე ყველა ნაკვთი უთრთოდა, წამთვრალე თვალებში ცრემლი ჩასდგომოდა.

საწყლად გამიღიმა. გვერდზე მივეჯექი. დიდხანს ვიყავით ჩუმად, მერე რაღაც ბოლიანად ჩაიხრიალა:

- ბიჭო, ოთარ, დამეინყებია, მეც რომ დამეინყებია... გამცრა.

- რას ამბობ, ავთო!

- არა, ის კი არა, რაც შენ იფიქრე, - ოდნავ გასაგონად ამოილულულა, - დამეინყებია, რომ სევედის ქანდაკება უკვე დიდი ხანია ჩამოვასხი. ცოცხალია ის ქანდაკება, ოთარ! იცი, სუნთქავს, ის სევედის ქანდაკება სუნთქავს!

გაოგნებული შევყურებდი, მან კი საღებავში დასვრილი ხელი გადამხვია და მითხრა:

- შენ ნანახი გყავს ის ქანდაკება, ის ქანდაკება მაგდაა, ბიჭო, მაგდა, ჩემი ცოლი!

ამაცახცახა, ის კი წამოდგა, პიჯაკი გაისწორა და ბუტბუტით, ნელ-ნელა ჩაუყვა კიბეს.

კიბე ჩაათავა, მხოლოდ მაშინ შევეძელი ხმის ამოღება:

- ახლა სად მიდიხარ?

შემობრუნდა, ნალვლიანად ამომხედა, მერე კი ხმამაღლა დაიძახა: - ჩემი ოცნების ქმნილებასთან!

- მერე! - დავიღრიალე.

- რა მერე, ახლა ღიმილი უნდა შევქმნა, ოთარ, ღიმილი!

ჩემს პასუხს აღარ დაელოდა, ქუჩა გადაკვეთა. მე კი არ ვიცი, მომეჩვენა თუ ცხადად ვნახე: ქუჩის მეორე მხარეს მაგდა იდგა და გაცისკროვნებული თვალებით უღიმოდა.

დასაწყისი გვ. 7

გაქანებული კონფორმიზმის, პოლიტიკური არტისტობის გარემოში დაღუპა ქვეყანა და 1992 წლის ბოროტება დღევანდელობას სწვდება. ზვიადს ქრისტიანიზებული პოლიტიკისა სწამდა. ეს იდეა ბევრჯერ გასმენილა დასავლეთის საეკლესიო მოაზროვნეების მხრიდან. დასავლური ჰუმანიზმი დასაბამრდა დასავლეთის მიერ ზვიადის განიერობითა და მოკვდიანობით. ზვიადი არის კაცისა და ღმერთის ურთიერთობის საკითხი ისტორიაში. იმ კაცისა, ვინც ცდილობს ღმერთის მცნებანი დაამკვიდროს პოლიტიკაში. არც ერთმა დასავლელმა პოლიტიკოსმა ერთი სიტყვაც არ თქვა ზვიადზე მას შემდეგ, როცა დრომ ყველაფერს ფარდა ახსნა და თავისი სახელი უწოდა ყოველს. ევროპული განმანათლებლობის დასრულების ერთ-ერთი ნიშანი იყო ზვიადის განიერვა დასავლეთის მიერ. დასავლეთმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ისევ თავისი ძველი სახე გამოაჩინა საქართველოში. ისევ ანტიქრისტიანიზმს მიეცა გასაქანი და ლიტონ სიტყვად იქცა ცნობილი ევროპელი ავტორების ამდენი ნაწიგნი ეთიკაზე.

სტივენ ჯონსის წიგნი არსად ჩანს კრიტიკული დისკურსი თავად დასავლეთის დისკრედიტებული იდეის - დემოკრატიის მიმართ. არც იმას იტყვის ამერიკელი ისტორიკოსი, რომ გამსახურდიას წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებით თავად დასავლეთის იდეას მიადგა დარტყმა პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისშივე. თუ დასავლეთთან დაახლოების გზა გადის ამდენ დანაშაულებზე, რაც საქართველოში ხდება ბოლო 25 წლის მანძილზე, მაშინ თავად დასავლური ცივილიზაციის რაობაზე უნდა დაისვას საკითხი. სტივენ ჯონსი ისე წერს საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციაზე, თითქოს იქ არ დამდგარიყოს ფორმაციული და ცივილიზაციური კრიზისი. 2008 წლის ომის განხილვისას სწორად წერს ამერიკელი ისტორიკოსი, რომ „ომმა განამტკიცა საქართველოს დასავლური ორიენტაცია, მაგრამ გამოამჟღავნა დასავლეთის იმედზე ყოფნის ილუზიები“ (გვ. 344).

90-იანი წლები იყო დემოკრატიის იდეის დევალვაციის უწყვეტი პერიოდი. ეს იყო ხანგრძლივი პოლიტიკური სიმულაციისა და სპექტაკლის, სიბრყველის ტრიუმფის წლები. დასავლეთის მიერ ბოლშევიზმის კრიტიკა ხშირ შემთხვევაში უფრო სპეკულაცია და პოლიტიკური კომბინატორიკა იყო, ვიდრე მორალური პრინციპის გამო გამოთქმული მსჯელობა. ამას მაშინ, 90-იან წლებში ცოტანი ხედავდნენ და რომც ეთქვათ, მათ არავინ მოუსმენდა.

როცა ამ წიგნს წერდა სტივენ ჯონსი, რატომ არ შეხვდა ის უნივერსიტეტში, კვლევით ინსტიტუტებში მომუშავე გამსახურდიას მომხრეებს? ხომ არ ვამბობ, რომ ის სამეგრელოში უნდა ჩასულიყო და გამოეკითხა 1992 წელს აკლებული ხალხი. არადა, ამ წიგნის დასაწყისში სტივენ ჯონსი ამბობს, რომ მას აქ გამოუყენებია ბოტკომ-უპ (ფსკერიდან ზემოთ) ანალიზი. 30 წელზე მეტი რომ აგროვებდა ის მასალებს, შევარდნაძის მხარდამჭერთა გარდა რატომ არ ჩანს მის წიგნში მეორე მხარის აზრი?

ამერიკელი ისტორიკოსი წერს, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები ზვიადმა მოლაღატეხად შერაცხა (გვ. 77). არა, ლალატის გზას ადგენენ და იმიტომაც შერაცხა მოლაღატეხად. საქართველოს დაშლას და გაძარცვას სწორედ ოპოზიციონერმა ინტელიგენციამ დაუდო სათავე. მას ეს არა მხოლოდ ხახვივით შერჩა, არამედ ჯილდოები მიიღო შევარდნაძის მოსვლის შემდეგ. სტივენ ჯონსმა, რომელიც ამ წიგნს 5 წელი წერდა, არ დაინახა, რომ ინტელიგენცია ლალატისა და საბოტაჟის გზას ადგა და ხელი შეუწყო კრიმინალის პოლიტიზაციას. ინტელიგენცია გაუაზრანაგდა ბანდიტებს. ინტელიგენციამ (გურამ თევზაძე, ელდარ შენგელია და სხვ.) თავისი თავი როკფერის პაპას შეადარა, რომელიც ამერიკაში შარავის ყაჩაღობას მისდევდა. ინტელიგენცია იცინოდა საკუთარ ამორალიზმზე და ეგონა, რომ ეს ყველაფერი ჩაიფარცხებოდა და დაიფარებოდა დასავლეთიდან შემოსული ფულის ტომრებით. აბა, გამოვიდნენ ახლა გურამ თევზაძე, მიხეილ ნანეიშვილი, ნოდარ ნათაძე და ფილოსოფიურად განსაჯონ დღევანდელობა. მაშინ ხომ ფილოსოფოსობდნენ. გაბედონ აბა დასავლეთის კრიტიკა. აი ესაა კონფორმიზმი, რომელიც თავს იფარავს ლამაზი სიტყვებით და ეპიგონური ლიბერალიზმით.

სტივენ ჯონსის წიგნი თითქმის ახლახანს გამოვიდა. რა არ მოხდა, რას არ მოეფინა ნათელი და რა არ დააყენა თავის ადგილზე დროის მდინარებამ. ქართველი ინტელიგენციის თვითლუსტრირება და დეკლასირება მოხდა. აღმოჩნდა, რომ მისი დემოკრატიზა კაპიტალსა და დასავლურ სისტემას არაფერში სჭირდება. სისტემამ მხოლოდ გამოიყენა ინტელიგენცია ინტელექტუალური ილუზიების შესაქმნელად შემდეგ ის შორს მოისროლა. ამერიკელი ისტორიკოსი კი ისე წერს და ისეთ კლიშეებს იყენებს, რომ თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თითქოს არ გამოსულყოს ცნობილი ამერიკელი ავტორების ბესტსელერებად ქცეული ათობით კრიტიკული წიგნი კაპიტალიზმისა და მთლიანად დასავლეთის კრიზისზე. აი ამიტომ, ამ წიგნის კითხვისას ხშირად მქონდა სურვილი შემეძახა სტივენ ჯონსისათვის:

თქვენ როგორ ფიქრობთ, საქართველოში ყველა ბალახს ძოვს და არავის არაფერი ეყურება?

აღმაშფოთებელია სტივენ ჯონსის კიდევ ერთი მსჯელობა: „ვაცლავ ჰაველი რომ ყოფილიყო საქართველოში, მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა“ (გვ. 77). კი მაგრამ, ჰაველი რითი იყო გამსახურდიანზე მეტი? მის დროს ხომ ორად გაიყო ჩეხოსლოვაკია. შეენარჩუნებინა მას ერთიანი ქვეყანა შუაგულ ევროპაში. ვაცლავ ჰაველი 90-იან წლებშივე გაუფერულდა. ის მაშინ სხივოსნობდა, როცა დისიდენტი იყო. ჰაველი ჰაველობდა დისიდენტობის დროს. როდესაც ჰაველი გახდა გლობალური ლიბერალ-კაპიტალიზმის სისტემის ნაწილი, ის ჩანდა როგორც მალაღი რანგის ფუნქციონერი და მეტი არც არაფერი. პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველს არაფერი უთქვამს რაიმე ყურადსაღები და კრიტიკული დასავლეთის პოლიტიკაზე. ის ხომ ევროპის ცენტრში იყო და ბევრ არსებით მოვლენას შიგნიდან ხედავდა. ჰაველს კრინტი არსად დაუძრავს დასავლური პოლიტიკის გამო. გამსახურდიამ კი დასავლეთს შეახსენა, რომ აუცილებელი იყო წინა წლებში დეკლარირებული ზნეობრივი პრინციპების დაცვა. ჰაველს ეს არსად უთქვამს. ის 90-იან წლებშივე გახუნდა და გაიცრცა თავის დისიდენტურ ნაწერებთან ერთად. ის იქცა სისტემის კონფორმისტად. ცხადია, სტივენ ჯონსი ამას არ დაინახავს. ჰაველს არასოდეს არაფერი უთქვამს გამსახურდიანზე, როგორც იდეურ თანამებრძოლზე. განა მან არ უწყობდა, რა მოხდა საქართველოში, მაგრამ ერთი საკეთილო სიტყვა არ დასცდენია მას გამსახურდიანზე. ჰაველი კი არა, არამედ



გიორგი გვახალია

ნაპოლეონი ვერას გახდებოდა იმ ქვეყანაში, სადაც ამდენი შლეგი, პოლიტიკური მეძავი და მედროვეა. მხოლოდ საქართველოში გახდა შესაძლებელი ასეთი სიმდაბლის გამოვლენა, რასაც 1991-93 წლების ომი და ქართველთაგან საკუთარი ქვეყნის გაძარცვა ჰქვია. ამერიკელი ისტორიკოსი კი ამაზე ასე თამაშ-თამაშით ჰყვება.

სტივენ ჯონსის მომდევნო მსჯელობაც დიდად მოკოჭლებს. ის წერს: „მსგავსმა გარემოებებმა სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში მსგავსი პიროვნებები და რეჟიმები წარმოშვა“ (გვ. 77). თუ ეს ასეა, რატომ არ დაამხეს იქაც „მსგავსი პიროვნებები და რეჟიმები“? ამაზე სტივენ ჯონსი აღარ ლაპარაკობს. ის გამსახურდიას მოღვაწეობას პოპულიზმს უწოდებს. ეს არ იყო პოპულიზმი. ცნებების თვითნებური მიყენებითა და ტერმინების ჟონგლირებით ყველაფრის ნეგატივიზება შეიძლება. მწარე ღიმილის მომგვრელია სტივენ ჯონსის ირონიული მსჯელობა, რომ „გამსახურდიას რეჟიმი იმპერატორ ლუი ნაპოლეონის მსგავსად იმართებოდა საყოველთაო თანხმობით, არჩევნებითა და რეფერენდუმებით, მაგრამ მას უკან სწევდა პოპულიზტური იდეები და არადემოკრატიული სტრუქტურები“ (გვ. 77-8).

კი მაგრამ, უინსტონ ჩერჩილის მოღვაწეობაში არ იყო პოპულიზმი? მარგარეტ ტეტჩერი, რეიგანი და განსაკუთრებით უმცროსი ბუში არ იყვნენ პოპულიზტები? რა არის ეს? როცა ეს წიგნი ქართულად გამოიცა, რატომ არ ნაუმიძღვარეს მას ქართველმა გამომცემლებმა წინასიტყვაობა? გამოდის, რომ ისინი ეთანხმებებიან სტივენ ჯონსის მიერ გამსახურდიანზე გამოთქმულ მსჯელობებს. ეს ინდიფერენტიზმი მათ ვერ მიეტყვებათ.

სტივენ ჯონსი წერს ზვიადზე: „ის ერთ-ერთ ყველაზე მეტად ავტორიტარული რეჟიმის ხელმძღვანელად მოგვევლინა“ (გვ. 78). გამსახურდიას ხანმოკლე პრეზიდენტობას სტივენ ჯონსი უწოდებს „არაკომპეტენტურ ავტორიტარიზმს“ (გვ. 74). ვისი დამხობაც დასავლეთს

განუზრახავს, მისთვის ავტორიტარიზმი დაუნამებიათ. მართლა ავტორიტარისტი რომ ყოფილიყო ზვიადი, მერე რაღას დაწერდა სტივენ ჯონსი? ის წერს, რომ „გამსახურდიას სამიზნე იყო არა ადამიანის უფლებები, არამედ ქართველის უფლებები“ (გვ. 78). აქ უკეთესი იქნებოდა მთარგმნელს გამოეყენებინა სიტყვა „მიზანი“. სწორი იყო ზვიადი იმაში, რომ უწინარესად ქართველი ხალხის უფლებებს იცავდა და არა ადამიანის უფლებებს. ახალგაშობილი იყო საქართველო საბჭოთა იმპერიიდან და სხვაგვარად მაშინ ვერც იქნებოდა. სწორედ ამ საკითხში ედავება დასავლურ ლიბერალიზმს ევროპული კონსერვატიზმი (კარლ შმიტი და სხვები), რომ ხალხის უფლებათა დაცვა უფრო მეტი ნიშნავს, ვიდრე ადამიანის უფლებათა დაცვა. ეს საკითხი არ განიხილება ქართულ მეცნიერებაში მისი დიდი კონფორმიზმისა და პლაგიატიზმის გამო. ანგლოსაქსური წარმოშობის ისტორიკოსმა სტივენ ჯონსმა, შეუძლებელია არ უწყოდეს, რომ როდესაც ჩრდილოამერიკული კოლონიები ბრიტანეთის იმპერიისაგან თავის დახსნას ცდილობდნენ (1775-7 წწ.), და ჯორჯ ვაშინგტონს დიქტატორის უფლებანი მიანიჭა კონგრესმა, მაშინ იანკების უფლებებზე, ღვთისაგან რჩეულ ამერიკულ ხალხზე იყო ლაპარაკი ამერიკის დამფუძნებელ მამებთან და არა ადამიანის უფლებებზე.

არ მომწონს, როცა ამერიკელები აი ამ შტამპებითა და შტამპონებით განსჯიან ყველასა და ყველაფერს. მათ სურთ, რომ ამერიკის ისტორია და გზა იყოს ყველა ხალხის ისტორია და გზა. მათ სურთ, რომ ამერიკული ადლით იზომებოდეს ყველაფერი ყველა დროში. ასე კი ვერ იქნება. ისტორიამ ღმერთის ავტორიტეტით განმტკიცებული ათასწლოვანი მონარქიები ააყირავა და გააქრო. ფუჭია და ამაო დასავლური ლიბერალიზმის ერთადერთობის ჯიუტად მტკიცება, მაშინ როცა განვილი 25 წელიწადი არის ლიბერალიზმის კომპრომეტაციის და გაუფასურების დასტური. სტივენ ჯონსს რამდენჯერმე ჰყავს დამონმებული ცნობილი ნეოკონი უმცროსი ჯორჯ ბუშის ბანაკიდან, ფარიდ ზაქარია. კარგი იქნებოდა, სტივენ ჯონსს ორი სიტყვა ეთქვა ზაქარიაზე, როგორც ყოფილ უნილატერალისტსა და ამერიკული იმპერიალიზმის ცნობილ აპოლოგეტზე ერთად მერე ომის დროიდან. შემდგომ წლებში ფარიდ ზაქარიამ გამოაქვეყნა მრავალი კრიტიკული წერილი და დააყენა საკითხი ამერიკის დაცემაზე. მხოლოდ ეგ არაა, რომ ფარიდ ზაქარიამ რაღაც თქვა დემოკრატიაზე და ეს ნათქვამი სტივენ ჯონსმა ქართველთა დასარწმუნებლად დაიმომწო.

ზვიადი თავისი პოლიტიკით, თავისი შეხედულებებით ახლოს იდგა ევროპულ მემარჯვენე კონსერვატიზმთან. ის ცდილობდა დაეცვა კოლექტივიზმი კაპიტალისტური ინდივიდუალიზმის შემოჭრისას. ეს დასაძრახი და სასაცილო კი არაა, როგორც ამას ოპოზიციონერები აკეთებდნენ და გაზეთებში ოხუნჯობდნენ, არამედ სანაქებო და მისაბაძია. მეტად გაუგებარია სტივენ ჯონსის ნათქვამი, რომ ზვიადი „თავდაცვით ეთნოპოპულიზმად“ მივიდა (გვ. 79). აქვე წიგნში წერია, რომ „გამსახურდიას ღვარძლი მიმართული იყო იმპერიის ცენტრისაკენ“. აქ თარგმანი არ ვარგა. მთარგმნელმა ალბათ, სიტყვა რესენტმენტ თარგმნა ღვარძლად. უკეთესი იქნებოდა სიტყვა „წყენა“, ან „აღშფოთება“. ასევე არ ვარგა თარგმანი და არც თავად სტივენ ჯონსის მსჯელობა, რომ გამსახურდიამ „მთელი გაღიზიანება გადაიტანა რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებზე“ (გვ. 79). ეს არ იყო გაღიზიანება, არამედ იყო ქართველთა მოყვარე პატრიოტის, ქრისტეს მოყვარე პოლიტიკოსის მიერ თავისი ხალხის დაცვა.

მაშინ, 1989-90 წლებში თავად დასავლეთში არ იცოდნენ როგორი პოლიტიკა გაეტარებინათ სამერმისოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. 1990-91 წლებში დასავლურ მედიაში ისმოდა უფროსი ჯორჯ ბუშის კრიტიკამის საგარეო პოლიტიკის გამო. ამ დროს საქართველოში თუ იყო მრავალი გაუგებრობა, შეცდომა და პროვინციალიზმი ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, ეს ზვიადს ვერ დაბრალდება. აქაც ასე არ გამოვიდეს, რომ ყველაფერი ზვიადს დაბრალდეს და მის ყოფილი თანამებრძოლები, რენეგატი დისიდენტები გამართლდნენ. ზვიადმა დასაბა გზა და ქართველი მისცა ქართული იდეა, რომლის განხორციელებზე ქართველებმა უარი თქვეს სხვის დაკრულზე ბუქნის ჩვევის გამო. ქართველებმა საკუთარი კერა შეაგინეს და ფესვი მოიკვეთეს 1991-93 წლებში. ამ სავალალო ფაქტს ვერ დაფარავს პოლიტიკური ტერმინების კორინტელი. სულაც არაა ისე, რომ ავტორიტარისტი გამსახურდიან დემოკრატიულმა ძალებმა დაამხეს. სტივენ ჯონსის მსჯელობით ისე გამოდის, რომ საბჭოთა იმპერიის დაშლისთანავე გამსახურდია მაშინვე ლიბერალ-კოსმოპოლიტურ გზას დაადგებოდა და საბაზრო ექსტრემიზმის დამკვიდრებით გაამართლებდა ახალი დროის უსამართლობასა და ქვეყნის ძარცვას. ზვიადი არ დაუშვებდა საქართველოს გაძარცვასა და გაყიდვას. ის ცდილობდა რეგულირებადი კაპიტალიზმის შენელებულად დამკვიდრებას, რაზეც მისი ოპოზიციანი ქილიკს ვერ რჩებოდა და მას ფარულ კომუნისტობას სწამებდა.

სტივენ ჯონსი წერს, რომ მოწინააღმდეგეები ორ ბანაკად გაიყვნენ, „სადაც ერთ მხარეს იდგა სწორი, ჭეშმარიტი და ერთგული და მეორე მხარეს - მცდარი,

გაგრძელება გვ. 16

დასაწყისი გვ. 8

ეს კი იმით აიხსნება, რომ „ისინი ჩვენ გვაჭმევენ“ . შემოწმებები არსებობს, მაგრამ ფორმალური. 2009 წლამდე ცდილობდნენ ამასთან ბრძოლას, მაგრამ ახლა „რუს ოლიგარქებს მწვანე შუქი მიეცათ, რადგან შეიცვალა პრემიერ-მინისტრი. ყველა სამაუწყებლო საშუალება პირდაპირ თუ ირიბად დამოკიდებულია სამთავროს სასახლესთან, ნებისმიერი პროვინცია ვინც კი გაბედავს ხელისუფლების კრიტიკას, ჯვარს უსვამს თავის კარიერას. პირად საუბრებშიც კი დაუშვებელია პრინციპის კრიტიკა. მთავრის სახელით მოხსენიება დაუშვებლად ითვლება, უნდა თქვა „მისი უმაღლესობა“. ფრანგ კომიკოსს, რომელმაც გაბედა და იხუმრა მონაკოს სამეფოს ოჯახზე, აეკრძალა მონაკოში შესვლა“. <http://www.inosmi.ru/world>

მივუბრუნდეთ ისევ პუტინს ამოუცნობს თავისი ბნელი წარსულითა და ანწყობით. ვნახოთ რას გვაუწყებს რუსული მაუწყებლობა „ინოპრესა“ პუტინს „სილარობის“ შესახებ. პუტინი დედამიწაზე ყველაზე მდიდარი ადამიანია.

„თუ ერთხელ მაინც დაფიქრებულხართ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის პირადი ქონების რაოდენობაზე?“ კითხულობს რუსი მწერალი ლეონიდ ბერშიდსკი თავის სტატიაში სააგენტო „ბლუმბერგისათვის“. გერმანული გამოცემა „დი ველთისათვის“ 2007 წელს მიცემულ ინტერვიუში სტანისლავ ბელკოვსკი ამბობს, რომ პუტინი აკონტროლებს სანავთობო კომპანიის „სურგუტნეფტგაზის“ 37% და გაზის მონოპოლია „გაზპრომის“ 4,5%. მაგრამ ეს მკაცრად გასაიდუმლოებულია და ამას უარყოფს თვით პუტინიც.

ახლა კი მოვუსმინოთ, პუტინის უშუალო ზემდგომს სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების სამსახურში ყოფნისას კვბის გენერალ ოლეგ კალუგინს, კალუგინი ამტკიცებს, რომ ყოფილი ჩეკისტი ლიტვინენკო და ჟურნალისტი ბოროვიკი მოკლეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან დაკავშირებული სკანდალების გამო.



პუტინის ყოფილი უფროსი კალუგინი ჰყვება მრავალ ისტორიას, კერძოდ ლიტვინენკოს მასალებზე პუტინის არატრადიციული კავშირების მასალების შესახებ. კვბ-იდან გამოსულები ამტკიცებდნენ, რომ პუტინი პედოფილია. აი, მაგალითად რას წერდა ალექსანდრე ლიტვინენკო: „აღმოჩნდა რომ პუტინს არ აიყვანდნენ საგარეო დაზვერვაში იმის გამო რომ, რაც დადგინდია, ის დაავადებულია პედოფილით.

როგორც მცოდნე ადამიანები ჰყვებოდნენ, მისი სექსუალური უკულმართობის შესახებ თავიდანვე არ შეუტყვიათ, არამედ მხოლოდ ყაზანის უნივერსიტეტის დამთავრებისას.

კადრების მესვეურებმა ვერ იფიქრეს და საბჭოთა დაზვერვის ნიაღში პედოფილმა შეაღწია, ინსტიტუტის ხელმძღვანელობას შეეშინდა ამის გამხელის.

როგორც სპეცსამსახურებშია მიღებული, კარგად შერჩეული საბაბით ფგრ-ის მივლინებიდან დაბრუნებული პუტინი გაამწესეს იქ, საიდანაც მოვიდა - ლენინგრადის კვბ-ის სამმართველოში და ამით დასრულდა კარიერა.

მას შედეგ, როცა პუტინი ФСБ-ს დირექტორად დანიშნეს, მან დაიწყო სპეცსამსახურებში მის შესახებ შექმნილი კომპრომატების მოძიება და მათი განადგურება, ამით ის პრეზიდენტობისთვის ემზადებოდა. გასაგებია, რომ ФСБ-ს დირექტორს საკუთარი კომპრომატების განადგურებისას პრობლემები არ შექმნიან. იმ დროისათვის პუტინმა საკუთარი უსაფრთხოების სამმართველოში იპოვნა ვიდოჩანანერები, სადაც ჩეკისტებმა მოახერხეს ჩაენერათ თავიანთი მომავალი შეფი იმ დროს, როცა ის არასრულწლოვან ბავშვებთან სექსით იყო დაკავებული. პუტინი ჩაწერეს იმავე კონსპირაციულ ბინაში პოლიანკას ქუჩაზე, რომელშიც გადაიღეს ორ მეძავთან რუსეთის გენერალური პროკურორი იური სუკრატოვი. მოგვიანებით კი პუტინმა აბრამოვიჩის ბრძანებით მოხსნა სუკრატოვი გენერალური პროკურორის თანამდებობიდან. იმის შესახებ, რომ პუტინი პოლიანკის ქუჩაზე, იმავე ბინაში გამოიჭირეს დაწერა სუკრატოვმა თავის ნიგნში „დრაკონის ვარიანტი“ 193-154 გვერდებზე. ამას გარდა, პუტინის ბიჭებთან ყოფნის ვიდოჩანანერების შესახებ იცოდა თავის სახლთან დახვედრისას ФСБ-ს დირექტორის მოადგილემ გენერალ მაიორმა ანატოლი ტიმოფეევმა, რომელიც ვინრო წრეში სინანულს გამოთქვამდა იმის შესახებ, რომ ФСБ პედოფილებს ჩაუვარდათ ხელში.

პუტინი რომ დაავადებული იყო სექსუალური უკულმართობით, გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე, წერდა გაზეთ «Совершенно секретно»-ს მთავარი რედაქტორი არტემ ბოროვიკი. ჩვენ უკვე ვიცით რა მოუვიდა ლიტვინენკოს ამ განცხადებების შემდეგ.

კრემლის ტერისტებთან შეხვედრისას პუტინმა ხუთი წლის ბიჭს აუნია მაისური და აკოცა მუცლის არეში. მიმოხილველების თქმით ასეთი „უშუალობა“



Да что это, блядь, такое?! Опять "Отец" народа?

დამახასიათებელია პუტინისათვის. ასეთი ქმედება დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობების თანახმად შეიძლება გამხდარიყო მიზეზი სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა პედოფილის საბაბით, რუსეთის კანონმდებლობაში კი ასეთი მუხლი არ არსებობს.

პუტინის გადახრებზე გვაუწყებს ივან როდე, რუსი ფსიქიატრი, რომელსაც ჩაუტარებია კვლევები, დასკვნები დაბეჭდილია გაზეთში „Хотьковский прорыв“. დაინტერესებულ მკითხველს ვებგვერდსაც ვთავაზობთ: <http://ivan-rode.livejournal.com/592.html>.

რუსულმა გაზეთმა «Красное знамя» კი პირდაპირ უწოდა პუტინს სოდომისტი. და ამაზე საპასუხოდ ФСБ თავს დაესხა გაზეთის რედაქციას. ეს ჯერ კიდევ 2010 წელში მოხდა. ჟურნალისტი პაველ საფრონოვი განიცდის დევნას.

მკითხველო, ზემოთნათქვამს ადასტურებს აგრეთვე დღეს არსებული ვითარებაც. რუსეთის პოლიტიკაში არის ვინმე ვლადისლავ სურკოვი, რომელსაც წამყვანი თანამდებობა ეკავა პრემიერ მდევედევის კაბინეტში, მას კრემლის რუხ კარდინალსაც უწოდებენ.

ფაქტი იმისა რომ რუსეთის პოლიტიკური ბრძოლა პრეიდულად მარაზმამდე დადის, უკვე არც არავის აძრუნებს. აქვე უმთავრესს „პოლიტიკურ მარაზმაციად“ ითვლება კრემლის რუხი კარდინალი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე საშინაო პოლიტიკაში, და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ვლადისლავ სურკოვი. სურკოვის „არაადეკვატური ქცევის“ მაგალითები უკვე უამრავია. მათ შორის მის მიერ რუსეთის ახალგაზრდობის მეთაურის ვასილ იაკემენკოს სურკოვის ღია მხარდაჭერა, რომელიც მხილებულია პედოფილიაში, კერძოდ კი მოსწავლე ბიჭებთან სექსუალურ ურთიერთობაში. ეს გამონაკლისი არაა, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თვით სურკოვი ცისფერია, აღარ წარმოადგენს საიდუმლოს. მას ახლო ურთიერთობები აქვს საეჭვო რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებთან და პროვინციებთან. სურკოვმა პოლიტიკური ინტრიგების გზით აიძულა მედვედევი მოსკოვის მერობიდან გაეშვა იური ლუჟკოვი, რომელიც სასტიკი ნინალმდევი იყო ცისფერების პარადისა. მხოლოდ ამის შემდეგ იქნა დედაქალაქში ცისფერთა პარადები ნებადართული.



ბატონ სურკოვის ჰომოსექსუალური თემა კვლავ ამოტივტივდა პრესაში ედნოროსილების ხამური გამოხტომებისას, რომლებმაც „უდინაია როსიას“ ოფიციალურ საიტზე გამოფინეს „უანერი წარწერით „სერგეი მირონოვი - ლატენტური გეი!“ ეს მას მერე მოხდა, რაც მან განაცხადა რომ ის დადებითად ეკიდება გეი-პარადებს, რომლებიც წამოადგენენ „კარგ სამამულო ტრადიციებს“ (?) თვით მირონოვს ჰყავს ახალგაზრდა მეუღლე და ამ ხრიკ მას თითქოს ყველაფერი წესრიგში უნდა ჰქონოდა, განსხვავებით ვლადისლავ სურკოვისაგან და მისი „ახალგაზრდა პროტეჟე“ ვასილ იაკემენკოსაგან. მაგრამ ბოლო დროს სამაუწყებლო საშუალებებმა გვაუწყეს, რომ გერანიაში პუტინის ნდობით აღჭურვილი წარმომადგენელი ევგენი მირონოვი შევიდა ერთსქესიანთა ქორწინებაში მასხიობ სერგეი ასტახოვთან ოფიციალურად, ამას იუნყება **Питер ТВ**.

კირილ განინი -რეჟისორი, მოსკოვის კირილ განინის კონცეპტუალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი თავისი ფეისბუქის მეშვეობით იუნყება, რომ რუსი მსახიობები ევგენი მირონოვი და სერგეი ასტახოვი გერმანიის ტერიტორიაზე ოფიციალურად დაქორწინდნენ ჰომოსექსუალური ქორწინებით.

ოპოზიციონერმა ბორის ნემცოვმა ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ხმამაღლა განაცხადა, რომ პუტინის უახლოესი პროვინცია ჰომოსექსუალისტია და ამან საზოგადოებაში მმართველი პარტიისადმი ცინიკური დამოკიდებულება გამოიწვია.

პრეზიდენტი პუტინი კი იძულებული შეიქმნა გაეთავისუფლებინა სურკოვი დაკავებული თანამდებობიდან. საზოგადოების დასანახად კი ასე მოაწყვეს, სურკოვმა თვით დაწერა განცხადება წასვლის შესახებ და სასაცილო მიზეზებს ასახელებენ. სინამდვილეში კი კრემლის კულუარებში საწოთირო სკანდალი ტრიალებდა.

გადის დრო, ჩაცხრა ვნებები და პუტინი კვლავ აბრუნებს კრემლში მის ფავორიტს.

პრესა კი ამ მოვლენას ამგვარად ეხმარება „კრემლმა თავის ნიაღში დააბრუნა სატანისტი სურკოვი: სურკოვი კვლავ გახდა პრეზიდენტის თანაშემწე, საკითხავი ისაა, რომ ვინ არის თვით პუტინი“

ოფიციალური კი ამას ამგვარად აშუქებს: ექს-ვიცე პრემიერი სურკოვი დაინიშნა პრეზიდენტის თანაშემწედ. თავის თანამდებობით ის დაკავდება აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის საკითხებით.“

რალა უჭირთ აფხაზეტსა და ოსებს, იქაც შეუქმნიან ლგტბ-ებს!

ერთი და იმავე კადრების მონაცვლეობა ადასტურებს თეზისს იმის შესახებ რომ არსებული სახელისუფლებო სისტემას არ ძალუძს თვითნმენდა. სხვათაშორის, აქ წამოიჭრება კითხვა- რა როლს თამაშობს ამ სისტემაში თვით პუტინი - „სიცრუის თავადი?“

აქ ჩვენ ბოლო სამი სიტყვით შემოვიფარგლებით „პუტინი -სიცრუის თავადი“ და ამით ყველაფერია ნათქვამი.

ასეთია საქართველოში რუსეთის მეხუთე კოლონის მიერ კერპად შექმნილი რუსეთის შიზოიდი მართველის ნამდვილი სახე, ვის მოუვიდა თავში აზრად ნიგნის „უცნობი პუტინის“ შექმნა და გამოცემა ჩვენთან?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ინდოეთის დიდი შვილი ჯავაპარლალ ნერუ -»არ არსებობს უფრო დიდი მტერი საკუთარი ხალხისა, ვიდრე კოლონიზატორის მიერ აღზრდილი ინტელიგენცია».

ალექსანდრე სანდუხაქი

ღვთისმშობლის ღიმილი

(მერაბ კოსტავას საგალობლები)

მასხოვს, წლების წინ წავიკითხე – ადამიანის ჩანასახში პირველად გული იკვეთება, მერე – დანარჩენი ორგანოები. დავინტერესდი, ეს ვინმე რომანტიკოსის ლამაზი ტყუილი იყო თუ თავად რეალობა ასეთი ფანტასტიკური. აღმოჩნდა, რომ მედიცინა ადასტურებდა ამ საოცარ ფაქტს. უფრო მეტიც, გული ის ორგანოა, რომელიც გარდაცვალების შემდეგაც ყველაზე გვიან იხრნება. ამის მერე ალბათ არცაა გასაკვირი, ბიბლიაში ყველაზე ხშირად სწორედ გული რომაა ნახსენები. გულის იმდენხარის მდგომარეობა შეგვხვდებათ წმინდა წერილში, თვალწინ მთელი ადამიანური სამყარო გადაგეშლებათ თავისი განცდებითა და ვნებათაღელვით დაბადებიდან, ვიდრე სიკვდილამდე.

როდესაც გამომცემლობა „ინტელექტმა“ ცნობილი „ასი ლექსის“ პროექტში მერაბ კოსტავას პოეზიისათვის წინასიტყვაობის დაწერა შემომთავაზა, გულის ისეთი ბიძგები ვიგრძენი, ახლაც არ ვიცი, იმწამიერი შიშისა და სიხარულის ნაზავი იყო, თუ მოულოდნელ ტალღასავით მოვარდნილი 23 წლის წინანდელი გულის ხსოვნა.

90-იანი წლები, 1990 წელი. მერაბი უკვე მთავანძის კალთასაა მიბარებული. გამსახურდია არ იმჩნევს, თორემ ზუსტად ვიცი ფრთამოტეხილი ფრინველივით – აწყდება გულს და ისეთ სასონარკვეთაშია, არც ასაფეთქებლად მიზანში ამოღებულ, გროზნოსაკენ მიმავალ თვითმფრინავში მჯდარი და არც კოლხეთის დათოვლილ ტყეებში ნადირივით რომ დასდევდნენ, მაშინ არ ყოფილა.

საერთაშორისო დანოლა იყო, ე. წ. ზესახელმწიფოებს სნაიპერებივით მიზანში ჰყავდათ ამოღებული. მამა ბუში კეთილმოსურნესავით ნუნუნებდა თუ წინასწარმეტყველივით იმუქრებოდა, კაცი ვერ გაიგებდა. სამაგიეროდ, მის მიერ ნასროლი ფორმული იშიფრებოდა ევრო-ამერიკული მეგობრობის ხარისხი. დინების წინააღმდეგ ცურვას შეეშვას, თორემ ძვირად დაუფდებაო. ელცინი გაოგნებული იყო – ქართველები მევედრებიან, პრეზიდენტი მოგვაცილეო, მაგარი ქართველი ძიები კიდევ რუსეთის სამხედრო ძალების სარდლებთან დასუნსულდნენ – გამსახურდიას ფაშისტური რეჟიმი დაგვამზობინეთო. წამიერი აღმაფრენებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების პარალელურად სამყაროს კიდევ ერთ პატარა, უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქრისტიანულ ქვეყანაში „საომქალაქო ომის“ სახელით სამხედრო გადატრიალება მზადდებოდა.

გამომცემლობა „მერანში“ კი ამ დროს ლექსების წიგნი ისტამბებოდა. „რა დროს რომანსეროაო“, თვალს აფახულებდნენ დემოკრატი ქალბატონები. გამსახურდიამ იცოდა, რასაც აკეთებდა. მიუხედავად მოპოვებული გამარჯვებისა, პროცესების შემხედვარე ვარაუდობდა – ვინ იცის, მტრული ძალების ნაქეზებით ქვეყანა ისე ნახდეს და დაიშალოს, ამბის მომყოლი აღარ დარჩეს ქვეყნად. ვილაცას ხომ უნდა მოეთხრო კლდესავით კაცზე, ვილაცას ხომ უნდა დაეხატა ეროვნული გმირის პორტრეტი.

ნათქვამია, ნაწერში ყველაზე უკეთ ჩანს ავტორის ბუნება, თუ ვინმეს მისამართით ზუსტია ეს აზრი, სწორედ მერაბ კოსტავას მისამართით. 1990 წელს გამოვიდა მისი ლექსების ერთადერთი კრებული. ისეთი ზათი და ეიფორია, მომავალი ხანძრებისა თუ მარცხების ისეთი გუგუნი იდგა წამიერი გამარჯვების წიაღში, იმდენი ვნება, აღმაფრენა, მრისხანება თუ სიძულვილი ბობოქრობდა, რომ შეუძლებელი იყო პოეტური სიმფონიის მოსმენა. ასე მგონია, მაშინ სწორედ ზვიად გამსახურდიამ გადაწყვიტა ბიბლიოთეკის კატალოგებში მტრედებივით შეყუჟულ წიგნებთან ერთად ამ პანია კრებულსაც ნოეს კიდობანივით გადაერჩინა ქართული საგალობელი,

ქართული ლექსი, ჩვენი ანბანი, ღირსება, ერთგულება, პატიოსნება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოყვასისათვის თავგანწირვის საოცარი ძალა, რწმენის, იმედისა და სიყვარულის უნარი.

ამას გვიან მივხვდი, წლების მერე, აი ახლა, როცა ამ სიტყვებს ვწერ და მერაბ კოსტავას პოეტური სამყარო ჩემთვის აღმოჩენის სიხარულის მომტანია. არადა, კრებული ნაკითხული მქონდა. 23 წლის წინ ეს ლექსები ხელისგულზე მედო. რასაც მაშინ ალლოთი ვგრძნობდი, ეს იყო გულისცემა, ასე გამალებით რომ ფეთქავდა პანია კრებულში, მაგრამ ვისი გული არ ფეთქავდა მაშინ მოლოდინითა და გამალებით...

გამსახურდია ამაშიც შეუპოვარი აღმოჩნდა. სიმფონიის ლაიტმოტივისა ყველაზე უკეთ, უანგაროდ მას ესმოდა, ამიტომაც ჩქარობდა ჩვენთვის მის გაცნობას. ცაიტნოტში იყო და უნდოდა კლავოტოტიდან ამოვარდნილი ეროვნული ენერჯია ლოგოსისათვის დაებრუნებინა, მუსიკის სიტყვიერ ტალღებში შეეყვანა, რადგან ეს მარტო ლექსები კი არა, ეს უცნაური ხომალდიც იყო ეროვნული მენტალობის ტვირთმზიდი და მატარებელი, გაქცევებული გულების ყინულმჭრელი, „უგზობის ქვეყანაში“ რეალური გზის აღმოჩენი და ქვეყნარტების გზამკვლევი. ერთი კონკრეტული კაცის ცხოვრება, ხედვა, განცდა, ინტელექტი ქვეყნის ისტორიად ზოგადდებოდა.

შეუძლებელი იყო ექნათ მეტი, ტროპებსა და მეტაფორებს ამოფარებულ პოეტებს, მეტაფორა ხომ პოეტის ღია ჭრილობაა... ცენზურის ბრჭალებს დახსნილი მათი პოეტური გმირობები, მათი სამწერლო ცხოვრება, ნიშა, ადგილები, სიდიდის, სიმადლის მაუნყებელი ნუმერაციები, პირველ, მეორე, მესამეები... ეს ყველაფერი უკვე განსაზღვრული იყო, ყალიბივით ჩამოსხმული, თითქმის დაკანონებული, ყოველგვარი მოულოდნელობებისა და სიურპრიზების გარეშე. ორიოდ კაცი ყოფილიყო ანდერგრაუნდში, ეს საერთო ატმოსფეროს ვერაფერს დააკლვდა.

თუ მაინცდამაინც საჭირო იყო მერაბის აღმოჩენა – გამორჩენა პოეზიის ასპარეზზე, ესეც კლასიკური მოდელით უნდა მომხდარიყო, წესით და რიგით, მისი წასვლის მერე, მისი ამქვეყნად არყოფნის მერე.

ასეც მოხდა, მერე რა რომ კარგა ხნით ადრე ისეც გამსახურდიამ დაასწრო მოვლენებს...

მასა ჯონსაქა

პეტრა ხვედელია დიდუბის პანთეონში დაიკრძალა

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით ძველი თაობის ქართველი ემიგრანტის, ამერიკის ხმის კორესპონდენტის („კიკა ჭალელის“ ფსევდონიმით) ბატონ პეტრე ხვედელიძის 95 წლის ასაკში გარდაცვალებას. საბედნიეროდ, საქართველოს ემიგრაციის მუზეუმის (დირექტორი რუსუდან კობახიძე), სოფიკო ჯერვალისა და დიასპორის სამინისტროს თანამშრომლის თამარ გამილაღლაშვილის მამულიშვილური აქტივობით შესაძლებელი გახდა მსოფლიო ცნობილი ემიგრანტის ცხედრის უმოკლეს დროში საქართველოში ჩამოსვენება და მისი დიდუბის პანთეონში დაკრძალვა, რისთვისაც სათანადო ხარჯები და მონდომება არ დაიშურეს დიასპორის ახალგაზრდა მინისტრმა კოტე სურგულაძემ და თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა სევედა უგრეხელიძემ.

ბატონ პეტრე ხვედელიძის ცხედარი, ორი დღის განმავლობაში, დასვენებული იყო დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარში, საიდანაც პანთეონში გადაასვენეს. დაკრძალვას მრავალი მამულიშვილი დაესწრო (რედ.).



„არა გვეგონია სხვაგან იყოს ისეთი ქვეყანა, სადა ადამიანის პატიოსნება და ნამუსი ისე წინ – დაუხედავად, ტყუილ – უბრალოდ ილან – ძღებოდეს, როგორც ჩვენში. ჩვენის ფიქრით კი ადამიანს, კაცია თუ ქალი, პატიოსნების და ნამუსის მეტი სხვა უძვირფასესი არა აქვს – რა გასაფრთხილებელი და წმინდად შესანახავი მავრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში კი არაფრად მიაჩნიათ ჩირქის მოცხობა და წაწყმედა სხვისი პატიოსნებისა და ნამუსისა.“

ილია

„აბა ფხიზლად ქართველებო! მიჰყევ მამა პაპის კვალსა, წარსულს გრძობით იგონებდეთ, დაუკვირდით მომავალსა.“ – აკაკი შანიძის ეს გამაფრთხილებელი შეგონება, საქართველოში გოჩა ბახიას გამოჩენამ მომაგონა, რადგან ეროვნული ხელისუფლების დამსობისა და დევნილად ქცევის დროს, სწორედ მამინ, როცა მას ყველაზე მეტად სჭირდებოდა თანადგომა, ის უკვალოდ გაქრა. იმ დროს ბახიას ადგილსამყოფელის შესახებ არაფერი იცოდა, არც ზვიად გამსახურდიამ და არც ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერებმა. მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ ამ დროს ის მოსკოვს აფარებდა თავს და როგორც ჩანს, იმ ფულის გათეთრებით იყო დაკავებული, რომელიც ვითომც იარაღის შესაძენად წაიღო, მაგრამ არც იარაღი, არც ფული და არც ბახია ოცი წლის მანძილზე არ გამოჩენილა საქართველოში. ამასთან, ისიც გახდა ცნობილი, რომ „სამშობლოსთვის დამამგვრალი რაინდი“ მოსკოვიდან ფინეთში გადასულა და იქ ბიზნესით დაკავებულია.

ფულის გამოტყუების და მითვისების ამგვარი მზაკვრული და თაღლითური ფორმა, პირველი არ იყო გ. ბახიას „სახელოვან“ ბიოგრაფიაში, ვინაიდან უფრო ადრე მსგავსი რამ აფხაზეთში განახორციელა. საქართველოში ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ 80-იანი წლების მეორე ნახევარში, აფხაზეთში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ დაძაბულობის უკიდურეს ზღვარს მიაღწია და სეპარატისტთა მხრიდან წინასწარ დაგეგმილი არაერთი თავდასხმა განხორციელდა დაუცველ და ბედის ანაბარად მიტოვებულ ქართველ მოსახლეობაზე. სწორედ ამიტომ, ქართველებმა თავდაცვის მიზნით ფულის შეგროვება დაიწყეს. შეგროვილი თანხა სოხუმში, თბილისის გზატკეცილზე მდებარე ტურბაზაში დაბინავებულ თავდაცვის კომიტეტში იყრიდა თავს, რაც გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ მაშინდელი კორესპონდენტის ფხიზელ თვალს არ გამოპარავდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ვაკორესპონდენტის, არც ერთი ჟურნალისტურ-პუბლიცისტური წერილი არავის უხილავს და გაზეთში მისი ხუთწლიანი „მოღვაწეობა“, მხოლოდ ორი-სამი, საბჭოურ სტილში მოწოდებული, უღიმღამო ინფორმაციით (გზის მონაკვეთის

შტრისები თაღლითის პორტრეტისათვის

ასფალტირების ან კოლმეურნეობაში მოხსნილი მიწის) იფარგლებოდა, მან მაინც მოახერხა თავდაცვის კომიტეტის წევრთა ნდობის მოპოვება და მანეთ-მანეთ სიმწრით შეგროვილი ფულის ხელში ჩაგდება. რომ არა თაღლითობის არნახული ნიჭი, ვინ წარმოიდგენდა, მით უმეტეს „в городе без страха“ (ასე იწოდებოდა ხალხში სოხუმი), რომ მოსახლეობის თავდაცვის



მიზნით შეგროვილ ფულს რაიმე დაემუქრებოდა. დრო გადიოდა, მაგრამ არც იარაღი, არც ფული და არც მრავალჯერ გაფრთხილებული და ამისთვის ნაცემ-ნაბეგვი ბახია არსად ჩანდა. აფხაზეთში რომ არ დაედგომებოდა, სამაჩაბლოსთვის შეუფარებია თავი. სწორედ იქ გაუცვინია ზვიადის მხარდამჭერი მეტროლოები და ასე აღმოჩნდა მათ შორის მათივე დამყარებელი.

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე, უნებლიედ ჩნდება კითხვები: რამ განაპირობა ოცი წლის შემდეგ მისი საქართველოში ჩამოსვლა? იქნებ, სამშობლოს სიყვარულით გამოწვეულმა ნოსტალგიამ აიძულა? ან იქნებ თვალთმაქცობისა და თაღლითობის უღვევი რესურსის მქონეს ახალი მსხვერპლის მონადირეობა მოესურვა? უფრო მეორე ვერსიაზე შევჩერდებით მკითხველის ყურადღებას.

ამას წინათ უმაღლეს საბჭოში მობრძანდა თაღლით-ბიზნესმენი და აქეთ შემოგვიტია,

დევნილთა მიმე მდგომარეობით „შენუხებულმა“ რიხიანად გვისაყვედურა, რომ უამრავი მდიდარი ადამიანია ამ ქვეყანაზე და თავს არ ვინუხებთ იმით, რომ მათი ფულები მოვიზილოთ და დევნილებს მოვხმაროთ, ხოლო ამ საქმეს თავად გაუძღვებოდა, ოღონდ უმაღლესი საბჭოს სახელით და ნდობის მანდატით. ბახიას მიერ ლობირებულ არასამთავრობო ორგანიზაციაში შემოსული თანხები კი დევნილებს მოხმარდებოდა(!)

როგორც ჩანს ფინეთის დალოცვილ მიწაზე დრო უქმად არ უტარებია, მისი ერთი პერიოდი საკუთარი ზნე-ჩვევების წვრთნას მოახმარა, ხოლო მეორე კი თაღლითური სქემების დახვეწას. სწორედ ამ მიზნით შემოიტანა საკუთარ გეგმის არსენალში დევნილთა დაცვის თემა, რომელიც არ ახალია და ქართულ სინამდვილეში არაერთს გამოუყენებია იგი პიარისა თუ ხელის მოთხოვისათვის და რაღა ბახიას გაუწყნებოდა გამჩენი.

როგორც ბოლო დროს გამოჩნდა თავისი „საშური“ საქმიანობის მასშტაბების გაზრდაზეც უფიქრია ამ ჩვენს პერსონაჟს, მიუხედავად იმისა, რომ მის თვალსაწიერში უკრაინაც მოხვედრილა, რასაც ფეისბუქში მის გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება ადასტურებს: „2014 წლის 2 მარტი. ხვალიდან მერაბ კოსტავას ეზოში, საღამოს ექვსი საათიდან ვინცერთი მოხალისეთა მობილიზებას და იმ ნაწილების ფორმირებას, რომლებიც დაეხმარებიან უკრაინელ ხალხს დაიცვან თავისი ქვეყნის სუვერენიტეტი. შეიქმნება მუდმივმოქმედი შტაბი და საველე მეთაურთა საბჭო.“

ეტყობა აქაც იყნოსა გამორჩენის შესაძლებლობა და არად დაგიდებს, არაფრად ჩათვლის იმ შესაძლო რეაგირებას, რომელსაც ჩვენი სახელმწიფოს მიმართ მტრულად განწყობილი ყველასათვის ცნობილი ძალა მოახდენს. თუმცა რატომ, შესაძლო რეაგირება, როცა ბახიას და მისწინართა „აქტივობას“ უკვე შეეზმინა პუტინის რუპორი რუსული მედია, რომელმაც მისთვის დამახასიათებელ სტილში გააფრთხილა საერთაშორისო საზოგადოება მორიგი ტერორისტული საშინაოების თაობაზე ქართული მარკით (10:03, 27 апреля 2014 „В Грузии начали вербовать наемников для отправки на Украину“, წყარო: <http://lenta.ru/news/2014/04/27/georgia/> ახლა ისღა დარჩენია რუსეთის ადგილზევე მოახდინოს ამ საშინაოების ნეიტრალიზება იმ მე-5 კოლონაზე დაყრდნობით, რომელთა რიგებში წამყვანი პოზიციები ბახიასა და მის „სულიერ“ ძმებს უჭირავთ.

წუგარ მგალობლივილი

წუ ვაქცავთ საყდრისის ოქროს მალაროს მეორე ლეგენდად ოქროს საწმისზე!

ნათქვამია, ხის სიმაღლე ფესვებიდან იზომებაო. მართლაც, ყველა ქვეყანა და ერი თავისი კულტურით და საისტორიო მემკვიდრეობით ამაყობს. მეტიც, ბევრი ისეთი ერი და სახელმწიფოც მოიძებნება, რომელიც სხვის მემკვიდრეობას და ისტორიულ მემკვიდრეობას იტაცებს და ითვისებს, რომ როგორმე დასაბუთოს თავისი არსებობა და სუვერენიტეტი ამა თუ იმ ტერიტორიაზე და სივრცეზე. ქართველებს კი რატომღაც განურჩევლობა და გულგრილობა დაგვჩემდა საკუთარი ფესვებისა და საგანძურისადმი. წინაპართა მემკვიდრეობით ვაჭრობამ ფართოდ მოიკიდა ფეხი ჩვენში. მატერიალური კეთილდღეობის ძიებაში ხშირად გვაგვნიყდება, რომ სულიერი სიმშვიდე და სისასვე მხოლოდ სამყაროს შემოქმედთან სინერგიულობასა და თანაცხოვრებას მოაქვს, სულიერი პარმონია წინაპართა მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებითა და მოფრთხილებით მიიღწევა. აკი ათი მცნებაც გვასწავლის: „პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა“. ამ მცნებაში განა მხოლოდ დედ-მამის პატივისცემა იგულისხმება? არამც და არამც! პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს მუხლი ათი მცნების ეროვნული იდეის მატარებელი ფორმულაა, რომელიც წინაპართა, ფესვების, მემკვიდრეობის პატივისცემის, მოფრთხილებისა და დაცვის კენჭმოგვიწოდებს. ქართული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა გენეტიკური წინაპრებიდან მომდინარეობს, მათ სისხლმარღვევში დაგროვილი და ნაგროვები გენეტიკური ინფორმაცია თაობებს უმდიდრებიათ და დღესაც ჩვენში ნაგროვებს და ჩვენს უზრუნველსა და მისწრაფებებს განსაზღვრავს. ამიტომაც, შეუძლებელია, ჩემპარიტი ქართველი გულგრილი დარჩეს, როცა მისი პირველწინაპრების უძველეს ნაკვალევს წაშლასა და განადგურებას უპირებენ, როცა მისი ფესვების ამოკვეთას და ისტორიული მემკვიდრეობის დაინერგებას ესწრაფვიან, რის მაგალითადაც, საყდრისის ოქროს მალაროს გარემო ბოლო

დროს განვითარებული მოვლენებიც გამოდგება. დიდი ილია ბრძანებს: „ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირველ დამხობა გათახსირება, განყალბა იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თავისი ყოფილი



ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისი წარსულისა და ყოფილი ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორციტ მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისა. წარსული – მკვიდრი საძირკველია ანწყობი, როგორც აწყობი – მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ყამი ერის ცხოვრების ისეა ერთმანეთზე დადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერის ბრძნისაგან, რომ აწყობი, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო. ეს სამთა

ყამთა ერთმანეთზე დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდაუვალი, როგორც ყოველივე ბუნებრივი კანონი.

არაერთ ქართველ მეცნიერსა და მკვლევარს მიუმართავს დაულაღვი ძალისხმევა ქართველთა პირველწინაპრების ნაკვალევის მისაგნებად და დასადგენად. დღეს კი მოწმენი ვართ, თუ როგორ ცდილობს მავანი, რომ ჩვ. წ. აღ-მდე IV-III ათასწლეულით დათარიღებული მსოფლიოს უძველესი ოქროს მალარო თვალწინ გავგინადგუროს. ბევრი მოსაზრება გამოითქმის, რომ აქ იყო არა ოქროს, არამედ სპილენძის მალარო. მაგრამ განა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს?! თუნდაც, არც სპილენძის მალარო დასტურდებოდეს და მხოლოდ ჩვენი პირველწინაპრების სადგომი და საცხოვრისი მოიაზრებოდეს ამ ადგილზე, ნუთუ ის დანგრევას იმსახურებს და მის გაქრობას დაუშვებთ?! ჩვენ უკვდავავით დინოზავრთანაკვალევისათაფლიაში, ნუთუ ჩვენი პირველწინაპრების მემკვიდრეობა ასეთივე მზრუნველობასა და ყურადღებას არ საჭიროებს?! დაუშვებელია საყდრისის ძეგლის დანგრევა, რადგან ის ქართული ეროვნული იდეტობის და მეობის ნაწილია და ის თვით ძველმეცნიერულ ანალოგებზე ადრეული და ფასეულია.

ჩვენ დაუშვით ბაგრატის ტაძრის ხელყოფა, უგუნურებით ვკარგავთ დავითგარეჯის კომპლექსს, თავზე გვეწერევა მუცოს კომპლექსი და ასობით უძველესი ტაძარი ქვემო ქართლში. ნუთუ არ იციან ხელისუფლების მესვეურებმა, რომ საკუთარ ფესვებს მონყვეტილი ერის სხეული ვერ იხარებს, უსაძირკველი ხეს კი თანამედროვე გლობალიზაციის და კაპიტალიზმის გრიგალები ადვილად წამოაქცევენ?!

ჩვენ გვაქვს ლეგენდა ოქროს საწმისზე და მის გამყიდველ მედაზე. ნუ დაუშვებთ ამ ლეგენდის ხორცმცხსმას 21-ე საუკუნის საქართველოში. მსოფლიოს უძველესი ოქროს მალაროს შენარჩუნება ყველა ქართველის ვალია. მაშინ, როდესაც რუსი ოკუპანტი თვით კოლხური კულტურის მითვისებას ცდილობს, ვალდებულნი ვართ წინ აღვუდგეთ რუსული კომპანია ლ-ის მცდელობას წაშლის კიდევ ერთი ფურცელი საქართველოს უძველესი ისტორიისა.

ვკვანი მიქალაქი

დასაწყისი მე-7,12 გვერდიდან

ყალბი და ვერაგი“ (გვ. 79). ჯონსი ცდილობს ხელი დააფაროს ოპოზიციას და ზვიადს დააბრალოს ყველაფერი. ერთი სიტყვა არსად უნერია სტივენ ჯონსს, რომ გამსახურდიას დამხობა იყო დანაშაული და მან მოიტანა კატასტროფა. ის არაფერს ამბობს, რომ ოპოზიცია შეიარაღდა რუსეთის სამხედრო ბაზებიდან და დასავლეთის ნაქეზებითა და მონონებით მან საკუთარ ქვეყანას უბედურება დამართა. ის არ ამბობს, რომ შევარდნადის 12-წლიანი აბსოლუტისტური მმართველობა იყო დიდი დანაშაული. მაშ რაღას სწავლობდა საქართველოში მრავალი წელი სტივენ ჯონსი, თუ ეს ვერ დაინახა? სისხლმონყურებული ოპოზიციის მეცადინეობით აირია ქვეყანა. არც დემოკრატია დამკვიდრებულა აქამდე, არც სამართალი. ახლა გამოვიდეს მაშინდელი ოპოზიცია და რაიმე თქვას. საქართველოს დაშლა გრძელდება.

განა მესიანისტმა უმცროსმა ბუშმა ორ ბანაკად არ გაყო მსოფლიო? განა მან არ თქვა, რომ ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია? განა ბუშის დროს არ ითქმოდა, რომ სინათლის ძალები ებრძოდა ბნელეთს სადამ ჰუსეინის და სხვათა სახით? განა ეს ყველაფერი დემოკრატიის სახელით არ ხდებოდა? რატომ ამხელს ჯონსი ქართველთა ეროვნულ მოძრაობას „პრიმიტიულ მანიქეიზმში“ (გვ. 330)? განა ეს მანიქეიზმი თავად ანგლოსაქსური პოლიტიკური დისკურსიდან არაა მომდინარე და რა გასაკვირია, თუ პროვინციალიზმის დაღმოსვრებულ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში იყო ეს მანიქეიზმი, რომ საბჭოთა კავშირი ბოროტების იმპერია და სატანიზმის ბუდეა, ხოლო დასავლეთი კი ღვთის ძალთა შესაკრებელი. პოლიტიკური მანიქეიზმობა იყო და არის დასავლური ლიბერალიზმის ფუძე. თუ მაშინ, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ანტისაბჭოთად დისიდენტები მანიქეისტურად განსჯიდნენ, რომ ბოლშევიზმი სატანიზმია და ლიბერალიზმი კი ღვთის სიტყვა, ეს დასავლეთის გავლენით ითქმოდა. განა შევარდნაძე პრიმიტიული მანიქეიზმი არ იყო, როცა გამსახურდიასთან ომს სიკეთის და ბოროტების ბრძოლას უწოდებდა? განა შევარდნადის ნაქეზებით არ იყო, რომ ზვიადს სატანიზტს უწოდებდნენ 1992-94 წლების პრესაში? ამაზე ჯონსი მხოლოდ ერთგან, წიგნის ბოლოში მითითებული ლიტერატურის ჩამონათვალი ლაპარაკობს (გვ. 405). უკეთესი იქნებოდა, რომ ეს ავტორს ძირითად ტექსტში აღენიშნა.

მიყვებ სტივენ ჯონსის მსჯელობას. ის წერს: „გამსახურდიას მმართველობის არალიბერალური პოპულიზმი ქმედუნარო იყო. მან სამოქალაქო ომი გააჩაღა“ (გვ. 331). მანამდე სტივენ ჯონსს უნერია ჩემთვის სრულიად გაუგებარი წინადადება: „არალიბერალური პოპულიზმი უკეთესი ჩარჩოა გამსახურდიას ფენომენის სრული სპექტრის გასაანალიზებლად“ (გვ. 315). რისი არალიბერალური პოპულიზმი? ვინ გააჩაღა „სამოქალაქო ომი“? ზვიადი გაოგნებული იყო ქართველთა გამცემლობითა და უზნეობით. მან არ მოისურვა ოპოზიციის ლიდერთა ლიკვიდაცია და ეს არის მისი შეცდომა. ამათ რაღა ბიბლიური შეგონება უნდოდათ? როგორ სდებს ბრალს ამდენი მასალის შემსწავლელი ამერიკელი ისტორიკოსი ზვიადს? მაშ რაღა შეისწავლა, თუ ესეც ვერ გაარკვია? რატომ არაფერს ამბობს ის შევარდნადის პოპულიზმზე? განა ის არ იყო მართლა პოპულიზტი და დემაგოგიის ოსტატი? სააკაშვილი სულ პოპულიზტი არ იყო? მერედა, სადმე აქვს ეს ნათქვამი ამერიკელ ავტორს? რატომ არ ამბობს სტივენ ჯონსი იმას, რომ სწორედ გამსახურდიას იდეისადმი აპელირებით მოიპოვა ნდობის უსაზღვრო ლიმიტი სააკაშვილმა 2004 წლის დამდეგს? რატომ არ ამბობს ჯონსი, რომ გამსახურდიას ნეშტის გადმოსვენება და მთაწმინდაზე დაკრძალვა სახალხო გლოვად იქცა? სადმე ყოფილა, რომ პოპულიზტი და სამოქალაქო ომის დამწყები, როგორც სტივენ ჯონსი ზვიადზე ამბობს, ასეთი პატივით დაესვენებინოთ? ჯონსი ერთგან წერს, რომ შევარდნაძემ „მონღოვად გააკეთა საერთო კავკასიური სახლისა და საერთო კავკასიური ბაზრის შექმნა“ (გვ. 349). ზვიადისაგან გადაიღო საერთო კავკასიური სახლის იდეა შევარდნაძემ. ამ იდეას ოპოზიციონერი ინტელიგენცია მრავალი წელი დასცინოდა იმთავითვე ევროპასთან ნათესაობის სახელით. ზვიადის ბევრი იდეა გაიმეორა სააკაშვილმა. მასთან და შევარდნაძესთან ეს იდეები ლიტონი სიტყვა იყო.

სხვაგან ჯონსიწერს, რომ გამსახურდიას „პოპულიზტი“ სტილი ჰქონდა: ის ეროვნულ-განმათავისუფლებელ აქციებს იმ უმცირესობათა განტყვევების ვაცად ქცევისთვის იყენებდა, რომელსაც ასიმილაცია არ სურდა, ხოლო დამინებას „ეროვნული ერთიანობის“ განსამტკიცებლად მიმართავდა“ (გვ. 305). გამსახურდიას არ ყოფილა ასიმილაციონერი. ის ცდილობდა ქართველობის სატიტულო ნაციად ქცევას პოსტსაბჭოთა საქართველოში და ქვეყანა, სადაც მოსახლეობის თითქმის 40 % არაქართველი იყო, უთუოდ იქნებოდა ეთნიკური შეჯახებები. ეს იმის მიუხედავად, ქვეყნის ახალი მმართველი ნეოლიბერალი იქნებოდა თუ მემარჯვენე კონსერვატორი. ზვიადმა სავალდებულო გახადა ქართული ენის შესწავლა და ქვეყნის პატივისცემა.

რა იყო ამაში დასაძრახი? ბარემ რასისტობაში დასდონ ბრალი ზვიადს. ფაშისტი უწოდეს, კომუნისტი უწოდეს, სატანიზტი უწოდეს, პარანოიკი დიქტატორი უწოდეს და ეს როგორ გამოჩნდა? სტივენ ჯონსი მართებულად წერს, რომ გამსახურდიას არაქართველთაგან ითხოვდა ქართული კულტურის უზენაესობის აღიარებას (გვ. 315). აქვე ჯონსი სწორად აღნიშნავს, რომ „გამსახურდიამ საქართველოდან გაძევებული მუსლიმი მესხებიც მიიწვია ... სამხრეთ საქართველოში დასახლებულად, ... იმ პირობით, თუ ქართველებად დარეგისტრირდებოდნენ“ (გვ. 315). მუსლიმი მესხების საკითხი საქართველოსათვის მაშინ ძნელი გადასაწყვეტი იყო. ოპოზიცია ამაშიც სულ გამსახურდიას ადანაშაულებდა. შევარდნაძემ ეს საკითხი გაყინა და მისი 12-წლიანი აბსოლუტისმის დროს ის აღარ განიხილებოდა. სტივენ ჯონსს უნდა გაეხსენებინა უზენაესი საბჭოს მიმართვა გაეროს, მსოფლიოს ხალხებისა და მთავრობებისადმი 1991 წლის 28 თებერვალს, სადაც ლაპარაკია სისხლისღვრის დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე შიდა ქართლში. ოპოზიციამ გამსახურდიას დამხობა მიახარა ოს სეპარატისტებს. მანამდე ინტელიგენციამ ხელზე დაიხვია ქართველ-ოსთა ომი და გამსახურდიას სანინალმდგომ მიმართებას აგზავნიდა უცხოეთში. რატომ არ ამბობს სტივენ ჯონსი, რომ ცხინვალის გარშემო მდებარე ქართული სოფლებიდან ერეკბოდნენ ქართველებს? საპასუხო ქმედება იყო ის, რომ ქართლში დაიწყო ოსების დევნა და აყრა. ოპოზიციამ კი ზვიადს დასდო ბრალი ეთნიკურ შუღლში.

უსულია და სრულიად გაუგებარი ჯონსის კიდევ ერთი მსჯელობა, რომ „ეროვნულ უმცირესობებთან კონფლიქტმა და ქართველთა შორის სამოქალაქო ომმა კათარზისი გამოიწვია. ამან მშვიდობის, წესრიგის დამყარებისა და ძველი, იდეალური მრავალეროვანი თანამშრომლობის სურვილი გააღვიძა“ (გვ. 331). ესე იგი, კომუნისტური ინტერნაციონალიზმი სწორი ყოფილა? თუ სწორი ყოფილა, მაშ რატომ ცდილობდა მის ნეგატივებსა და დასავლეთი წლების განმავლობაში? რასაც აქ ჯონსი „ძველ, იდეალურ მრავალეროვან თანამშრომლობას“ უწოდებს, არის ეფემიზმი, რომელიც გულისხმობს საბჭოთა ინტერნაციონალიზმს. კამათს არ საჭიროებს ის, რომ საბჭოთა ინტერნაციონალიზმს ბევრი დადებითი მხარე ჰქონდა. ეკონომიკურად განვითარებულ, მაგრამ მუდმივი დემოგრაფიული პრობლემის მქონე საბჭოთა საქართველოში ხდებოდა არაქართველთა დიდი მასის შემოდინება. ამ საკითხის მიმართ საბჭოთა საქართველოს მთავრობა ყოველთვის ინდიფერენტული იყო. შევარდნადის ცკ-ს მდივნობის დროს საქართველო იყო ფორსირებული ინტერნაციონალიზმის პოლიგონი. ამან ქართველთაში ნეგატიური დამოკიდებულება და ცუდი მოგონება დატოვა. შევარდნაძემ საკუთარი კარიერისათვის საბჭოთა დროსვე ბევრი ავი საქმე ჩაიდინა. სომხეთის და აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობებისაგან განსხვავებით საბჭოთა საქართველოს მთავრობა არ იცავდა თავისი ხალხის ინტერესებს. პრობლემა იზრდებოდა და გამსახურდიამ მოსვლისთანავე დაუფარავად მიუთითა მასზე. ორჯერ შეადარა სტივენ ჯონსმა გამსახურდიას პოლიტიკა ლენინის პოლიტიკას, რაც ჩემთვის ერთობ გაუგებარია. ჯონსი იხსენებს ლენინის დროს, მაგრამ განზრახ არ იხსენებს, მაგალითად, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის, თურქეთის იმპერიის, ბრიტანეთის იმპერიის დაშლის დროს წარმოქმნილ ეთნიკურ კოლიზებს. პოლიტიკურად აქტუალური რომ ყოფილიყო, მაშინ დღევანდელი დასავლელი ისტორიკოსები დაწერდნენ წიგნებს, მაგალითად, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ცნობილ მოღვაწეზე, კლემენს მეტერნიხზე (1773-1859), რომელიც, როგორც რეაქციონერი, ამოგდებული ჰყავდა რევოლუციურ ისტორიოგრაფიას ევროპასა და რუსეთში. ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლისას იყო მრავალი ეთნიკური შეჯახება. იუგოსლავიის ფედერაციის დაშლას გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს მოჰყვა სასტიკი ომები და გენოციდი შუაგულ ევროპაში. როდესაც ასეთ საკითხებზე ისტორიკოსი ჟურნალისტივით წერს, ეს მის სისუსტეს ადასტურებს. ჟურნალისტული ისტორიკოსები პრესაში გამოსვლისას ქმნიან ზნეობისა და პატრიოტული ერთობის ილუზიას. საქართველოში ეს ყოველთვის ასეა.

სტივენ ჯონსი გამსახურდიას განსჯის 2009-12 წლების გადმოსახედიდან და დემოკრატიის არშინით ზომავს იმას, რაც მისით ვერ გაიზომება. მისი წიგნის მიზანია შევარდნადისა და მისი მომხრე ინტელიგენციის, ასევე დასავლეთის გამართლება. ამერიკელი ისტორიკოსი წერს, რომ გამსახურდიას ოპოზიციას კრიმინალურს უწოდებდა (გვ. 80), რომელიც მოსკოვში შევარდნაძეს შეუთქვა (გვ. 81). ეს ასე იყო და ზვიადს ტყუილად არ უთქვამს. ოპოზიციის შეფასებაში ის მართალი იყო. ამის თქმას კი გაურბის სტივენ ჯონსი. ის ზვიადს უკვე მერამდენედ უწოდებს პოპულიზტს (გვ. 81) და ამბობს, რომ „კრიზისის მართვის უუნარობა დააბნო ის საბოლოოდ“ (იქვე). ჯონსი ასეთი ბანალური ფრაზების მომწველივით ფარავს დასავლური იმპერიალიზმის სინამდვილეს, ამართლებს შევარდნაძეს და ყოველივე იმას, რაც საქართველოში მოხდა 1992 წლის დასაწყისიდან. პოპულიზტმა ზვიადმა თურმე კრიზისი ვერ

მართა. კრიზისი ყოფილა ჯონსის თქმით ის, რაც იყო დიდი ლალატი და შეთქმულება ქვეყნის წინააღმდეგ. სტივენ ჯონსს კიდევ სხვაგანაც აქვს ცუდად ნამსჯელი. ის არსად, არც ერთ ოპოზიციონერს არ მოიხსენიებს იმად, რანიც ისინი იყვნენ სინამდვილეში.

ზვიადმა აღნიშნა ერთ ტელეგამოსვლაში 1991 წელს, რომ საქართველო დაიშლებოდა ოპოზიციის დივერსიული ქმედებებით და მას მყისვე ბრალი დასდეს კრემლის აგენტობაში. ზვიადმა თქვა უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომაზე 1991 წლის 8 ოქტომბერს, რომ საქართველოს შავი დღეები ელოდა, თუკი ის გადადგებოდა. ამაზე ოპოზიციამ ქილიკი დაიწყო და მთელი ოქტომბერ-ნოემბერი იცინოდნენ ზვიადის ამ ნათქვამზე. კარგი იქნებოდა, სტივენ ჯონსს ოპოზიციის ამორალობისა და უვიცობის ერთი ფაქტი მაინც მოეყვანა. მას რაღაც უნდა ეთქვა შლეგი გიორგი ჭანტურიას მოსკოვში სიარულზე შევარდნაძესთან, ნოდარ ნათაძის ხეპრეობაზე, ძმები ხაინდრავების პოლიტიკურ არტისტობაზე. მაშ რაღა მასალები აგროვა 30 წელი სტივენ ჯონსმა?

სარკასტული ლიმილის მომგვრელია სტივენ ჯონსის ნათქვამი, რომ გამსახურდიას გამონათქვამები გასაოცარ მაგავსებას ამჟღავნებს ლენინის აზრებთან (გვ. 81). რატომ ჰგონია ასე ჯონსს? სად ლენინი და სად ზვიად გამსახურდი. ლენინი იყო პროლეტარული რევოლუციის ბელადი, რომელიც მოელოდა, რომ ევროპული სოციალ-დემოკრატები გააგრძელებდნენ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას. ლენინი იყო მებრძოლი ათეისტი, რომლის ნაზრემაც შეარყია მსოფლიო კოლონიალიზმის სისტემა. ის მსოფლიო რევოლუციაზე ფიქრობდა. მან დაამარცხა 1918-21 წლებში თერგვარდიელები და რუსეთში შემოჭრილი ევროპული ქვეყნების ჯარები. მან რუსეთს თავს დაატყდა ნითელი ტერორი. რაში ჰგავს მას გამსახურდი? ბარემ ეს თქვას სტივენ ჯონსმა, რომ ზვიადი კომუნისტი იყო. ან კიდევ ისაა, რომ ჯონსი ცუდად ერკვევა ისტორიაში. ლენინის გარდა ვერფერ ნახა მან შესაძარბები? ლენინს ჰგავდა უმცროსი ბუში, რომელიც მსოფლიო ლიბერალურ რევოლუციაზე ფიქრობდა და ომი გამოუცხადა ყველას და ყველაფერს. ბუშმა გაყო მთელი მსოფლიო მტრებად და მეგობრებად, ბნელეთად და სინათლედ, ვითარც ლენინმა.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ წიგნის აბზაცები სტივენ ჯონსმა კი არა, არამედ აკაკი ბაქრაძემ, ელდარ შენგელაიამ, ჭაბუა ამირეჯიბმა, კობა იმედაშვილმა, თამაზ ნიგნიაძემ, მიხეილ ნანეიშვილმა დაწერეს. მოვიკრიბოთ მოთმინება ჩემო მკითხველბო და მიყვებ ამერიკელი ისტორიკოსის მსჯელობას. ის წერს, რომ ოპოზიციის კანდიდატებმა თბილისის ყველაზე ფეშენებულ რაიონებში ყველაზე მეტი ხმა მოიპოვეს (გვ. 82). მერედა, ეს რა არგუმენტია? განა ეს რაიმეს ნიშნავს იმისთვის, რომ გაკილო გამსახურდი და ქვა დააყარო მას? ჯონსი არ ამბობს ვინ იყვნენ ეს კანდიდატები. პრეზიდენტობის კანდიდატები იყვნენ ვალერიან ადვაძე, ჯემალ მიქელაძე, ნოდარ ნათაძე, ირაკლი შენგელაია და თამაზ კვაჭანტირაძე. სტივენ ჯონსს რა სურს თქვას, რომ ესენი თვალსაჩინო ფიგურები იყვნენ პოლიტიკაში და უფრო მეტად დემოკრატები, ვიდრე ზვიადი? გაარკვია კი სტივენ ჯონსმა, რანი იყვნენ ისინი? თუ მან ეს იცის და განზრახ არას ამბობს? მას არ სურს დანახვა, რომ ინტელიგენციას და სხვა დისიდენტებს შურდათ ზვიადისა. მისი აღზევება ვერ აიტანეს და თავიდანვე მისი მოკვლა ამოიჭრეს გულში. მათ თავის შლეგობას ქვეყანა გადააყოლეს. ამას რად უნდა სამეცნიერო ტერმინებით შენიღბა?

ვთქვათ, პრეზიდენტი გამხდარიყო ნოდარ ნათაძე, ვალერიან ადვაძე, ან თამაზ კვაჭანტირაძე. კარგი რა იქნებოდა? ინტელიგენცია თავიდანვე განზე განმდგარი იყო იმ საქმეთაგან, რისი აღსრულებაც ზვიადმა დაიწყო. არაა სწორი სტივენ ჯონსის მსჯელობა, რომ გამსახურდიამ „ერთ შეძლო ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური ძალების ჩართვა სახელმწიფო აღმშენებლობის პროცესში“ (გვ. 101). ზვიადი უხმობდა სპეციალისტებს მეცნიერებათა აკადემიიდან, უნივერსიტეტებიდან, საბჭოთა არმიიდან. მასთან არ მიდიოდნენ. სამაგიეროდ ახლადრამოსული ედუარდის კარზე 1992 წლის მარტში რიგები და ჯგუფთა დადგა თანამდებობის მისაღებად. ინტელიგენცია დემოკრატიის არარსებობას მიზეზობდა და მას თავი მიაჩნდა იმ ახალ არისტოკრატიადა, რომელმაც იცოდა გზა და გეზი. აღმოჩნდა, რომ ის იყო უცოდინარი, საშინელი კონფორმისტი და მატყუარა. სადმე ყოფილა, რომ ინტელიგენციას ასე დიდი წვლილი შეეტანოს ქვეყნის დაქცევაში? ეს ინტელიგენცია გამსახურდიას დასცინოდა სახელმწიფო კაპიტალიზმის იდეის, სხვაგვარად - სოციალურად ორიენტირებული ბაზრის იდეის გამო. რა იყო აქ სასაუცხოო? ძალზე ვრცელი წერილი რომ არ გამოვიდეს, ამიტომ აქ აღარ დავიწყებ გამსახურდიას მოღვაწეობასთან დაკავშირებულ მრავალი დოკუმენტის ციტირებას. თუ ზვიადი ცდილობდა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მომხდარიყო ნაკლები დანაკარგებით (იხ. სამტომეული: „ზვიად გამსახურდი. ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები“, ტ. II, თბ., 2013, გვ. 84, ასევე მისი, როგორც

დასასრული გვ. 19

ყველა პასუხისმგებელია პირის პატივს და საქართველოს მოქალაქეობის შესახებ

(საუბარი ზარის მხარის ტელე-რადიოკორპორაციის კორესპონდენტ მარიელ ზაბეტ დენცერთან)

- ბატონო პრეზიდენტო, თქვენ 26 მაისს ხმების უმრავლესობით ავირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად, როგორია თქენი უახლოესი გეგმები?

- ჩვენი გეგმებია საქართველოს სახელმწიფოებრიობის სრული აღდგენა, რეფორმები ყველა სფეროში, უზინარეს ყოვლისა, ეკონომიკური რეფორმები; პრივატიზაციისა და თავისუფალი ბაზრის დამკვიდრება; სოციალისტური სტრუქტურების შეცვლა და ახალი ეკონომიკური ბერკეტების ჩამოყალიბება, მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებთან. მაგალითად, ჩვენ უკვე გვაქვს გერმანიასთან კონტაქტები და ვაპირებთ ასევე დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას სხვადასხვა ქვეყნებთან.

- თქვენ ბრძანეთ ეკონომიკური რეფორმების შესახებ, უკვე 7 თვეა ხელისუფლების სათავეში ბრძანდებით. კონკრეტულად, რა გეგმით ხელს ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში?

- ყველა კანონი საფუძვლიანად უნდა მომზადდეს. ნაუცბათევადა ასეთი კანონების მიღება არ შეიძლება. ახლა მომზადდა კანონი მინის საკუთრების შესახებ. ასევე კანონი მოქალაქეობის შესახებ. ამ კანონებს უხვლოეს ხანებში მივიღებთ. ასევე მზადდება კანონები პარტიებისა და პრესის შესახებ.

- კანონები პირველი ნაკითხვით იქნება მიღებული?

- დიახ, ალბათ, ყველა ამ კანონს მალე პირველი ნაკითხვით მივიღებთ.

- კონკრეტულად, თუ შეიძლება მითხარით, ვის შეუძლია მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა?

- ყველას, ვინც საქართველოში ცხოვრობს მუდმივად, შეუძლია მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა.

- სომხებიც, რომლებიც 10 წელი ცხოვრობენ საქართველოში, მიიღებენ მოქალაქეობას?

- რა თქმა უნდა, სომხებიც, აზერბაიჯანელები და რუსები, ეროვნების მიუხედავად მიიღებენ მოქალაქეობას. მხოლოდ სამომავლოდ, როცა უცხოეთიდანაც ჩამოვლენ ჩვენთან საცხოვრებლად, საჭირო იქნება გარკვეული ვადის შემოღება.

- მაინც რამდენი წელი?

- მე ვფიქრობ, 5 წელი. ამ ვადით აძლევენ მოქალაქეობას დემოკრატიულ ქვეყნებში. როცა უცხოელი ჩამოდის საცხოვრებლად უცხო ქვეყანაში, გარკვეული დრო უნდა დაჰყოს ამ სახელმწიფოში, სანამ მოქალაქეობას მიიღებს.

- თუ შეიძლება მიაბნეთ პრივატიზაციის შესახებ ვინ ისარგებლებს ამ უფლებით?

- მცირე სახის პრივატიზაცია უკვე ხორციელდება საქართველოში: მაღალიზების, პატარა საწარმოების და ქარხნების გარკვეული ნაწილი კერძო საკუთრებაში გადადის, უფრო მასშტაბურად, ერთბაშად შეუძლებელია განხორციელდეს. ყველაფერი საფუძვლიანად უნდა მომზადდეს. საამისოდ აუცილებელია გამოვეყოთ საბჭოთა კავშირს. ახლა ჩვენ საბჭოთა ეკონომიკასთან მჭიდროდ ვართ დაკავშირებული, ჩვენ უნდა გავწყვიტოთ ყველა ეს კონტაქტი და ჩამოვყალიბოთ ახალი ეკონომიკური სტრუქტურები, დამოუკიდებელი ეკონომიკა.

- მაგრამ მეურნეობა რომ განვითარდეს და ხალხის დანიტერესებაც რომ გაიზარდოს, საჭიროა სრული პრივატიზაცია.

- მთელი მეურნეობა უნდა ეფუძნებოდეს პრივატიზაციას.

- თქვენ ბრძანეთ, რომ პრივატიზაციის კანონს მიიღებთ პირველი ნაკითხვით. - როგორია ეს კანონი?

- ამ კანონით პირველ რიგში დამტკიცდება მინის საკუთრება. მინა გადაეცემათ ადამიანებს და ასევე აგარარული დარგებშიც.

- ვინ იქნებიან მინის მფლობელები?

- მინათმოქმედები

- თქვენ ბრძანეთ, რომ მზადდება კანონი პრესის შესახებ, დღესდღეობით ტელევიზია და რადიო სახელმწიფო დაწესებულებაა. ამ მხრივ თუ იქნება რაიმე სიახლე?

- იქნება კერძო ტელევიზია და რადიო. უკვე არსებობს რამდენიმე არხი. მაგალითად, საკაბელო ტელევიზიები.

- თქვენ როგორ ფიქრობთ, სადღეისოდ საქართველოს პრესა თავისუფალია?

- ყველა ჩემს მონინალმდეგეს შეუძლია თავისი სტატია დაბეჭდოს ამა თუ იმ გაზეთში და იყოს პოლემიკა ჩვენს შორის. მონინალმდეგეებს აქვთ, აგრეთვე საკუთარი გამოცემები. დაგისახელებთ ოპოზიციური გაზეთების სათაურებს: „საქართველო“, „დრონი“, „კაბადონი“, „ერისიონი“, „აიდგილარა“, „სოვეტსკაია ოსეტია“ და სხვა.

- თქვენი მიზანია, საქართველო რაც შეიძლება მალე ჩაებას ხალხთა საერთაშორისო თანამეგობრობაში. ამ გზაზე როგორია თქვენი კონკრეტული ნაბიჯები?

- საქართველო ყოველთვის იყო ქვეყანა, სადაც მრავალი ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ

და ყველა ხალხს ჰქონდა გარანტირებული უფლებები. სხვა ეროვნების წარმომადგენლებს პრობლემები არა აქვთ. ასევე იქნება მომავალშიც.

- დასავლეთის ქვეყნების მიერ ჯერ კიდევ არ არის აღიარებული საქართველო, რა არის ამის მიზეზი?

- ეს ხდება კრემლის და მიხეილ გორბაჩოვის პოლიტიკის გამო, რადგანაც ჯერ კიდევ მიხეილ გორბაჩოვს დიდი გავლენა აქვს მსოფლიოში. ყველაფერი ეს მოდის კრემლიდან, ცენტრიდან.

- თქვენ აპირებთ შეხვედეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს და შემოდგომაზე აპირებთ ვიზიტს ევროპის ქვეყნებში. რას მოელოთ ამ შეხვედრებიდან?

- უპირველესი მიზანია საქართველოს დიპლომატიური აღიარება.

- საგარეო საქმეთა მინისტრის ხომტარაის შეხვედრა საფრანგეთისა და გერმანიის



ადმინისტრაციასთან არ შედგა, როგორ გგონიათ, მივიღებთ კოლი?

- ყველაფერი ეს უნდა მომზადდეს. ახლა არ შემიძლია ვთქვა, თუ რა მოხდება მომავალში, მაგრამ ვფიქრობ, დასავლეთის ქვეყნების დამოკიდებულება ჩვენს მიმართ უნდა შეიცვალოს.

- თქვენი მიზანი როგორია, როგორ უნდა იცნობდნენ საქართველოს დასავლეთში?

- დასავლეთში საქართველოს წინააღმდეგ დეზინფორმაციული კამპანია მიმდინარეობს. ამაზე გავლენას ახდენს მოსკოვი, კრემლი. ყველა ეს არასწორი ინფორმაცია მიდის მოსკოვიდან - დასავლელი ჟურნალისტები აკრედიტებული არიან მოსკოვში. ჩვენ ვებრძვით ამ კამპანიას, დეზინფორმაცია უნდა დავამარცხოთ. ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი ობიექტური ინფორმაცია გავავაზავოთ დასავლეთში. მაგალითად, „ზიუდლონი ცაიტუნგი“ ბეჭდავს „იზვესტიის“ სტატიებს ჩვენს შესახებ. აქვეყნებს ყოველგვარი კრიტიკის გარეშე. ეს, რა თქმა უნდა, არასწორია.

- როგორ გგონიათ, რამდენი წელი დასჭირდება საქართველოს სრულ დამოუკიდებლობამდე? როდის ექნებათ ქართველებს მსოფლიოში თავისუფლად მიმოსვლის უფლება?

- ჩემს აზრით, ეს არის დროის პრობლემა და დამოკიდებულია დასავლეთის პოზიციაზე საბჭოთა რესპუბლიკებისადმი და ამ რესპუბლიკების თავისუფლებისაკენ სწრაფვაზე.

- თქვენ ბრძანეთ, რომ რაც შეიძლება მალე უნდა გამოეყოს საქართველო საბჭოთა კავშირს, კონკრეტულად, როგორ შეიძლება ამის მიღწევა, საბჭოთა კავშირი ხომ დღეს იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია საქართველო ყველა მხრიდან შეზღუდოს?

- მართალია, მაგრამ ჩვენ ვიბრძვით და იმედი გვაქვს, რომ დასავლეთის ქვეყნები დაგვეხმარებიან. იმედი გვაქვს, რომ ისინი გავაღიარებენ და ეს ჩვენთვის უდიდესი დახმარება იქნება.

- როგორია თქვენი დამოკიდებულება გორბაჩოვთან?

- ბოლომდე არ არის გარკვეული. გორბაჩოვს არა აქვს ნათელი პოზიცია რესპუბლიკების მიმართ.

- ცოტა ხნის წინათ მან აუწყა მსოფლიოს, რომ რესპუბლიკები, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის

იბრძვიან და არ მოანერგნ ხელს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, მოიპოვებენ დამოუკიდებლობას. თქვენ გჯერათ ეს?

- ჯერჯერობით ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია, მაგრამ, მე მგონია, ეს მაინც ასე იქნება დასავლეთის ქვეყნების ზენოლის შედეგად.

- რუსეთის პრეზიდენტად ავირჩიეს ელცინი. რა ურთიერთობა გაქვთ ელცინთან?

- ნორმალური ურთიერთობა. მომავალში, ალბათ, ხელს მოვანერგოთ საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულებას.

- რა ხელშეკრულება იქნება ეს?

- სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის შესახებ. - როგორ გგონიათ, რუსეთსაც უნდა დამოუკიდებლობა? შეუძლია მას დაეხმაროს ამ გზაზე საქართველოს?

- მე მგონი, კი. მოსკოვში ძლიერი დემოკრატიული ძალებია თავმოყრილი. ბორის ელცინიც დემოკრატიული ფრთის წარმომადგენელია, მათი ლიდერია.

- თუ არსებობს საქართველოში ნამდვილი ოპოზიცია?

- არსებობს, მაგალითად, სახალხო ფრონტი, კომპარტია, ბლოკი „თავისუფლება“, თანხმობისა და აღორძინების კავშირი. ისინი ჩემი მონინალმდეგენი იყვნენ პრეზიდენტის არჩევნებში, ჩვენ დისკუსიას ვანარმოებდით, ისინიც მაკრიტიკებდნენ. მაგრამ ვისაც კავშირი აქვთ დამნაშავეებთან, სწადიან კრიმინალურ ქმედებებს, მათ ოპოზიციად ვერ ჩავთვლით.

- ყოფილი ოსეთის ოლქის შესახებ მინდა გკითხოთ. შეიქმნა კომისია, თუ მიაღწია ამ კომისიამ შედეგს?

- კომისიამ დაწერა ობიექტური დასკვნა. მან აღიარა, რომ ეს არის საქართველოს მიწა, და ოსებს არა აქვთ უფლება გამოაცხადონ ახალი რესპუბლიკა. იქ მოქმედებენ კრიმინალური ბანდები, რომლებიც ხალხის წინააღმდეგ იბრძვიან. ყველა ჭკვიანი ოსი ქართველებთანაა, მათ არ უნდათ ავტონომიური ოლქი, არც რესპუბლიკა. მათ კარგი ურთიერთობა აქვთ ქართველებთან, ასე იქნება მომავალშიც.

- თქვენ აყალიბებთ ეროვნულ გვარდიას. რა მიზანი გაქვთ, როგორი უფლებები ენიჭება არმიას?

- ეს არ არის არმია, ეს არის პოლიციის ჯარები. ეს გამიზნულია კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ. არსებობენ კრიმინალური ჯგუფები და ჩვენ ვიბრძვით მათ წინააღმდეგ, რათა რესპუბლიკაში დამყარდეს წესრიგი. დავაპატიმრეთ ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ჯაბა იოსელიანი. ეს ხალხი რომ არ დაგვეპატიმრებინა, საქართველოში მოსალოდნელი იყო სამოქალაქო ომი. ისინი პირდაპირ, პრესით იმუქრებოდნენ სამოქალაქო ომით.

- არსებობს ქართული კვბ?

- დიახ, არსებობს. თანდათან კვბ ეროვნული ხდება.

- ვინ აფინანსებს კვბ-ს?

- ჯერჯერობით ნაწილობრივ მოსკოვი. ერთბაშად ამის გადაწყვეტა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ამას თანდათანობით გავაკეთებთ.

- ...ახლა აფხაზეთის შესახებ. არძინბამ საუბარში მითხრა, რომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოანერგოს ხელი სამოკავშირეო ხელშეკრულებას.

- გაუჭირდება. მოსახლეობა ამის წინააღმდეგია. არძინბას დიდი ოპოზიცია ჰყავს არა მარტო ხალხში, არამედ პარლამენტშიც. ამიტომ, ეს შეუძლებელია, მე ასე მგონია.

- აფხაზეთს უნდა, რომ გამოეყოს საქართველოს. როგორ ფიქრობთ, ეს შესაძლებელია?

- არა, ეს შეუძლებელია!

- რაიმე სიძნელებები ხომ არა გაქვთ ყოფილ კომუნისტებთან ურთიერთობაში?

- არა, აუცი მხოლოდ ზოგიერთების მიმართ შეიძლება ითქვას, რომლებიც მოსკოვში წავიდნენ და მოქმედებენ, როგორც კრემლის აგენტები. ისინი ახლა ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან. ესენი არიან ფოფხაძე, მგელაძე, რომლებიც გავლენას ახდენენ ოსკოვისა და საზღვარგარეთის პრესაზე. ისინი არიან კრემლის პირდაპირი აგენტები. აქ მყოფი კომუნისტები კი არ არიან ძალიან მტრულად განწყობილი ჩვენს მიმართ.

- ადვაქტ?

- ადვაქტ კრემლის მეტროლია.

- ამჟამინდელი თქვენი უდიდესი სურვილი?

- საქართველოს სრული დამოუკიდებლობა და სხვა სახელმწიფოების მიერ საქართველოს დიპლომატიური აღიარება.

- გამსახურდიას, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, რა გატაცება აქვს?

- ომში გატაცება არ არსებობს. ომის დროს ერთადერთი გატაცება ბრძოლაა. დასავლეთის ბენდიერი სახელმწიფოების პრეზიდენტები ბენდიერად ცხოვრობენ და არა ისე, როგორც მე. ჩემი ცხოვრება ბრძოლაა.

საქინფორმი (ინტერვიუ გამოუქვეყნეთ შემოკლებებით-რედ.).

გზა სულხან საბასი უალტერნატივო იყო, არის და იქნება საქართველოსთვის!!!



1783 წლის 24 ივლისი (4 აგვისტო) - გეორგიევსკის ტრაქტატი.
 1787 წელს დარღვეული პირობა.
 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის მიერ დარღვეული თბილისი.
 რუსეთის მიერ გატეხილი სიტყვა...

დამარცხებული სულხან-საბა. არჩეული გზა ჩრდილოეთისაკენ...
 1801 წელს გაუქმებული ქართლ-კახეთის სამეფო.
 1810 წელს იმერეთის დევნილი ბაგრატიონები...
 და ბრძოლა საქართველოს გადასარჩენად. რამდენი სისხლი დაიღვარა. რამდენი ქართველის სიცოცხლე შეინარა რუსულმა მახვილმა...
 აჯანყებები... დაუმორჩილებლობა... მოლაპატეთა სიმრავლე და ერთგულთა თავგანწირვა...
 1907 წლის 28 აგვისტოს წინამართან გასროლილი ტყვია და მოკლული ილია ჭავჭავაძე...
 სულხან საბას გზის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება... რუსეთში მისი სისხლიანი ხელები...
 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობა... ქვეყნის სათავეში ილიას მკვლელები...
 ეკლესიაში ქართული სული... ხელისუფლებაში რენეგატები...
 1921 წლის საბჭოთა ოკუპაცია... წითელი რუსეთის დაბრუნება საქართველოში...
 დახვრეტილი კათალიკოსი ამბროსი(ხელაია). ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრძოლა...
 კვლავ მოლაპატეთა აღზევება. ერთმორწუნე რუსეთის ჩანაცვლება ათეისტური რუსეთით...
 1989 წლის 9 აპრილი... ერის გაბრძოლება...
 დაშინებული ეკლესია და გაუტეხილი სული ქართული...
 ზვიად გამსახურდია... მერაბ კოსტავა... სულხან საბას გზის გაგრძელება...
 1990 წლის 31 მარტს დამარცხებული საბჭოთა

საქართველო. 1991 წლის 9 აპრილს დაბადებული საქართველოს რესპუბლიკა...
 ისევე ჩრდილოეთის შემოტევა. ნომენკლატურის შურისძიება და ნეოკომუნისტთა გადატრიალება...
 22 დეკემბერი 1991 წლის - 6 იანვარი 1992 წლის... დევნილი პრეზიდენტი. დანგრეული თბილისი...
 რუსული ქვეყნები საქართველოს მომავლის წინააღმდეგ...
 წართმეული აფხაზეთი... წართმეული სამაჩაბლო... ათიათასობით მოკლული... ასიათასობით დევნილი...
 რუსული სიყვარული... პრავასლავური რუსული... ერის მიერ ღტობა ევროპისაკენ... სულხან საბას სურვილისაკენ...
 2008 წლის 8 აგვისტოს ჩამოყრილი ბომბები... მუხლზე დაჩოქილი და შუბლგახვრეტილი ღირსება...
 რუსული სიყვარული... რუსული მეგობრობა... ეკლესიის მიერ ქართველთა მეგობრად გამოცხადებული ქართველთა ჯალათი - პუტინი...
 გაორებული საქართველო... სიბნელე... ზვიადის და სტალინის ერთნაირად მოყვარული თაობა...
 ევროპისაკენ მიმავალი და პუტინის მეგობრად სახელმძღვანელო თაობა...
 სირცხვილი... სირცხვილი... სირცხვილი...
 სიბნელე... სიბნელე... სიბნელე...
 მესულხანსაბასთან ვარ... სოლომონდოდაშვილთან... ილიასთან, იაკობთან... ზვიადთან, მერაბთან...
 მე ვერ ვიქნები რუსეთის მხარეს. მე ვარ ევროპისაკენ მიმავალი საქართველოს მხარეს...
 ოდესმე მივხვდებით თუ გეორგიევსკის ტრაქტატით რამხელა შეცდომა დაუშვა საქართველომ...
 თუკი გადავრჩით... თუ არ მოგვსპეს ერთმორწმუნეებმა...
 საქართველო გადარჩება... ქართველი ერი მოიკრებს ძალას და გადარჩება!!!

კობა გუპია
 14 მაისი, 2014 წელი
 ნმ. კეთილმორწმუნე მეფე თამარის ხსენება, მოსკოვი.

თავისუფალი ტრიბუნა

ჩვენ უნდა ვთხოვნიყავოთ...



1955 წლის 5 დეკემბერს მე და ჩემი მეუღლე სოსო ქორიძე დაქორწინდით. სოსომის რკინიგზის სადგურთან ახლოს გამოგვიყვანს სამოსახლო მინა. შემოვლობეთ ბრონეულის „ლობით“. გავაშენეთ ხეხილის ბაღი. ავაშენეთ დროებითი ოროთახიანი ბინა. ხელისუფლებამ მოგვცა ბინა ჭოჭუას ქუჩაზე (ნარგავების ფული), სადაც ჩემი ბედნიერი ოჯახით ვცხოვრობდი. სანამ არ დაიწყო აფხაზეთის ტრაგედია 1992 წლის 14 აგვისტოს.

ქალიშვილმა ციციკო ქორიძემ დაამთავრა ინსტიტუტი - ინჟინერ-ტექნოლოგია. ბიჭმა დაამთავრა ინსტიტუტი - ინჟინერ-მექანიკოსია. მუშაობდა სოხუმის სოხუმელსანყოს ქარხანაში - უფროს ინჟინრად. 2000 წელს დაქორწინდა და შეეძინა ორი ვაჟი: იოსები (სოსო) ქორიძე და დათო ქორიძე. იზრდებიან 174-ე საჯარო სკოლაში, სკოლაზე და მასწავლებლებზე ძალზედ შეყვარებულნი არიან. ქალიშვილისგან კი ერთი შვილიშვილი - ლონდა ბერია. მეორე კლასიდან მეოთხე კლასამდე სწავლობდა 174-ე საჯარო სკოლაში. შემდეგ გადავიყვანეთ ბინის გამოცვლასთან დაკავშირებით 173-ე სკოლაში, რომელიც დაამთავრა წარჩინებით. ჩაირიცხა თბილისის ჯვანახშირის სახ. უნივერსიტეტში სახელმწიფო გრანტით, დაამთავრა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მოიარა სხვადასხვა ქვეყნები: რუმინეთი, ლონდონი, სტრანსბურგი. ეხლა მიემგზავრება გერმანიაში. უყვარს შრომა და მისი სპეციალობა.

გემუშაობდი სოხუმის რკინიგზის პოლიკლინიკაში. დასვენების დღე იყო, ოჯახში ვსაქმიანობდი. უცებ გაისხმა ხმა: - მოდიან, მოდიან, მაგრამ ვინ მოდიოდა არავინ იცოდა. შემინებული ხალხი გარბოდა. მარტო ვიყავი სახლში, ვერ მოვითმინე და ფანჯრიდან გადავიხედე, დაინახე ტრასაზე მოდიოდა ტანკები, დავთვალე 17 იყო. ჩემს სახლის წინ გაჩერდნენ. აიხსნა ტანკების სახურავი, თავი ამოყო სამხედროფორმიანმა კაცმა. ეს იყო ყარყარაშვილი. დაიყვირა: ქართველებო, თქვენს დასაცავად მოვედითო.

ქართველები ყოფილანო და ყველა ქართველი დაბრუნდა სახლებში. გავუმასპინძლდით ჯარისკაცებს. ისინი წავიდნენ გუმისტის ხიდთან და დაიწყო შეტაკება, ქართველებსა და აფხაზებს შორის. 1992 წლის 14 აგვისტო, გართულდა ვითარება. გაითიშა ელექტრობა, წყალი, შეწყდა სკოლაში სწავლება. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, მედიცინის მუშაობა ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. ჩემმა კოლეგებმა, მთხოვეს ჰოსპიტალში შემუშავა. ვიმუშავე ომის დამთავრების უკანასკნელ დღემდე. იბომბებოდა, ინფორმაცია ყველაფერი. დაჭრილები ფრონტის ხაზიდან გამოგვყავდა სასწრაფო მანქანებით. გამოუცდელი ბიჭები იბრძოდნენ, თბილისიდან ჩამოყვანილი კურსანტებიც ვისაც ლაპარაკი შეეძლოთ, იხვეწებოდნენ დედასავით მოგვიარეთო. ძველი იყო მათი შეხედვა, ზოგს თვალის არ ქონდა, ზოგს ყური, ზოგს ხელი, ზოგს ფეხი. ძნელია დედისთვის ამის შეხედვა, რომელსაც ფრონტზე ჰყავს შვილი და არ იცის საკუთარი შვილი სად არის და როგორ არის. მაისის თვეში ითქვა დამთავრდა ომიო და ხალხს მშვიდობიანად ეძინა 40 დღე. მერე ისევ დაიწყო ომი. ბომბი სადაც ეცემოდა ცეცხლი ეკიდებოდა ყველაფერს. დიდი საფრთხე გველოდა, მეზობლები შემოვიდნენ ჩვენთან ბინაში და გვითხრეს უნდა დავტოვოთ სახლ-კარი და უნდა წავიდეთ აქედანო. ესენი იყვნენ რომე ფოჩხუა, ნაირა ფოჩხუა, ნონა სახოვი, გია კუპრავა. მეუღლემ სოსომ უთხრა პანიკა არ შექმნათ „შეგარდნაძე“ სოხუმს არ ჩააბარებსო. ზური იბრძოდა და მოგიკლავენო. ძლივს დავითანხმე შვილი, მეუღლემ მოგვატყუა, თუ შემოვლენ დავიშლებითო და დარჩა სახლიდან ჩვენ გამოვედით, მოვედით გულირფამდე. ერთი დღე-ღამე იქ ვიყავით. 27 სექტემბერს დაცა სოხუმი მეზობლები, ისევ შემოვიყვანდნენ და ასე მითხრეს: - ზურის ნავიყვან რუსიკო დედაო. ქალებს არ კლავენ თქვენ აქ უნდა დარჩეთო. მანქანაში ერთი ადგილი გვაქვსო. იმ წუთშივე შევბრუნდი და შვილს ვუთხარი: - შვილო გაყევი ამათ-მეთქი. ყურში ეხლაც ჩამესმის პასუხი. მეოთხე სართულიდან გადავხტე, მამა სოხუმში დავტოვე, შენ აქ. მე სად ეშმაკებში მაგ ზავნი-თქო. წავიდნენ მეზობლები. დედა-შვილი დავრჩით. რამდენიმე წუთში გარეთ გავიხედე, დაცლილა მთელი სახლები, ეზოები. შემოვედი ოთხანში და შევსე ვუთხარი უნდა წავიდე ავუძერას ჰოსპიტალში, იქ გენერალი გენო ადამიას შვილი მუშაობს და მინდა დამეხმაროს შენს გადაყვანაში-მეთქი.

თბილისში ჩამოსულეხს გოგი და დოდო სტურუებმა გვათხოვეს ბინა...

უფროსების მონაყოლიდან —
სოსო ქორიძე
 174 სკოლა, მე-7ბ კლასი

დისიდენტების ოჯახიდან მეოთხე...

პაატა მჭედლიშვილი, საბჭოთა უშიშროებისა და მილიციის ყურადღების ორბიტაში თავისი ღირსი მამის მიხეილ მჭედლიშვილისა და მამიდის დისიდენტური საქმიანობის გამო 1978 წელს მოექცა, როდესაც მამამისმა და მამიდამ საბჭედ მანაქანაზე საკუთარი ხელით დაბეჭდილი პროკლამაციები ღამის მატარებლის ვაგონებში უჩუმრად დადეს სკამებზე და სხვადასხვა გზებით დაბრუნდნენ სახლებში. საიდუმლო დისიდენტურ საქმიანობაში და-ძმა მჭედლიშვილებს

მიხეილ მჭედლიშვილს ვაჟიშვილის, პაატასათვის ნარკოტიკის ჩადებითა და სტუდენტობიდან გარიცხვით დაემუქრნენ. მამა მიხეილი იძულებული გახდა ეღიარებინა პროკლამაციების გავრცელება და საბეჭდი მანქანის ქონაც და მიუთითა მისი მტკვარში გადადების ადგილიც, თუმცა პროკლამაციების ბეჭდვაცა და გავრცელებაც საკუთარ თავზე აიღო და არ გატყდა. უშიშროებამ, მყვინთავის მეშვეობით, მტკვრიდან იოლადა ამოიღო ნივთმტკიცება.



ვინაიდან პროკლამაციის ტექსტი არ შეიცავდა ანტისაბჭოურ პროპაგანდას, არამედ პროტესტსა და მოწოდებას პოლიტპატიმრების გათავისუფლებისა და ენის დაცვის შესახებ, არ ჩათვალა საჭიროდ სკოლის პედაგოგის დაპატიმრება, ზედამხედველობა და კონტროლი კი დააწესა დისიდენტ პედაგოგზე.

გასულისაუკუნის 80-იანი წლიდან მჭედლიშვილების ოჯახი, ან უკვე სრულად, მეორე ვაჟით, ირაკლითაც ლიად და შკარად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ზვიად-მერაბის მიერ შექმნილ ნმ. ილია მართლის საზოგადოების წარმართველ ძალად იქცნენ. ახალგაზრდა პაატა მჭედლიშვილი აქტიურად ჩაერთო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის პოლიტიკურ ბრძოლაში და ეროვნული მთავრობის იარაღის ძალით დამხობის შემდგომაც არ შეუწყვეტია ბრძოლა. ამ ფოტოზე, ჩემს ხელმძღვანელებს მდგომი პაატა მჭედლიშვილი შემოგვცქერის ჭკვიანი და შეუპოვარი მზერით 2000 წელს უზურპატორი შეგარდნადის გადადგომის მოთხოვნის მიტინგზე. ვაი, რომ ნაადრევმა გარდაცვალებამ დააბნელა ამ დიდებული ვაჟკაცის მზერა, რითაც უსაზღვრო მწუხარება დაგვიტოვა. ნათელში იყავ ჭკვიანო და გულმზურვალე პატრიოტო ქართველო!

ლეილა ცოხაია

დასაწყისი მე-7, 12, 16 გვერდიდან

კანდიდატის საარჩევნო პროგრამა), შევარდნაძის მოსვლიდან ომებზეაგებული და დაშლილი საქართველო საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდა უდიდესი დანაკარგებით. ზვიადმა ისიც თქვა, რომ უცხოეთიდან მოვიწვევთო სპეციალისტებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად და ამის გამოც ქილივი დაიწყო მისი დამხობის მოსურნეებმა. განა შევარდნაძეს სულ გვერდით არ ჰყავდა უცხოელი ეკონომისტი მრჩეველები? რატომ ამაზე არ იქილიკეს? ჰყავდა მრჩეველები და რა იხერხა ქვეყანამ მათი რჩევით? საკადრო პოლიტიკას უწინებდნენ ზვიადს და არ ხედავდნენ, რომ სანდო ხალხი არ იყო გარშემო. შევარდნაძესაც დაუწუნეს საკადრო პოლიტიკა. აღმაშფოთებელია სტივენ ჯონსის მიერ „მხედრონის“ ვეკილობა (გვ. 103). ჯონსი განზრახ არ ამბობს, რატომ დაშალა ეს ორგანიზაცია გამსახურდიამ 1991 წლის თებერვალში. სასაცილოა ის, რასაც სტივენ ჯონსი ამბობს იოსელიანსა და კიტოვანზე, როდესაც მათ დაამხეს გამსახურდია. ამერიკელი ავტორი ამბობს: „ეს გასაღდათ უსაფრთხოების მაძიებელი გაიყვლი და გაძევებული ადამიანების პუტჩი“ (გვ. 104). არ ასეთი მსჯელობა კიდევ ერთხელ დაგვანახებს, რომ სტივენ ჯონსს მიზნად დაუსახავს ყოველივე მომხდარის გამართლება.

სტივენ ჯონსი წერს, რომ „გამსახურდიას თავში აუვარდა“ (გვ. 88) ის, რომ მასზე იწერებოდა პრესაში და მისი სურათები იყო ყველგან. არ ვიცი ინგლისურად როგორ უწერია ეს სტივენ ჯონსს, მაგრამ მთარგმნელს აქ შეიძლება ვერწმუნოთ. ამის თქმა სტივენ ჯონსს, გამომდინარე ამ წიგნის სულისკვეთებიდან, არ გაუჭირდებოდა, რომ „გამსახურდიას თავში აუვარდა“. თავში ავარდნილი ვისაც ჰქონდა, მასზე, ცხადია, სტივენ ჯონსი ამას არ იტყვის. ვგულისხმობ სააკაშვილს. სტივენ ჯონსი აქვე ლაპარაკობს ზვიადის პარანოიაზე. ეს კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ ყოფილი ოპოზიციონერებს ღირს არ დაუშურებიათ, რომ სტივენ ჯონსს ასე დაეწერა და ეს გაეტანა უცხოეთში. არანაირი სინდისის ქენჯნა, არანაირი სირცხვილი მათ არ გააჩნდათ არასოდეს. რამდენ რამეს მოჰქონა შუქი ჟამის დენამ და ესენი ისევ თავისას გაიძახიან. ისინი მზად არიან გაყიდონ ეს დარჩენილი საქართველო თავისი დღეკეთილობისათვის. აქ შეიძლება არ იცოდნენ, მაგრამ სტივენ ჯონსს ეცოდინება, რომ ერაცის მეორე ომის გაჭიანურების დროს, როცა გამოიკვეთა ამერიკის მარცხი, ჯორჯ ბუშს უწოდეს პარანოიდი თავად ამერიკელმა პოლიტიკის მეცნიერებმა.

გასაკვირია ის, რომ ჯონსი წერს: „გამსახურდიას საკანონმდებლო პროგრამა, მიუხედავად იმისა, რომ დიდწილად ვერ განხორციელდა, პრინციპში, დემოკრატიული იყო“ (გვ. 94). თუ ეს ასეა, როგორ შექმნა დემოკრატიული პროგრამა ჯონსის თქმით ავტორიტარმა გამსახურდიამ?

სტივენ ჯონსი განსჯის: „დასავლეთის სახელმწიფოებთან უხუცესი დამოკიდებულება ქართული ელიტის იმედგაცრუება დაემატა“ (გვ. 95). აქ ისე ჩანს, რომ დასავლეთი ზნეობით აღვსილი სამყაროს მოდელგანა, უცდომელი მსაჯული და სამუდამო სანაყაულია, ხოლო თავისუფლების მაძიებელი ქართული ელიტა კი დემოკრატიის გამო წლებზე ფეხს იდგამდა. ეს უხუცესი დამოკიდებულება არ იყო. სტივენ ჯონსი ჩქმალავს რაღაც არსებობს. ზვიადი, როგორც ზემოთ ვთქვე, აკრიტიკებდა დასავლეთს მისივე პრინციპების დარღვევის გამო. სტივენ ჯონსის შეგახსენებ, რომ 1992 წელს გაზეთ Народная правда-სთვის (41) მიცემულ ინტერვიუში ზვიადმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმადან აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბუიკერის პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით. აქვე საქართველოს ლალატი და მხოთილი პრეზიდენტი ლაპარაკობს ევროამერიკულ იმპერიალიზმზე. ზვიადი ამბობს, რომ ჩვენ არ დაუშვითო, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო. დასავლეთს, ზვიადის თქმით, დასავლეთს მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ზვიადის სიტყვით, ეს იქცა სამხედრო გადატრიალების ერთ-ერთ მიზეზად და ხელისუფლებაში მოვიდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ფი) აგენტი და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტი. ზვიადი აქ დასავლეთზე ამბობს იმას, რაც წლების შემდეგ გაიმეორეს თავად დასავლელმა მეცნიერებმა. სტივენ ჯონსი ამაზე არაფერს იტყვის. 1992 წლის 12 მარტს ზვიადმა შევარდნაძეს ბრალი დასდო ქართველთა გენოციდში და მის ხელისუფლებას უწოდა კრიმინალური ხუნდა.

წიგნის მეოთხე თავიდან იწყება შევარდნაძის ჩამოსვლის, 1992-94 წლების ამბების ობიექტური თხრობა. ესეც რომ არ იყოს, სტივენ ჯონსის წიგნი დაკარგავდა სამეცნიერო ღირებულებას. ჯონსი წერს, რომ შევარდნაძე 1995 წელს გაყალბებული არჩევნებით გახდა პრეზიდენტი (გვ. 106). ისიც უნდა აღინიშნა მას, რომ სამსახურიდან გადგების მიუქართო შეიყვანეს „მოქალაქეთა კავშირში“ სანარმოთა ხელმძღვანელები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები და სხვები. მეხუთე თავში ჯონსი წერს სააკაშვილის მოსვლაზე და არ ამბობს, რომ ეს იყო აშშ-დან ინსპირირებული მოძრაობა, რომლის მიზანი იყო ქვეყნის ახალი მთავრობის კიდევ უფრო მეტი ამერიკანიზება და რუსეთთან

ხანგრძლივი დაპირისპირება, რამაც საქართველო უარეს დღეში ჩააგდო. არაფერ არსებით არ გვეუბნება სტივენ ჯონსის სასხვათაშორისო ნათქვამი, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მიღწევებმა „ლიბერალურ ეკონომიკასა და სამოქალაქო დემოკრატიას შორის დაძაბულობა გამოავლინა“ (გვ. 149). სად იყო საქართველოში სამოქალაქო დემოკრატია? დაძაბულობა კი არა, არამედ ანტაგონიზმი არსებობს კაპიტალსა და დემოკრატიას შორის თავად დასავლეთში. ლიბერტარიზმის ბატონობა გამოირიცხავს „სამოქალაქო ღირებულებების“ განვითარებას. ეს ცარიელი სიტყვებია. წიგნის 151-ე გვერდზე ჯონსი აფასებს სააკაშვილის პოლიტიკას და არ ამბობს, რომ ის იყო ექსტრემისტი ლიბერტარიანიელი. იმას კი ვეღარ მალავს ჯონსი, რომ სააკაშვილის დროს გაჩნდა პარტოკრატია. პარტია და სახელმწიფო ერთმანეთს შეეზარდნენ (გვ. 165). „საკაშვილის ხელში სახელმწიფომ შეაღწია და დაიკავა მთელი ბიზნესი“ (გვ. 170). თუ ეს ასე მოხდა, მაშინ კიდევ ერთხელ გაცამტვერდა დასავლური პოლიტიკური ფილოსოფიის ყველა დებულება, რომ პარტოკრატია მხოლოდ საბჭოთა ტოტალიტარიზმის დროს არსებობდა. კიდევ ერთხელ გაბათილდა თავად ცნება „ტოტალიტარიზმი“, რომელიც ბოლშევიზმის სინონიმად მოიაზრებოდა. აღმოჩნდა, რომ ნეოლიბერალიზმმა და საბაზრო ექსტრემიზმმა შეა ახალი ტოტალიტარიზმი და სააკაშვილის დროს რეპრესიებმა, თვალთვალმა, დასმენებმა, დევნამ მრავალგზის გადაამეტა სტალინურ რეპრესიებს. ერთი სიტყვა არსადაა ნათქვამი ჯონსთან სააკაშვილისეულ სახელისუფლო ტერორიზმზე. აღმოჩნდა, რომ ბლევი ყოფილა დებულება ბიზნესის აპოლიტიკურობაზე.

ჯონსი აღნიშნავს, რომ სააკაშვილის მთავრობის „ეკონომიკურმა პოლიტიკამ გაამძაფრა ადამიანის სოციალური და ეკონომიკური გარიყვა...“ (გვ. 262). კარგია, რომ ჯონსს აქ ჰყოფნის მიუკერძოებლობა და ამას ამბობს. საქართველოს სინამდვილე იმდენად კონტრასტული და გროტესკულია, რომ შეუძლებელია ვერ დაინახო ქვეყნის მრავალი უკურნებელი წყლული. წიგნის დასაწყისში წერს სტივენ ჯონსი: „რასაც დღეს საქართველოში ვხედავთ, ეს გახლავთ ძალიან მდიდარი უმცირესობა, რომელიც კონცენტრირებულია თბილისის კომპოპოლიტურ ურბანიზებულ კუნძულზე და უმუშევართა და ლატიათა მასა, რომელიც რაიონებშია მიმოფანტული“ (გვ. 12). ის ასევე აღნიშნავს, რომ შევარდნაძის დროს „კრიმინალურმა გვეულებმა სახელმწიფო ქონება დაბალ ფასებში შეიძინეს და ეკონომიკის, ისევე როგორც თავად სახელმწიფოს კრიმინალიზაცია მოახდინეს“ (გვ.281). ეს კი ასე იყო შევარდნაძის დროიდან და გაგრძელდა სააკაშვილს დროს, მაგრამ რატომ არაფერი თქვეს ამაზე დასავლელმა ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმა? განა ვერ ხედავდნენ, რომ ეს ყველაფერი ახდენდა ლიბერალიზმის კომპრომეტაციას და ქმნიდა პირობებს მისი იდეური კრახისათვის? ეს ხომ პრინციპის საქმე იყო? დასავლეთი დუმდა ყველაფერზე, რაც ხდებოდა 1992-2003, 2004-2012 წლებში. რატომ სულ აქებდნენ ჯერ შევარდნაძეს, შემდეგ სააკაშვილს იმის გამო, რაც სინამდვილეში დასაძრახი არის? გამოდის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამდე ვიდრე დღემდე ჩვენ ვცხოვრობთ ტოტალური სიცრუის გარემოში და ლაპარაკი ღია საზოგადოებასა და გამჭვირვალობაზე არის საველდებულო ბლევი. შევარდნაძისა და სააკაშვილის ყველა მთავრობამ 1992 წლიდან 2012 წლამდე აჩვენა დიდი არაკომპეტენტურობა. ნარმოვიდგინოთ, ზვიადის დროს პატივრები ენამეზინათ, დაეხოცათ, მათი ორგანოებით ვეჭვართ, იარაღი მაფოზურად გაეყვიათ მინისტრებს და რა ამბავს ასტეხდა ცალკე ოპოზიციას, ცალკე დასავლეთი. ახლა კი დასავლეთი კბილებით იცავს სააკაშვილს და საქართველოს მთავრობას ემუქრება. ნარმოვიდგინოთ, რომ ჯაბა იოსელიანი ზვიადის გვერდით მდგარიყო. მეერ გენახათ ოპოზიციის ყვირილი და ყვედრება, რომ ზვიადი ზანდიტების პრეზიდენტი იყო. სტივენ ჯონსი ამ წიგნში არსად ამბობს, რომ არაერთხელ დადგა საკითხი სამართლებრივად შეფასდეს 1991-92 წლების მოვლენები. სტივენ ჯონსს არც ის აღუნიშნავს, რომ შევარდნაძემ 2009-11 წლების ინტერვიუებში გამსახურდიას უწოდა სახელმწიფო მოღვაწე და იგი ქებით მოიხსენია. რამდენიმე ოპოზიციონერმა (თემურ ყორყოლიანმა, ნოდარ ზათაქემ, დამუკა არეშიძემ და სხვებმა) სინანული გამოთქვეს ზვიადის დამხობის გამო.

სტივენ ჯონსი ვერ გაეცა სინამდვილეს და სწორი თქვა 2008 წლის ცხინვალის ომში ქართველთა ჯარის მოუზადებლობაზე, გენერალიტეტის დიდ შეცდომებსა და ამპარტავნებაზე. კარგია ისიც, რომ ჯონსი აღნიშნავს - ბრიტანელებსაც დაპყრობილი ჰქონდათ საქართველო, ისევე როგორც არაბებს, სპარსელებს, თურქებს, რუსებს ძველად (გვ. 326). ეს ყურადსაღები უნდა იყოს მათთვის, ვინც გაძალებით იმტიკება, რომ საქართველო ნოე ყორდანის დროს თავისუფალი იყო. ჯონსი იმას კი აღარ ამბობს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგაც აშშ ისევ ცდილობს საქართველო გამოიყენოს პლაცდარმად რუსეთის წინააღმდეგ, რაც ქვეყანას კიდევ მეტ ვნებას მოუტანს.

ლიბერტარიზმი და საბაზრო ექსტრემიზმი საერთოდ გამორიცხავს ხალხის მონაწილეობას პოლიტიკაში. ამიტომ სიყალბეა ისეთი ცნებების მოხმარება, როგორცაა „ჩართულობა“, „თანამონაწილეობა“ და სხვა. 25 ნელი იმ

ილუზიით ცხოვრობს საქართველო, რომ თავისუფალი ბაზარი და დემოკრატია ერთი და ერთმანეთისაგან გამომავალია. გასაკვირია ის, რომ ამდენი მარცხის მიუხედავად ყოველი ახალი მთავრობა ისევ ამ ილუზიას ებლაუჭება. ყოველი ახალი მთავრობა იმას ამტიკებს, რაც აშკარა აბსურდია. ამაზე წერენ დისერტაციებს, ბეჭდავენ მონოგრაფიებს. დემოკრატიად სალდება პოლიტიკენოლოგია. თავად დასავლეთი ყველა საშუალებით ცდილობს ამ ილუზიის გახანგრძლივებას, რადგან მას ისტორიის მიერ კატეგორიულად დაყენებულ პრინციპულ კითხვებზე პასუხი არ მოეძვევება. თავისუფალი ბაზარი იქცა ტოტალურ, რეპრესიულ იდეოლოგიად. ბიზნესი იქცა პოლიტიკად და ის სულ უფრო მეტად რეპოლიტიზებულია. ბიზნესი არაა და ვერ იქნება აპოლიტიკური. ის ხელისუფლების ბაზისია. ზედამენი კი არის პოლიტიკენოლოგია, სპექტაკლის საზოგადოება და შოუბიზნესი. ჯონსი, ისევე როგორც დასავლელ ისტორიკოსთა უმრავლესობა, მიიჩნევს, რომ ლიბერალ-კაპიტალიზმი არის ერთადერთი და მარადიული წყობილება. დღეს მეცნიერს ეს არ მიეტყვება. ახლა 2014 წელია. ამ საუკუნის პირველ ნახევარში დიდი ძვრება მოსალოდნელია.

თავად ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ნარმოვადგენელი თუ შეეკითხებიან საკუთარ თავს: რას ნიშნავს დღეს ღია საზოგადოება? რა საზრისის მქონეა ახლა დემოკრატიის იდეა? რატომ არის პლურალიზმის დროს ასეთი საშინელი კონფორმიზმი? რატომ არაა ფილოსოფიური ღიაობა და საკითხების დაყენების თავისუფლება? თავად ამ ფონდის დამფუძნებელს - ჯორჯ სოროსს მიბძობ, რომელიც ისე მწვავედ აკრიტიკებს დასავლეთს თავის ბოლო ნაშრომებში, რომ ის მარქსისტი გეგონება. ეს თუ არ შეუძლიათ, თავად სოროსის ამ ნაშრომებზე მითითებით მაინც თქვან რაღაც ნონკონფორმისტული. სულ უმაღლეს ქვეყანას სოროსის ამ ნაშრომებს, ასევე ბოლო დროს გამოსულ დასავლელ მეცნიერთა კრიტიკულ ნაშრომებს. რატომ ვერ დაიცვა დასავლეთმა თავისი პრინციპები? თუ მან მხოლოდ იმიტომ დაშალა საბჭოთა იმპერია, რომ თავად ყოფილიყო ერთადერთი იმპერია? თუ საბჭოთა იმპერიალიზმი შეიცვლებოდა დასავლური იმპერიალიზმითა და ნეოკოლონიალიზმით, მაშინ რაღა აზრი ჰქონდა ამდენ ლაპარაკს დემოკრატიაზე? რამდენად არის საქართველო დამოუკიდებელი და საერთოდ რას ნიშნავს დამოუკიდებლობის (ინდეპენდენცე) ცნება დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში? როგორ აისახება საქართველოს სინამდვილეში ნაციისა და იმპერიის ძველისძველი კოლიზია?

წიგნის დასაწყისში სტივენ ჯონსი მართებულად აღნიშნავს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები დამარცხდნენ საქართველოში და ვერ მიიღწიეს ქვეყნის დემოკრატიზებას (გვ. XIX). ის წერს, რომ მას აქვს სურვილი დაეხმაროს ქართველებს დემოკრატიული სახელმწიფოსაკენ წინსვლაში (გვ. XXII). ეს კი ვერაფერი შვილი ნუგეშია მცირე ქვეყნისთვის, რომელიც ამდენი წელი სამართლიანობის საწყისებსაც ვერ ამკვიდრებს. აქამდე თუ არ აშენდა დემოკრატიული სახელმწიფო, არც აშენდება. თუნდაც დასავლეთის ყველა საუკეთესო ექსპერტი ჩამოვიდეს საქართველოში, მაინც ისევ ის მრუდობდა და ძალადობა იქნება.

წერილის ბოლოს მინდა ვთქვა, რომ წიგნის მთარგმნელს შეცდომები გაჰპარვია. თუ ერთხელ მითითებულა უცხოელი მეცნიერის სახელ-გვარი ინგლისურად ფრჩხილებში (ესაა თომას ქაროთერსი) (გვ. 9), მაშინ დანარჩენებიც უნდა მიეთითოს ფრჩხილებში ინგლისურად. წერია: „რობერტ პუტნამი“ (გვ. 20, 27, 37). უნდა იყოს - პატნემი (უტნამი). წერია: „ეგზობიციონიზმისაკენ“ (გვ. 54). უნდა იყოს -ექსპობიციონიზმისაკენ. ეს სიტყვა ლათინურ და არა ინგლისურ ყაიდაზე გამოითქმის ქართულში. წერია: „რურალური“ (გვ. 77). უნდა მიეთითოს ფრჩხილებში -სოფლური. ქართულში სოფლურის, მწვემსურის აღსანიშნად ვიყენებთ ლათინური ძირის სიტყვებს - ბუკოლურს, პასტორალურს, მაგრამ არა რურალურს. ტერმინ „ურბანულს“ იცნობენ და თარგმნას არ საჭიროებს. ტერმინ „რურალურს“ არ იცნობენ. წერია: „ჰერნფოლკი“ (გვ. 84). უნდა განიმარტოს ფრჩხილებში -მორძანებელი ხალხი და ასევე გვერდით გერმანულად მივწეროს. მით უმეტეს, რომ 319-ეგვერდზე ნახსენებია კიდევ ერთი პიტლერისეული ტერმინი - შტატსვოლკ. წერია: „რობერტ რეიხი“ (გვ. 151). უნდა იყოს - რაიხი (ლეიკს). 261-ე გვერდის დასაწყისი, პირველი წინადადება ვერაა კარგად ნათარგმნი. 264-ე გვერდზე კომპანიის სახელწოდება „ენრონი“ ბრჭყალებში არაა მოქცეული, ან უნდა ეწეროს ინგლისურად. წერია: „რეინოლდ ნეიბური“ (გვ. 345). უნდა იყოს - რაინჰოლდ ნეიბური (იებუზრ). როცა რამდენიმე ადგილას მეორდება სიტყვის „თანამედროვე“ მცდარი დანერა (თანამედროვე - გვ. 24, 26, 27, 305, 306 და სხვ.), ეს დიდი უყურადღებობის ნიშანია. წერია: „საქართველო რუსეთის პროტექტორად იქცა“ (გვ. 440). უნდა იყოს - პროტექტორატად. წერია: „საფავიდეები“ (გვ. 441). უნდა იყოს - სეფევიდეები, რადგან ქართულში ასეა დამკვიდრებული. ინგლისურშია - The Safavids.

გორა გვასალია
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
ოსუ პროფესორი,
აპრილი, 2014 წ.

საშობლოზე და ერზე მჭიმუნვარე მწყემსმთავრები

კათოლიკოს-ბატრიარქ კირიონ II-ის მიმართუა ქართველ ერს 1918 წლის 26 მაისს

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით კირიონ მეორემ გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი და სიტყვა წარმოსთქვა:

“ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან; ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა”. (ფს. 117.24)

დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა!

დიდი ისტორიული დღე გაგვითენდა. 26 მაისი სამუდამოდ და საშვილიშვილოდ დარჩება ფრიად მნიშვნელოვან დღეთ. აღსრულდა ჩვენი უდიდესი ნატვრა, ჩვენ ნეტარ ხსენებულთა წინაპართა მუდმივი ლტოლვილება. ღმერთმა განუსვენოს იმ თავდადებულ მამულიშვილებს, რომელთაც თავი შესწირეს სამშობლოს კეთილდღეობისთვის და თავგანწირულად იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის. დიდი წვალების შემდეგ იშვა ჩვენი თავისუფლება და ობლის კვერივით გვიან გამოცხვდა.

მადლობა ღმერთს! ასი წლის მონობის ბორკილი აესხნა მრავალტანჯულ ქართველ ხალხს. ეს უდიდესი აქტი ერთხმად მიიღო ყველა წოდების ქართველმა, მიუხედავად პარტიებისა და რწმენისა. აღსრულდა მუდმივი ნატვრა საქართველოსი. 26 მაისს 5 საათზე გაისმა პირველი თავისუფალი სიტყვა თავისუფალ საქართველოში. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა გვაკისრებს დიდ ზრუნვას და დიდ მოქალაქეობრივ სიბრძნე-სიფხიზლეს თხოულობს ჩვენგან.

ერთობაში არის ძალა, ამბობენ და თუ ესეა, ეხლანდელი მომენტი მით უმეტეს მოითხოვს ყველასგან ძმურ შეერთებას და შრომას.

თავისუფლება ის წმინდა და ტკბილი დედის ძუძუა, რომელმაც გამოგვზარდა ჩვენ და კაცად გვაქცია. როდესაც კაცს უბედურება თავზე დაატყდება და აკარგავს მას, ველური კაცის ხარისხზედ ჩამოდის იგი. მონობისთანა მწარე ხვედრი დედამინამ არ იცის. თავისუფლებას ბინა აქვს თავისუფალი კაცის გულში. იგი დამავიკრავინებელია ჩვენი ცხოვრებისა. თავისუფლება ღმერთიური ნიჭია.

ქეშმარიტი მამულიშვილი მოვალეა, თუ პოლიტიკური გარემოება მოითხოვს, იარაღით ხელში დაიცვას მამაცმა მამულიშვილმა მოპოვებული თავისუფლება. “კაცი ჯაბანი რითა სჯობს-ამბობს უკვდავი შოთა-დაცხა ქსლისა მბეჭველსა სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა”.

მამ, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!
გაუმარჯოს თავისუფალ ქართველ ხალხს!

გაუმარჯოს ყველა იმ ერებს, რომელნიც ჩვენთან ერთად იცხოვრებენ თავისუფალ საქართველოში!

მიიღე ეს უძველესი ბაირალი, რომელიც დიდი სიფრთხილით დაცული იყო ერთს ქართველ ოჯახში და რომელიც არა ერთხელ ჩვენ წინაპართა ძღვევამოსილი მოუტანიათ სამშობლოში, - გაუფრთხილდეთ მას, როგორც ეროვნულ სიმინდეს.

ლოცვა კურთხევა და მადლი უფლისა ჩვენისა გიძლოდეთ და მარად ჰფარვიდეს ქართველ ერს. ამინ!

სხუა-აფხაზეთის მიტროპოლიტ აფროსი ხელაიას სიტყვა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად

სოხუმი, 1920 წლის 26 მაისი

მოგილოცავთ ამ დიდ და დიდმნიშვნელოვან დღეს საქართველოს განთავისუფლება-გათვითცნობიერებისას, მის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებისას. ეს დღე სასიხარულოა ყველა ერთგული მამულისშვილისათვის; მათთან ერთად მშობლიური დედაეკლესიაც ხარობს, ვინაიდან ის მომხრეა თავისუფლებისა, მანაც ბრძოლით მოიპოვა ეს თავისუფლება ერის თავისუფლებაზე ადრე; ხარობს, რომ ეკლესიური თავისუფლება დაედვა საფუძვლად სახელმწიფოებრივ თავისუფლებას. ეს გარემოება გვეუბნება, რომ ჩვენი ეკლესია არ არის ღირსი დევნისა, რომ ის არ არის კლერიკალობის მიმდევარი და რომ უსამართლობა და მავნებელია ტრაფარეტულად მივსდიოთ საფრანგეთის მაგალითს ეკლესიასთან ურთიერთობის დამყარების საქმეში. ჩვენში ეკლესიის თავისუფლებას მოყვა ერის თავისუფლება და დედა-ეკლესიაც თავის შვილთ



უგზავნის ლოცვა-კურთხევას, ულოცავს თავისუფალ განვითარების გზას.

საქართველოს ისტორია გვიმტკიცებს, რომ ეკლესიამ დიდი ამაგი დასდო ჩვენს სამშობლოს, იხსნა ის გადაგვარება-განადგურებისაგან; მრავალი საუკუნოების განმავლობაში აუარებელ მძლავრ მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დროს სარწმუნოება ამაგრებდა და აძლევდა სიმხნეს ქართველ ერს და ეს მრავალმონამე ერი, ეს იობი ხალხთა შორის, გამოვიდა გამარჯვებული და შეინახა თავისი ენა, ზნე, ჩვეულება და ეროვნული ელფერი. ესეც ცოტაა, აი, აუარებელი სიმრავლე მონუმენტალურ ნაშთებისა, რომელთა გარეგნული ხუროთმოძღვრული მოხაზულობა, მეცნიერთა სიტყვით, მისულა უმწვერვალეს განვითარებამდის. აი, სიმრავლე ხელთნაწერებისა, გონების ნაწარმოებებისა, რომელთა მეოხებით ჩვენ გვიცნობენ საზღვარგარეთ კულტურულ წინაპართა შვილებად. აი, დღეს წმ. ეკლესია იხსენიებს ექვთიმე ათონელს – მთარგმნელს და მწერალს XI საუკუნისას, რომლის ნაწარმოებთა სიმრავლე განსაცვიფრებელია. ყველა ამას აზის ბეჭედი სარწმუნოებრივ-ეკლესიური.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვდომილია და მუდამუამ იფარავდა მას. მაგრამ თქვენ იტყვიან, რისთვის ახლა არ გვემარება დედა ღვთისა ძველებურად? რისთვის მოგვაკლდა მისი მფარველობაო?

არა, ახლაც არა ვართ მოკლებული ღვთისმშობლის მფარველობას და ღვთის მოწყალებას, მაგრამ ჩვენ ჩვენის მცირე მორწმუნეობისა გამო არ ვხედავთ მას, არ

გვინდა დავინახოთ. მოიგონეთ უკანასკნელი სამი წელიწადი. რა საშიშროება არ მოელოდა ჩვენს სამშობლოს? ფრონტიდან დაბრუნებული ჯარი გვემუქრება ნალექვით, მაგრამ აგვცდა, გადავრჩით უვნებლად. ანარქია და სამოქალაქო ომმა მოიცვა მთელი რუსეთი, ჩვენში კი, თუმცა იყო ნიადაგი, ცდილობდნენ შინაური და გარეული მტრები, მან ვერ მოიკიდა ფეხი; ამხედრდნენ ჩვენს წინააღმდეგ მეზობლები: ოსმალები, სომხები და რუსის მოხალისენი, მაგრამ მოგვეცა ძალა; მოგვადგა დიდი გრიგალი ბოლშევიზმისა, მაგრამ ესეც აგვცდა; ბოლოს ახლაც გვეომება სხვისგან ზურგმომამგრებელი ყოფილი ჩვენი მოკავშირე სახელმწიფო (ადერბაიჯანი), მაგრამ სირცხვილულ იქმნება ეს მოლაღატეც ვისი ხელი მოქმედებს ამ შემთხვევაში? ვინ გვიფარავს?

თვით სათავეში მყოფნი და პასუხისმგებელნი პოლიტიკაში გვეუბნებიან “გარემოება ხელს გვიწყობსო”, მაგრამ რაა ეს გარემოება? განა ეს ყველა ბრმა შემთხვევაა? განა მასში არ არის აზრი და წესრიგს არ ექვემდებარება? ვინ არის ამ მიზანშეწონილობის, კანონიერების მიზეზი? ვინ აძლევს ამ შემთხვევა-გარემოებებს აზრს, თუ არა ღმერთი. ამ დასკვნამდე მიდის მორწმუნე ადამიანი და მართალიცაა ის.

იესო ქრისტეს მონაფენი ერთხელ გენისარეთის ზღვაზე ნავით მიდიოდნენ; იყო შუა ღამეს გადაცილებული. ამოვარდა ქარი, დაიწყო ღელვა, მათ საშიშროება მოელოდა, შეშინებულნი არიან. ამ დროს ხედავენ ზღვის ზედაპირზე მოდის ქრისტე, მათ მიიღეს მოჩვენებათ და უფრო შეშინდნენ. ქრისტე მაცხოვარმა უთხრა მათ: “ნუ გეშინისთ, მე ვარო” და დამშვიდდა ბუნება. ახლაც ჩვენთანაა ქრისტე.

როდესაც პეტრე იხრჩობოდა, ზღვაში მომავალ ქრისტეს შესთხოვა: “უფალო, მიხსენ მეო”; მან გაუნოდა ხელი და უთხრა: “ნუ გეშინის, მე შენთანა ვარო.”

მამ, თავისუფალი სამშობლო, ნუ შეგეშინდება ცხოვრების ტალღების. ჩვენთან არს ღმერთი და როდესაც პეტრესაებრ შევსთხოვთ მას “უფალო, გვიხსენ ჩვენო,” ის გვეტყვის: “გამხსენედი, ნუ გეშინისთ, მე თქვენთანა ვარო.” მაშინ ჩვენ მარტონი არ ვიქნებით: ჩვენი შემწე იქნება ღვთისმშობელი და ქრისტე მაცხოვარი.

მამ, მოვიკრიბოთ, აღვიჭურნეთ სარწმუნოებით და ღვთისადმი სასოებით და ამას შეუერთოთ თავგანწირული სიყვარული სამშობლოსადმი. მაშინ მტრები სირცხვილულ იქმნებიან და ჩვენი ერის თავისუფლებაც განმტკიცდება. მაშინ ჩვენი სიხარულიც იქნება სრული და სამარადისო.

“უკეთუ ღმერთი ჩვენი კერძო არს, ვინა არს ძვირის მყოფელ ჩვენდა” (რომ. 8, 31).

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემონირულობებით

რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

ვებგვერდი: <http://ganmatavisuflebeli.webs.com>
ელ.ფოსტა: ganmatavisuflebeli@yahoo.com